WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი

№26 (260) ● 2 ოქტომბერი, 2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## რეზო ამაშუკელი:

ილოცეთ ბიძინა ივანიშვილზე, „ნაცმოძრაობის“ ბატონობა კიდევ 30 წელი რომ არ გაგრძელდა, თორემ ამოგვჟლეტდნენ, ქალებს საშვილოსნოებს ამოაჭრიდნენ, კაცებს დაასაჭურისებდნენ, ქართულ ენას მოსპობდნენ და საქართველოს ბოლომდე გაანადგურებდნენ



## პეტრე ქორჩაკიძე-ჭალაღიძელი:

## „ახლა ისეთ რამეს გეტყვით, რაც ჯერ არავის უთქვამს...“



წმინდა ნინოც და წმინდა გიორგიც ქართველები იყვნენ

## ჩვენი ქვეყანა შეუსწავლელი მუზეუმია...

## საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელად ილია ჭავჭავაძე უნდა დანიშნო, მაგრამ, როცა ილია არ გყავს, ათი ისეთი კაცი უნდა მიიყვანო იქ, ჯამში ილიას რომ უდრიდეს

„საქართველოში ტელევიზია არ არსებობს, აქ არის ეკრანიანი რადიო და დღეს ჩვენ იმაზე უნდა ვიმსჯელოთ, როგორ ვაქციოთ ეს ეკრანიანი რადიო ტელევიზიად?“




გვესაუბრებიან ვახტანგ ნანიტაშვილი, ოთარ შაორშაძე, კახა კახაბრიშვილი, ლევან ღვინჯილია, მერაბ ხაჩიძე, გელა ქოქიაშვილი, ვახტანგ კობაიძე.



## ბელგიის პარლამენტის წევრის ლორან ლუის სკანდალური გამოსვლა ბრიუსელში

„წადით, თქვენი ყველასი... მემარჯვენეებო, მემარცხენეებო, ცენტრისტებო, კორუფციული ელიტის ფეხსაცმლის ლანჩის მლოკავებო, წადით, თქვენი...“

## ამერიკის მთავრობა ნაწილობრივ დაიხურა



ამერიკის მთავრობა კონგრესში შეუთანხმებლობის გამო ნაწილობრივ დაიხურა. მიუხედავად იმისა, რომ დაზუსტებით არავინ იცის, ეს პროცესი რამდენი ხანს გაგრძელდება, ექსპერტების გამოთვლით, ქვეყნის ეკონომიკა ერთი კვირის განმავლობაში სავარაუდოდ ერთი მილიარდი დოლარით დაზარალდება.

საინტერესოა, რა ზეგავლენას მოახდენს ამერიკის მთავრობის დახურვა მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. როგორც სიენენის არხის აფასებს, ნიუ იორკის ფინანსურ ბაზარზე ფასების მცირედი მატებაა. ფასების მცირედი და შერეული მატებაა აზიის ფინანსურ ბაზრებზეც. ნაკლებად შესამჩნევი ცვლილებებია ევროპულ ფინანსურ მარკეტებზე. რაც შეეხება ამერიკულ დოლარს, მისმა ფასმა მსოფლიოს სხვა ვალუტასთან შედარებით უმნიშვნელოდ დაიკლო.

## თუ იელოველი შემოგხვდათ, თავი შეიკავეთ, არ გაულანძღოთ, თორემ ამისთვის პრემიას მიიღებს

## რა მოხდა 29 სექტემბერს თბილისში ლევან გაჩეჩილაძის სახლთან და ვინ იყო ის შეიარაღებული მამაკაცი, ვინც „გრეჩიხას“ სახლთან დააკავეს?

# რედაქტორის გვერდი



ვახტანგ ხარჩილავა

ერთი ყურადღებით მიმოიხედეთ, ქართველებო, გარშემო – ოთხივე მხრიდან გამოთოფილი ვყავართ რუსებს, ოთხივე მხრიდან ალყაში ვართ, ჩვენ კიდევ, დღე-დღეზე ნატოში მიგვიღებენო, აგვიჩემებია.

როგორ მიგვიღებენ ამ ნატოში – რუსების ტანკებიან-ჯარიან-ალყიანად?

**– საქართველოს ჯარი უკვე ნატოშია! – ამაყად განაცხადა ალასანიამ.**

**მართალია, ალასანია – საქართველოს ჯარიც და თავად ალასანიაც ნატოშია, ოღონდ საქართველოა ცუდ ადგილას გაკვეხებული.**

ნატოზე რომ ვსაუბრობ, სულ ირაკლი წერეთელი მახსენდება, რომელიც 25 წლის წინათ გვპირდებოდა, დამოუკიდებლობას რომ მოვიპოვებთ, ნატოს ჯარები მეორე დღესვე შემოვლენ საქართველოში და დაგვიცავენო.

ირაკლის მამა, ბატონი სიდამონი კი გვაფრთხილებდა, ნუ უჯერებთ ჩემს შვილს, მე მაგას მაღაზიაში ჩასვლასაც კი ვერ ვანდობ და თქვენ ჭკუის მასწავლებლად და წინამძღოლად ნუ გაიხადეთ, ქართველებოო, მაგრამ ბატონ სიდამონს ყურს ვინ დაუგდებდა?

**25 წელია შევდივართ ამ ნატოში, შევდივართ, შევდივართ და ვერ შევსულვართ, თუმცა ამ შესვლა-შესვლაში ნატოს ნაცვლად ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტით რუსეთში „შევედით“.**

არ არის გამორიცხული, თუ ძველებურად ჯიუტად გავაგრძელებთ ნატოსკენ სვლას, მხოლოდ 20 პროცენტით კი არა მთლიანად, საქართველოს მთელი ტერიტორიით, რუსეთის ფედერაციაში ამოვყოთ თავი.

ჯარი და ალასანია ნატოში დაგვრჩება, ჩვენ კი რუსეთში ვიქნებით.

ახლახან, სულ ათიოდე დღის წინათ, პატივცემულმა დუგინმა განაცხადა: **„საქართველო – ეს შეუმდგარი სახელმწიფოა, და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეფაქტო დამოუკიდებლობის პროცესი იმაზე მეტყველებს, რომ საქმე ამით არ გათავდება. როდესაც ჩვენი ჯარები ზუგდიდის რაიონს “ასუფთავებდნენ”, მათ ძალიან ბევრ სოფელში ყვავილებითა და სიხარულით ხვდებოდნენ, რადგანაც მეგრელებმა იციან, რომ უკვე ისინი აღმოჩნდნენ პოტენციური გენოციდის საფრთხის ქვეშ საქართველოს მხრიდან. გენოციდის თუ არა, შევიწროების საფრთხის ქვეშ მაინც. სწორედ ასეთივე მდგომარეობაა აჭარაში, ჯავახეთში, პანკისში. საქართველო, თავისი არსით, არა სახელმწიფო, არამედ მულტიეთნიკური სტრუქტურაა და ამ სტრუქტურისათვის ერთი ნაციის იდეის თავსმოხვევა, როგორც ამას სააკაშვილი აპირებდა, გარდაუვალ ეთნიკურ წმენდას მოასწავებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, რუსებმა დავიცავით ორი ერი, ახლა ჩვენს დახმარებას საჭიროებენ დანარჩენი ერებიც, რომელთაც თავს ახვევენ ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას. სიტუაცია ანალოგიური სცენარით განმეორდება – ამ გზას დაადგება ზუგდიდი, ჯავახეთი, აჭარა. ეს იმის მაუწყებელია, რომ საქმე გვაქვს კონფლიქტთან, რომელიც თავისით ვერ გადაწყდება, ამიტომ ჩვენ უნდა ჩავერიოთ. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა, შეგვეძლოს ამ პრობლემური ერებისთვის ხელის მოხვევა და სხვებისთვის გადაცემა. ოღონდ ამერიკას არა, მაგალითად ირანს ან თურქეთს, რომლებიც სწორ რეგიონალურ პოლიტიკას ატარებენ.“**



გესმით, რას გვპირდება ბატონი დუგინი? (რაღა დუგინი შეგვპირებია და რაღა პუტინი) – დაგშლით, დაგაქუცმაცებთ, თქვენი ტერიტორიის ნაწილს თურქეთს და ირანს ვუფეშქაშებთ, დანარჩენს კი ჩვენ დავიტოვებთ, რომ ქართველებისგან დაჩაგრული ერები გადავარჩინოთო.

რუსებს ადრეც უთქვამთ, რომ საქართველოს ზუსტად იმ მდგომარეობაში დააბრუნებენ, როგორ მდგომარეობაშიც თავის დროზე „ჩაიბარეს“.



როგორც ჩანს, ამ დანაქადნის აღსრულების ჟამიც ახლოვდება და, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ჟამი სწორედ სოჭის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ დადგება.

**– მე წავედი და ახლა თქვენ მიმიხედეთ ჩემს სამშობლოსო, – დაუბარა სააკაშვილმა დემოკრატიულ თანამეგობრობას გაეროს ტრიბუნიდან.**

**თვითონ ხომ „მიხედა“ – ქვეყნის ტერიტორიის მესამედი, თავის სტრატეგიულ ობიექტებიან-დარგებიანად რუსებს ჩააბარა და ახლა სხვებს უბარებს – რაც მე გადამირჩა, იმას ახლა თქვენ მიხედეთო.**

მიხედავენ, მიხედავენ, აბა, რას იზამენ?

... დვანში, მავთულხლართების გასწვრივ, ჟურნალისტებმა საპროტესტო აქცია გამართეს და საქართველოს ჰიმნი იმღერეს.

აქციას ინგა გრიგოლია (ვენაცვალე!) ხელმძღვანელობდა და სულ ნაპერწკლებს ყრიდა პირიდან და თვალებიდან.

რა ქნას ინგამ? ალასანია ჯარიანად ნატოშია, საქართველო კი ვიღაცამ ხომ უნდა დაიცვას?

ჟურნალისტების სიმღერამ ნანა მჭედლიძის შესანიშნავი ფილმი „პირველი მერცხალი“ გამახსენა...

გახსოვთ, როგორ მღერიან ინგლისელი ფეხბურთელების მიერ გამანადგურებული ანგარიშით დამარცხებული ქართველები „აბა ულას“? – ჰიმნი არ აქვთ და „აბა ულას“ მღერიან ჰიმნის ნაცვლად.

**დღეს ჰიმნიც გვაქვს, დროშაც გვაქვს, ჯარიც გვყავს, ხელისუფლებაც გვყავს (ერთის ნაცვლად ორი), მაგრამ არ გვაქვს რაღაც მთავარი, რაც ამ ყველაფერს სახელმწიფოდ კრავს და ერთ უძლეველ ძალად აქცევს.**



როგორც ჩანს, არ გვეტყობა ჩვენ, რომ მზად ვართ სამშობლოსთვის ბოლომდე ვიბრძოლოთ და თავი გავწიროთ.

ჩვენ სხვის ზურგს ამოფარებულნი, სხვისი ზურგით ვცდილობთ საკუთარი პრობლემების გადაჭრას და ამიტომაც ვართ ასეთ დღეში...

რატომღაც მგონია, რაც უფრო ხშირად და რაც უფრო კატეგორიულად ვიტყვით, რომ ნატოში შევდივართ, მით უფრო მალე „შევალთ“ რუსეთში და არავინ იქნება ჩვენი გამომსარჩლებელი.






„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# „მიეცი ნიჭსა გზა ფართო...“ ანუ რამდენად ნიჭიერები არიან „ნიჭიერი“ ადეიშვილი, „ნიჭიერი“ მერაბიშვილი და მთავარი „ნიჭიერი“ მიხეილ სააკაშვილი?

— ადეიშვილი ნიჭიერი კაციაო, ჩემს დროს რომ ემუშავა, ბევრ კარგ საქმეს გააკეთებდაო — თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

რა თქმა უნდა, სწორია მოსაზრება, რომ არანორმალური, დესპოტურ-სადისტური მიდრეკილებების ხელისუფლება რყვნის, ათახსირებს, ცივსისხლიან რობოტებად აქცევს ადამიანებს და მათ შორის ნიჭიერ ადამიანებსაც, თუმცა, საკითხავია, რამდენად სჭირდება ნიჭიერება იმ მახინჯი სისტემის შექმნას, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ და მისმა ლიდერებმა შექმნეს?

ვფიქრობ, ადეიშვილიც და მერაბიშვილიც ნიჭიერი კი არა, აბსოლუტურად უნიჭო, ცოტათი გონებაშეზღუდული ადამიანები არიან, რომლებმაც თავიანთი უნიჭობის კომპენსაცია „ბელადისადმი“ მონური მორჩილებით, მისი ნებისმიერი სურვილის, ნებისმიერი ბრძანების, ნებისმიერი მითითების უსიტყვო შესრულებით სცადეს და ნაწილობრივ მოახერხეს კიდევაც.

მათ არ შეუქმნიათ სისტემა, ისინი სისტემის ზედმიწევნით ერთგული მსახურები იყვნენ, რასაც დიდი ნიჭი სულაც არ ჭირდება.

როდესაც ამ ე.წ. ნიჭიერებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი „ნიჭიერი“ „ნიჭიერთა“ შორის — მიხეილ სააკაშვილი — სისტემის ავტორი, მისი მთავარი კონსტრუქტორი და იდეოლოგი.



**სააკაშვილს ახალი არაფერი შეუქმნია — მან თითქმის ზედმიწევნით ზუსტად გადმოიღო გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ბოლშევიკების და ნაცისტების მიერ დანერგილი მართვის სქემა, სიტყვა „კომუნიზმის“ ნაცვლად ამ სქემას წინ წარუმძღვარა სიტყვა „დემოკრატია“ და ესეს-ის და ნკვდ-ს მეთოდებით და ხერხებით შეუდგა „ახალი საქართველოს“ „შენებლობას“.**

ახლა ის ვიკითხოთ, მართლა ნიჭიერია თუ არა ეს მთავარი „ნიჭიერი“?

შეიძლება ბევრს იმედი გავუცრუო, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ეს კაცი ნიჭიერი კი არ არის, ეს კაცი პლაგიატია, იდეების ქურდია, ისტორიის არქივებში გადანახული „შპარგალკების“ გადამწერია, პოლიტიკური გრაფომანია.

შევარდნაძის დროინდელი ერთი მაღალჩინოსნის ნაამბობი გამახსენდა: პროტოკოლის მიხედვით სამთავრობო სხდომებზე სააკაშვილის გვერდზე მიწევდა ჯდომა. ის სხდომებზე, როგორც წესი, აბსოლუტურად მოუმზადებელი მოდიოდა. ზოგჯერ ისიც კი არ იცოდა, რა საკითხი უნდა განხილულიყო და მე მეკითხებოდა, მაგრამ სხდომის მსვლელობისას თითქოს პირდაპირ ისრუტავდა გამომსვლელთა მოსაზრებებს, იდეებს, ინიციატივებს, ბოლოს კი ყოველივე აქედან ისეთ დალაგებულ და აზრიან გამოსვლას გამოაცხობდა, შეიძლება კაცს ეფიქრა, ალბათ, მთელი თვე სწავლობდა ამ საკითხსო.

ფაქტია, ესეც ნიჭია, მაგრამ არა შემოქმედის ნიჭი, რომელიც რაღაც ახალს და ორიგინალურს ქმნის, არამედ ეს არის იმიტატორის, მიმბაძველის, პლაგიატის ნიჭი, რომელიც თავისი არსით პარაზიტული ბუნებისაა და, ამავე დროს, კლეპტომანიისკენ, მითვისება-მიტაცებისკენ არის მიდრეკილი.

**უამრავი შემთხვევაა იმისა, თუ როგორ უტიფრად იპარავდა და ითვისებდა სააკაშვილი სხვათა საინტერესო იდეებს, ინიციატივებს,**



**პროექტებს და თავისად ასაღებდა.**

**სისტემა, რეჟიმი, რომელსაც სააკაშვილი 9 წლის განმავლობაში იყენებდა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე უამრავჯერ იქნა გამოყენებული სხვადასხვა სახელმწიფოების დესპოტი და ტირანი მმართველების მიერ.**

ასე რომ სააკაშვილის ნიჭიერებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რადგან მან კი არ შექმნა მმართველობის რაღაც ახალი სისტემა, არამედ ამ სისტემის მთელი კონსტრუქცია მოიპარა, მოპარვას კი ნიჭი არ სჭირდება, ისევე როგორც არ სჭირდება ნიჭი ადეიშვილის მიერ შეთითხნილი ანტიადამიანური, ანტიჰუმანური კანონების შექმნას და ქვეყანაში ინკვიზიტორული მეთოდების დანერგვას.

არც მერაბიშვილის მინისტრობის დროს მომხდარი უამრავი დანაშაულის ჩადენას სჭირდება ნიჭი, არ სჭირდება ნიჭი ადამიანების ქუჩაში დახვრეტას, ადამიანების წამებას, გაუპატიურებას, სხვისთვის ქონების წართმევას, სასტიკ ანგარიშსწორებებს, ძალადობას, რეპრესიებს.

ყოველივე ეს რომ გააკეთო, ამისთვის ნიჭიერება კი არა უნიჭობაა საჭირო, უნიჭობა კი ხშირად არის პირდაპირ კავშირში სისასტიკესთან, სადიზმთან, ეგოიზმთან, პირუტყვულ ინსტინქტებთან.

**ვფიქრობ, მთელი „ნაცმოძრაობა“ თავის სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილიანად, ეს იყო და არის გაერთიანება უნიჭო, კომპლექსებით შეპყრობილი ადამიანებისა, რომლებიც გააფთრებულნი ებრძოდნენ ქართველი ერის ნიჭიერებას, ებრძოდნენ ყველა მიმართულებით, ყველა დარგში, ყველა სფეროში.**

ამ ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში ღმერთის დამარცხება სცადა სატანისტურ სექტად ქცეულმა „ნაცმოძრაობამ“.

მსგავს მცდელობას გასული საუკუნის ოცდაათიან წლებშიც ჰქონდა ადგილი, ოღონდ ორგანიზაციას, რომელიც მაშინ ღმერთის დამხობას



ცდილობდა, „ნაცმოძრაობა“ კი არა „უღმერთოთა კავშირი“ ერქვა.

ნიშანდობლივია, რომ ამ „უღმერთოთა კავშირის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ყველაზე აქტიური აქტივისტი მიხეილ სააკაშვილი იყო, ოღონდ არა ეს მიხეილი, პრეზიდენტად რომ გვაზის თავზე, არამედ მისი პაპა.

როგორც ჩანს, ულმერთობაც გენეტიკურია...

* * *

— რეჟიმი უნდა გასამართლდეს! სისტემა უნდა დაინგრეს! — ეს მოწოდებები 1 ოქტომბრის არჩევნებამდე ძალიან ხშირად გაისმოდა როგორც საზოგადოების, ასევე იმ პოლიტიკოსების მხრიდან, რომლებიც დღეს კოალიცია „ქართული ოცნების“ ელიტას წარმოადგენენ.

სამწუხაროდ, ეს აბსოლუტურად ლეგიტიმური და სამართლიანი მოთხოვნა დღეს კანტიკუნტად თუ გაისმის, თანაც ძალზე უნიათოდ და უხალისოდ.

**არადა, თუ ეს სატანისტური რეჟიმი არ გასამართლდა და ამ სისტემის სრული რეკონსტრუქცია კი არა მისი სრული დემონტაჟი თუ არ მოხდა, ის თვითონ აქცევს ახალ ხელისუფლებას მისი წინამორბედის სამართალმემკვიდრედ.**

**აი, მაშინ ნახეთ თქვენ ახალი თაობის „ნიჭიერები“ ძველი თაობის მობილურებით და ლანჩგახვრეტილი ფეხსაცმელებით, რომლებსაც საიდუმლო ანგარიშებზე მილიონები ექნებათ მოყუჩებული.**

**გიორგი გამეზარდაშვილი**

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.



# ილოცეთ ბიძინა ივანიშვილზე, „ნაცმოძრაობის“ ბატონობა კიდევ 30 წელი რომ არ გაგრძელდა, თორემ ამოგვჟლეტდნენ, ქალებს საშვილოსნოებს ამოაჭრიდნენ, კაცებს დაასაჭურისებდნენ, ქართულ ენას მოსპობდნენ და საქართველოს ბოლომდე გაანადგურებდნენ

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოეტი **რეზო ამაშუკელი**.

- რა ხდება ამ ქვეყანაში? როგორ შეიძლება ამდენი პრეზიდენტობის კანდიდატი... ესენი ყველა სპეკულანტები არიან, ყველაზე არ ვამბობ, იქ არის 2-3 ადამიანი, რომლებსაც ვეთანხმები ან არ ვეთანხმები, მაგრამ არაფერს ვამბობ, იმიტომ, რომ მათ გარკვეული პოლიტიკური საგზალი გააჩნიათ, თუმცა ჩემთვის არც ეს ნიშნავს ბევრს არაფერს. მე ადამიანებს ყოველთვის ვსაზღვრავ იმ საქციელით, რაც მათ დაუმსახურებიათ ქვეყნის, თავიანთი სამშობლოს წინაშე. მაგათ ავიწყდებათ, რომ დღეს სამშობლო შვილად იქცა და ისე უნდა მოვექცეთ, როგორც მშობელი ექცევა შვილს. ასეთ დღეში ჩაგვაყენეს ჩვენმა მსოფლიო მეგობრებმა საითაც არ უნდა გავიხედოთ. ძალიან მაღიზიანებს ეს ნესტან კირთაძე. ამ „ბავშვური“ და ვითომ ძალიან დახვეწილი საუბრით, მიამიტურად რომ ნაბავს თვალებს. ერთი პირი გააღოს, მეტი არაფერი მინდა და კარგად გავახსენებ თავის ზნეობრივ და მორალურ სახეს. რომ დამწკრივდნენ და დადიან ამერიკაში ეს მათხოვრები, ფულის გულისთვის ყველაფერს იკადრებენ. ერთი სიტყვით ეს ჩვენი საზოგადოგადოების ის ნაწილია, რომელმაც გახრწნა ყველაფერი.

თქვენ ჟურნალისტი ხართ და შეიძლება გეწყინოთ, მაგრამ პირველ რიგში ჟურნალისტები არიან დასასჯელები, მათ შექმნეს ეს მონსტრი, ამათ გაყიდეს ყველაფერი. „რუსთავი-2“-ში გამოზრდილი გომბიოებით გადაივსო მთელი ტელევიზიები, გამოდიან და ბოდიში გამოთქმისთვის მეტყლარჭებიან იქიდან. როგორც ქუჩაში ამბობენ, ახლა „სტრელკა“ დანიშნეს ნანა ჟორჟოლიანთან... ვინ არიან ეგენი საერთოდ, წიგნი არ აქვს არცერთს წაკითხული. თუ ძალიან აინტერესებთ და ლაპარაკი უნდათ ჩემთან, მე მზად ვარ. მაგათ ჟურნალისტობა ფულის შოვნა ჰგონიათ, 10 და 15 ათასები აქვთ ჯამაგირი. ხალხს ტვინი უსკდება, მაგრამ ზოგიერთები სახლში სხედან და კარტოფილის საყიდელი ფული არ აქვთ. ეგენი გახრწნილები არიან და არასდროს ვაპატიებ. ან ის ინტელიგენცია, რომელიც ახლა კარგად შეერწყა ყველაფერს, თავის დროზე ეგენიც პასუხს აგებენ. დამისახელეთ ერთი ტელევიზია მაინც... ახლა კიდევ მომეცა იმედი, ის „ვენახის კალია“ და „ქოსა ვენტილატორი“ რომ გაყარეს საზოგადოებრივი მაუწყებლიდან. პირდაპირ ვაცხადებ, ჭკვიანად იყვნენ, მე ჯერ არ მოვმკვდარვარ, კიდევ მაქვს იმდენი ადამიანური რესურსი, რომ თუ ვინმე შემეკითხება, ხალხის სახელით როგორ ლაპარაკობო, მობრძანდნენ და დასხდნენ ჩემს ტელეფონთან, ნახონ, საიდან არ მირეკავენ, რამდენი ადამიანი მოდის და მეხვეწება, ერთი პირი გააღე და მოგყვება მთელი საქართველოო. მე ამის მორალური უფლებაც მაქვს და ამბიციაც, რადგან ოჯახით ვიყავი ტყვიაზე შუბლშეშვერილი. უცოდველი არავინაა ამ ქვეყანაზე, მე არ ვამბობ, რომ მამა აბრამის ბატკანი ვარ, მაგრამ არასდროს მიღალატია ჩემი ქვეყნისთვის.

ახლა რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამებს.

**ბიძინა ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი პიროვნება, თავდადებული, როგორც ძალზე კეთილშობილი ადამიანი და, რაც მთავარია, გულწრფელი.**

ვსვამ კითხვას, ვიღაცებმა რომ ვალი აიღეს, სახლი გაყიდეს, ქარიშხალი ამოვარდა და



წვიმა მოვიდა, ყველაფერი ბიძინამ უნდა გადაიხადოს და გააკეთოს? თავწარგულები რომ იყვნენ ცხრა წელი და ბოდიში გამოთქმისთვის, ოჯახიანად აუპატიურებდნენ ყველას, მაშინ სად იყვნენ ეს ვაჟკაცები, ეხლა ყველა გულზე ხელს რომ იბრახუნებს? მის გარშემო სულ რამდენიმე, მაქსიმუმ ხუთ უერთგულეს ადამიანს ვხედავ, რომელიც მას არ უღალატებს. დანარჩენი, ეს ფულის ტომრები, ესენი... ხომ მოისმინეთ ვინ რას ლაპარაკობდა, არ გეგონოთ, რომ ის ჩანაწერები შეთხზულია? მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი მომწონს, მე რადიკალური კაცი ვარ, იმიტომ, რომ გამწარებული კაცი ვარ, ჩემ თავზე მაქვს ეს ყველაფერი გადატანილი. ჩვენ 2 ოქტომბერს დახვრეტილები ვიქნებოდით,



ეგენიც, ყველა კარგად იქნებოდნენ ჩამოკონწიალებული, მაგრამ იმის გამო, რომ ბიძინა არავის დევნის, ყველამ ხმა ამოიღო.

მიმიფურთხებია მე იმ საქართველოსთვის, სადაც ჟურნალი და ტელეარხი „ტაბულა“ არსებობს. რა უნდათ ამათ, არ წაგვჭამეს თავი თავისი განათლებით, რამდენი განათლებული კაცი არსებობს და არ მეშინია. ზოგიერთი მართლა განათლებულია, მაგრამ იმ განათლებაში ღრმო გული დევს



და ქართულად არ სცემს ეს გული. მერე კიდევ ეს ინტელიგენცია რომ შეიქმნა ამ იდიოტმა, ჩამოთვალეთ ეს დუტა, შმუტა და ვიღაცეები, ეს „მომღერლები“, ეს ციგნები რაღაცეებს რომ ღნავიან, საჭმელებს აკეთებენ, გადმოყრიან მუხლებს...

**ეს ელიტა, მაპატიოს მკითხველმა და თქვენთანაც ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვის, ეს არის ბოზების, მასხრების, ფულზე გაგიჟებული ადამიანების, პედოფილების და პედარასტების ელიტა... აი, ესაა მაგათი ელიტა.**

მართლა ქაჯები არიან. ერთხელ ვთქვი და ვიმეორებ, ძალიან მომწონს ის ბიჭი, მგონი იაკობაშვილია, რომელმაც პირდაპირ თქვა ამათზე ბანძებიო, ძალიან მესიამოვნა.

რა უბედურებაა ეს ტელევიზიები ყოველდღე რომ იბარებენ ნათია კობერიძეს, ეგ ქალი არის დასაჭერი, ოთხი ადამიანი გარდაიცვალა მოდელირებული „ქრონიკის“ ყურების დროს. არველაძე რომ არის, კურტუმო რომ აქვს გაბზეკილი და გამობურცული ტუჩები, ტახირიჩი, ეს მართლაც თახსირი, მეც ტახირ-ტახირო... მე მესმის ბიძინა ივანიშვილის, როცა ამბობს რომ ნელნელა უნდა მოხდეს ყველაფერი, თორემ აირევა ქვეყანა.

**ამასწინათ ერთ-ერთ გაზეთს მივეცი ინტერვიუ, იქაც ვთქვი და თქვენთანაც პირდაპირ ვაცხადებ, რაც ამ თავგასიებულმა ენდიამ გამოაცხადა, არ არის შემთხვევითი, ეს არის სიმპტომი და ხმამაღლა ვაცხადებ, ეს არის ამერიკული პროექტი, ეს არის დიდი შეთქმულება ბიძინა ივანიშვილისა და მთელი საქართველოს წინააღმდეგ. თუ ბაქრაძე გავიდა მეორე ადგილზე, მკვდარი რომ ვიყო, ხალხს მაინც გავიყვან ქუჩაში.**

მიყურონ აგერ, თუ არ გავიყვან, თუ მანამდე არ მომწამლეს ან რაღაცეები არ მომიწყვეს.

**- ბატონო რეზო, ქართული ენის დასაცავად გამოთქმულმა საკანონმდებლო ინიციატივამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ჟურნალისტურ წრეებში და საპარლამენტო უმცირესობაში. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია მათი უკმაყოფილება?**

- ასეთი ჟივილ-ხივილის ასატეხი იქ არაფერი იყო. შეიძლება იქ რაღაც ნორმები შემუშავდეს, მაგრამ წაბილწული რომ არის ჩვენი ენა და ეს უსირცხვილოები ილია ჭავჭავაძის სურათი რომ აქვთ უკან დაკიდული და საქართველოს გასანადგურებლად მოეთრნენ, ფაქტია. ეს ამბავი იმიტომ ატეხეს ამ ჟურნალისტებმა, რომ უწიგნურები, იდიოტები და ქაჯები არიან.

ესენი იმდენად მახინჯები არიან, რამდენიმე ჟურნალისტი მაინც, თავდაყირა რომ გადმოატრიალო და თავის ადგილას უკანალი რომ აღმოჩნდეს, არავითარი განსხვავება არ იქნება. ამათ ეზიზღებათ ქვეყანა, შურის მაძიებლები არიან, თავიანთი უნიჭობით. ვერ შედგნენ ეგენი და ახლა ჩამომიყალიბეს ეთიკის ქარტია. ეგღა მაკლია ახლა მაგათი ეთიკის მიხედვით ვილაპარაკო.

ენის დაცვასთან დაკავშირებით ამ აჟიოტაჟის ატეხვა უპირველესად, ჭირდებათ ზოგიერთ პარტიებს, რომლებიც ახ-

ლა თვალებს მიბრიალებენ პარლამენტიდან, მათ ახლა ჭირდებათ. რომ ქართულ ეკლესიას მოეფერონ, მაგრამ მაგათი პირველი მიზანია ქართული მართლმადიდებლობის მოსპობა, იმიტომ, რომ ის არის ერთადერთი ძალა, რომელიც საქართველოს იხსნის.

მინდა არასამთავრობოების თემაც წამოვწიო. ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია დამისახელეთ, რომელიც ქართულად აზროვნებს, ან ეროვნულ საქმეს აკეთებს და მე გავჩუმდები.

**„ვენახის კალიის“ ქმარი, ეს სისხლში გათხვრილი უტიაშვილი რომ ბლუყუნობს რაღაცას, ყველა არასამთავრობო სექტორში გადაბარგდა. შაშკინი, რომელიც დასახვრეტად უნდა იდგეს კედელთან, არასამთავრობოა, რურუა და ის წვერებიანი ბეკეკა, კაპანაძეა თუ ვინ ოხერია, ისინიც არასამთავრობოები არიან. ეს როდინდელი რონდელია თუ ვინ ოხერია, იქ იჯდა, როგორც მახვში, რომელმაც ყველაფერი გამოიარა და ყველაფერი იცის. მე მაგაზე ცუდი კაცი არ ვიცი. მე იმიტომ მინდა ჩემს ჯანმრთელობას მივხედო და ფეხზე დავდგე, რომ მერე მაგათ სათითაოდ ჩამოვუარო,**

მე ვერც გამტეხენ, ვერც მიყიდიან. ფული მე რომ მიყვარს და ხარჯვა ვიცი, ეგენი ვერასოდეს დახარჯავენ ისეთ ფულს, მაგრამ ფულის გამო ყველაფერი არ მიკადრია, თორემ გადაქექეს ყველაფერი მაგათ.



ისიც მინდა ვთქვა, რომ ბოლოს და ბოლოს წაიშალა ქალის ინსტიტუტი, არადა ქალმა გადაარჩინა საქართველო, ჩვენი მომაქცევარიც ქალია, წმინდა ნინო, საერთოდ ქალი, თამარ მეფე. ახლა დააკვირდით ქართველ ქალებს, რა ხდება. ახლა დამაბრალებენ, რომ ჩამორჩენილი ვარ, დიახ, ჩამორჩენილი ვარ, იმიტომ, რომ ჩვენი გენოფონდი ქალზეა დამოკიდებული. ბოდიშს ვიხდი გამოთქმისთვის, ამ გახრწნილი კიწმარიშვილის ცოლი რომაა აყუდებული, ორი ათასი კბილი რომ აქვს პირში, ბოზების ინდუსტრია შექმნა, 13 და 14 წლის ბავშვს რომ ტიტველს გამოიყვან და უკვე სექსუალურ მოძრაობებს ასწავლის, ის რა უნდა გაიზარდოს... ახლა აუჩემებიათ ეს ქალიშვილობის ინსტიტუტი. ნახეთ, რა მდგომარეობაა.

**მე რას ვერჩი ამ კუზანოვს, მაგრამ ეს კონვეიერი მისახედია. ეგენი ფულს აკეთებენ და ერის ზნეობასა და მორალს სპობენ. არც ერთ „პარტნოის“ არ უკერია იმდენი და „ავერლოკის“ მანქანას არ დაუხარჯავს იმდენი ძაფი, რაც მაგათ დახარჯეს, კერავენ და კერავენ, ზოგს სამ-სამჯერ კერავენ.**

წაეთრიონ, ბატონო, ჰოლანდია იქნება თუ სხვა ქვეყნები, სადაც ეს მიღებულია და ღმერთმა მოახმაროთ თავიანთი ყველაფერი.

**მერე დაანებოს ზოგ-ზოგიერთმა ღარიბაშვილის, კალაძის და ივანიშვილის ხსენებას თავი, მათი ხსენებისას პირში წყალი კარგად გამოივლონ და დააკვირდნენ ეს უმადურები. იმათაც მივმართავ თვის ბოლოს კარგად რომ დადგებიან ბანკომატებთან და ბიძინა ივანიშვილის ფულს იღებენ. იმ ხალხმა ამოიღოს ხმა და დაიცვას ეს კაცი. რატომ არ იღებენ ხმას? იმიტომ რომ, ასე არიან მიჩვეული, უნდა გაჩუმდნენ იმ დროს, როცა საჭიროა.**



ახლა მე არ მინდა ყველა ჩამოვთვალო, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა ეს ამბავი... მე რაც სათქმელი იყო, ვუთხარი „რესპუბლიკელებს“. თუ ჭკუაზე მოვლენ და ამ კაცს ბოლომდე გვერდში დაუდგებიან,

**მე ყველაფერს გადავყლაპავ, გავჩუმდები ჩემი ქვეყნის გულისთვის, მაგრამ თუ კიდევ შევატყობ იმას, რომ ლევან ბერძენიშვილისთვის მეორე ნომრად ბაქრაძეა მისაღები, მაშინ ბერძენიშვილს ვერც ნორლანდი უშველის, ეს „გენერალ-გუბერნატორი“, ვერც ბიძინა ივანიშვილი და ვერც მამა ღმერთი.**

მე შევეწირები ამ ამბავს და არ დავუშვებ, რომ ნაციონალებმა ისევ იფართხალონ ამ ქვეყანაზე და ვნახოთ, შემიძლია თუ არა ეს. არასოდეს მითქვამს რამდენი ხმამაღალი მუქარები იყო ჩემს მიმართ, რამდენი არამზადა მოდიოდა და მემუქრებოდა, ვერ გამტეხენ, რადგან მე არაფერი მაქვს დასაკარგი. მე ჩემი შვილით ვიყავი ტყვიაზე შუბლმიშვერილი და ვითომ არაფერი. პოლიტიკოსებს ყოველთვის ეშინოდათ ჩემი, კარგად მიცნობდნენ, ამიტომ ყველა ცდილობდა მე შორს ვყოფილიყავი და თვითონ ყოფილიყვნენ წინ. არც მაინტერესებდა. მე სამჯერ მქონდა უფლება, რომ დავთანხმებულიყავი. პარლამენტში ვიქნებოდი, მაგრამ რა ჩემი საქმეა პარლამენტში ყოფნა.





**- არასამთავრობოებთან დაკავშირებით იქნებ უფრო კონკრეტულად გესაუბრათ, რომელ ორგანიზაციებს გულისხმობთ?**

- ვინ არის ეს საია, მისი დირექტორი კოჟორიძე და სხვა ძმანი მათნი, ვინ დანიშნა ისინი საქართველოს დირექტორებად, რომ მათი „რჩევა-დარიგებანი“ ვისმინოთ? მე მოვუწოდებ ჩვენს სამართალდამცავებს, შეისწავლონ, ოღონდ ისე კი არა, როგორც ეს იდიოტი „გალსტუკიანი ხვლიკი“, ეს ნორლანდის შემოგდებული ლაწირაკი ამბობს. მაგათი და მაგნაირების დაქცეულია ეს ქვეყანა. მაგას ისე აინტერესებს ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვა, როგორც მე მაო ძე დუნის დეიდაშვილი სად არის გათხოვილი და სად არის დამარხული.

სანამ უშიშროების საბჭოში ეს „გამძღარი პითონი“ ბოკერია ეგდება, ეს ყველაზე გათახსირებული ადამიანი ქვეყანაზე, ეგ და ბენდუქიძე, მანამდე არაფერს ეშველება. თუ უშიშროების საბჭო ნამდვილად არ გადავიდა ეროვნული კაცის ხელში, ის ვინც საქართველოზე ფიქრობს, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება.

ყველა დააკვირდეს თავის გამოთქმებს. ივანიშვილმა სწორად უთხრა ზოგიერთს, რაღაცას რომ ლაპარაკობენ, უნდა დააკვირდნენ, ნუ არიან აღშფოთებულები, ის კაცი გულწრფელად იყო შეშფოთებული, იმიტომ რომ, არ უნდა, არ სჯერა. რაც ამათ თავში მოიხარშება, ივანიშვილს თავში არასოდეს მოუვა, იმიტომ რომ, მას თავისი ზნეობა ამის გაფიქრების უფლებას არ აძლევს. პირდაპირ ვაცხადებ, თუ ჩემი სამშობლოს გვერდით ბოლომდე არ იდგება ადამიანი, საქვეყნოდ ვდებ პირობას ბაია ამაშუკელიც რომ იყოს, არ ვაპატიებ ამას.

**ჩემი ჯიხადის ქამარი, ჩემი სიმართლე და სინდისია. პირდაპირ ვაცხადებ, ტესტი და გზავნილია თუ რა ოხრობაა, ჩემთვის და საქართველოსთვის იქნება ის - თუ გამოაცხადეს, რომ ბაქრაძე გავიდა მეორე ადგილზე მოვუწოდებ მთელ საქართველოს, ახლავე შეუძლიათ დამიჭირონ ამ მოწოდებისთვის, არ დაემორჩილოთ არავის, ყველანაირად უნდა გავაპროტესტოთ, იმიტომ, რომ ეს არის რეანიმირება ამ ფაშისტების**

და ეგენი უკვე მზად არიან ამისთვის, ხომ ხედავთ როგორ იქნევენ თითებს და რა გონორით არიან.

რა უფლებით დაბრუნდა შაშკინი, მაგას ამერიკისგან გარანტია რომ არ ჰქონდეს მიცემული აქ ჩამოვიდოდა? ღმერთმა ქნას რომ ვცდებოდე, მაგრამ იშვითად შევმცდარვარ, **ესენი**



**ერთ უბედურებას კიდევ დაატრიალებენ საქართველოში.**

გეხსომებათ, ნორლანდს წერილი რომ გავუგზავნე, რა პატივისცემით მივწერე, მაგრამ შეიგნო ვინმემ? ნორლანდი სახლში რომ მიდის „გალსტუკიან ხვლიკთან“, ერთხელ თუ იყო მერაბ ბერძენიშვილთან, პატივი რომ ეცა და ენახა ჩვენი სასიქადულო ადამიანი, ან ზურაბ ნიჟარაძესთან მივიდა, ან რომელიმე მწერალთან, თუნდაც ჭაბუა ამირეჯიბთან? ჩვენი სულიერება მაგათ ფეხებზე ჰკიდიათ, იმიტომ, რომ თვითონ არ გააჩნიათ სულიერება. რას ვერ ინელებენ, იცით, ყველაზე მეტად, რომ ამ იდიოტში... ეს (მიხეილ სააკაშვილი) სპეციალურად დააქორწინეს სანდრაზე, რომელიც ერთი წელი ცხოვრობდა ქუთაისში და არა მგონია, რომ იქ მარტო ტყემალი და ხაჭაპური ეჭამა.

**- უკვე დიდი ხანია საუბრობენ, რომ ჩვენი პირველი ლედი სპეცსამსახურების თანამშრომელი გახლდათ და მეგრულიც მანამდე იცოდა, სანამ ქართველების რძალი გახდებოდა.**

- რასაკვირველია, ეს ქორწინება ტყუილად არ მოხდა, მაგან მეგრულიც მანამდე იცოდა და პარაშუტითაც კარგად ხტებოდა. ან ეს გათახსირებული უგულავა, ეს სუპერ გახრწნილი ადამიანი... ესენი ხომ „კმარას“ ინსტრუქტორები იყვნენ, შეგზავნილი იყვნენ ეკლესიაში, ეს დიდი ხნის მომზადებულია, ინსტიტუტები მუშაობდნენ ამაზე. ამერიკელებმა ვერ მოინელეს, რომ „ვარდების რევოლუციის“ იდეაში და ამ იდიოტში მილიარდები ჩაყარეს და ვერ თმობენ თავიანთ მარცხს. ეს არის მთელი უბედურება და ეს იდიოტური კოაბიტაციაც ეს არის. მე კიდევ ვიმეორებ, ვინც მიცნობს დამიჯერებს, ილოცეთ ბიძინა ივანიშვილზე, „ნაცმოძრაობის“ ბატონობა კიდევ 30 წელი რომ არ გაგრძელდა, თორემ ამოგვჟლეტდნენ, ქალებს საშვილოსნოებს ამოაჭრიდნენ, კაცებს დაასაჭურისებდნენ, ქართულ ენას მოსპოდნენ და საქართველოს ბოლომდე გაანადგურებდნენ, როგორც ერს. ილოცეთ, თუ ჭკუა გაქვთ, თუ არა და დადექით და იყაყანეთ, ირბინეთ და წივილ-კივილი დაიწყეთ, თუ მობრუნდნენ, მერე გაგახსენდებით.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ნატოს კანფეტი თბილისისთვის

***ჩრდილოატლანტური ალიანსის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები ნატოს სწრაფი რეაგირების ძალთა შემადგენლობაში 2015 წლიდან შევა. განცხადება ამ ინფორმაციის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გააკეთა და მას უკვე მოჰყვა ექსპერტთა არაერთგვაროვანი შეფასებები.***

„საქართველოს და ნატოს უფრო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობამ, ბლოკის სწრაფი რეაგირების ძალებში ჩართვით, შესაძლოა, ნეგატიური გავლენა მთელს რეგიონზე მოახდინოს. საქართველო აგრესორი ქვეყანაა, რომელიც არ აღიარებს ამ პასუხისმგებლობას; მეორე მხრივ, ამ გადაწყვეტილების შესრულებით, საქართველო რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების პლაცდარმი გახდება“, – ეს რუს ექსპერტთაგან ერთ-ერთის ვარაუდია. რა ხდება სინამდვილეში?

### დემოკრატია ნატოს მიხედვით

ნატოს სწრაფი რეაგირების ძალთა გაფართოების შესახებ გადაწყვეტილება ბრიუსელში, 28 ქვეყნის – ალიანსის წევრი-სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრთა თათბირზე 21-22 თებერვალს მიიღეს. ასეთი ძალების გაფართოება-გაშლა ნაწილია „ჩიკაგოს თავდაცვითი პაკეტისა“, რომელიც მოიცავს ორ ინიციატივას: „გონივრულ თავდაცვასა“ და „ძალთა შეერთებას“. სწორედ მეორე ინიციატივა ითვალისწინებს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალთა შექმნას, რომლებიც მუდმივ მზადყოფნაში იქნებიან. მასში შევლენ ბლოკის წევრი ქვეყნების სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სამხედრო ძალთა დაჯგუფებები. ალიანსის გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან პრიორიტეტული დაფინანსებით, მუდმივი წვრთნის პროცესით და რაც მთავარია, ეს იქნება „თანამშრომლობის სკოლა და იმავდროულად – სწრაფი რეაგირების ინსტრუმენტი“.

როგორც ირკვევა, სწრაფი რეაგირების ძალები მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდება ალიანსის გაერთიანებული სამხედრო არმიისა, რომელიც ჩრდილო-ატლანტური შეთანხმების სპეციალური მუხლის საფუძველზე შეიქმნა. ამ მუხლის თანახმად, „შეთანხმების მიზნების უფრო ეფექტიანად განსახორციელებლად, შეთანხმების მონაწილე მხარეები, ცალ-ცალკე და ერთად... მხარს დაუჭერენ ერთმანეთს, გაზრდიან თავიანთ ინდივიდუალურ და კოლექტიურ პოტენციალს შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ ბრძოლისას“.

აქედან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: იმისათვის, რომ 2015 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები ნატოს სწრაფი რეაგირების ძალთა ნაწილად იქცეს, ქვეყანა ალიანსის წევრად უნდა მიიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩრდილო-ატლანტური შეთანხმება დაირღვევა.

ბუნებრივია, ალიანსმა ამ შეთანხმების საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს, გახდება თუ არა საქართველო ნატოს წევრი. და არა მარტო ამ შეთანხმებით. საქმე ის გახლავთ, რომ ვაშინგტონში 1949 წელს ხელმოწერილი შეთანხმების მე-10 მუხლის თანახმად, ნატოს შეუძლია „მიუერთდეს ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც თავის წვლილს შეიტანს რეგიონის უსაფრთხოებაში“. ალიანსში განმარტავენ, რომ ევროპის საზღვრებს მიღმა ნატოს თუნდაც თეორიულად გაფართოების შესახებ ლაპარაკი უაზრობა იქნება, თუკი არ მოწესრიგდება საბაზო საკანონმდებლო დოკუმენტი – ვაშინგტონის 1949 წლის შეთანხმება, რომელშიც ერთხელ, 1952 წელს უკვე შეიტანეს ცვლილება თურქეთის ალიანსის წევრად მიღების გამო.

კიდევ ერთი განმარტება: ნატოს საბაზო დოკუმენტში ხშირად გვხვდება ტერმინები – „რეგიონი“ და „რეგიონული უსაფრთხოება“. „რეგიონი“ ვერ მოიცავს დედამიწას მთლიანად ან მისი კონტინენტების უმრავლესობას. ამიტომაც ჩრდილო-ატლანტური შეთანხმების მიხედვით, რეგიონი მოიცავს ევროპას, ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილსა და ჩრდილოეთ ამერიკას.

ალიანსთან საქართველოს შესაძლო მიერთებას ხელს უშლის როგორც საკანონმდებლო ბაზა, აგრეთვე სხვა დოკუმენტებიც; კერძოდ, ატლასი „მსოფლიოს ყველა ქვეყანა და ტერიტორია. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახალი გეოგრაფიული ცნობარი“ (გამომცემლობა **The World Factboor**, 2007 წელი, აშშ). ამ ცნობარში მითითებულია, რომ საქართველო გეოგრაფიულად განლაგებულია სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ნატოში გაერთიანების იდეოლოგები აზიასა და ევროპას შორის გეოგრაფიული საზღვრების საბჭოური მოსაზრებით ხელმძღვანელობენ.

რა გამოდის – საქართველოს ნატოში გაწევრიანება ჩრდილო-ატლანტური შეთანხმების მე-10 მუხლის, რაც მთავარია, გაეროს წესდების დარღვევას გამოიწვევს?! ალიანსის წრეებში გამუდმებით ლაპარაკობენ (და ეს უკვე დოგმად იქცა), რომ ნატოს გაფართოება, ავტომატურად, ევროპაში დემოკრატიული სივრცის გაფართოებასაც ნიშნავს. ამასთან, დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთი პრინციპის თანახმად: „ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული“. ჩნდება კითხვა – როგორ შეიძლება გაფართოვდეს ევროპის დემოკრატიული სივრცე, თუკი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები დაირღვევა?



### თავისით გაიწოვება

ნატოს დემოკრატიისთვის მებრძოლ კავშირად წარმოჩენის მისწრაფება ალიანსის მომავალი წევრის მიმართ მოთხოვნების ხასიათსაც განსაზღვრავს. კერძოს, 26 ივნისს თბილისში ვიზიტისას, რასმუსენმა პრესკონფერენციაზე განაცხადა: „საქართველოს სრული ინტეგრაცია ნატოში ჩვენი ამოცანაა. თუ საქართველო აუცილებელ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, უსათუოდ გახდება ნატოს წევრი“.

როგორია ეს მოთხოვნები, გენერალურმა მდივანმა ჯერ კიდევ 2011 წელს თბილისში ყოფნისას განმარტა. უწინარესად, აუცილებელია საარჩევნო რეფორმის უზრუნველყოფა; მეორე – უნდა გამყარდეს „კანონის უზენაესობა“; მესამე, როგორც მათგან გამომდინარე – „სასამართლო რეფორმის გაგრძელება და ამ პროცესებში სამოქალაქო სექტორის ჩართვა“.



რა წარმატებებს მიაღწია ამ რეფორმების გატარებაში საქართველომ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობითა და ნატოს პატრონაჟით, ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, ახლახან, ებრაულ გამოცემასთან ინტერვიუში განაცხადა: „სინამდვილეში, ის პატივს არ სცემდა საქართველოს კანონებს. ნიჭიერია, მან მსოფლიო მოატყუა... თავს დემოკრატად აჩვენებდა. ყველა მხარს უჭერდა, მაგრამ შემდეგ მიხვდნენ, რომ ავტორიტარულ რეჟიმს აშენებდა...“.

სავარაუდოდ, სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც ნატოს გენმდივანს თბილისში ალიანსის ნებისმიერი წევრის მიმართ მთავარ მოთხოვნაზე არ ულაპარაკია – მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემების არარსებობაზე. ამის შესახებ არც 2011-ში უთქვამს და არც მოგვიანებით. გავიხსენოთ – 2008 წლის გაზაფხულზე, ბუქარესტის ნატოს სამიტზე საქართველოს ალიანსში მიღებას დაჰპირდნენ და როგორც ჩანს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარებაზეც ილაპარაკეს. ამ საუბრებმა უბიძგა მიხეილ სააკაშვილს, როგორც ამბიციურ და ავტორიტარულ ხელმძღვანელს, 2008 წელს სამხრეთ ოსეთი საქართველოს იურისდიქციაში ძალადობრივი გზით დაებრუნებინა.

დუგ ბანდოუ – წარსულში რონალდ რეიგანის მრჩეველი, ახლა ანალიტიკურ ცენტრ „თავდაცვითი პოლიტიკის ამერიკული კონსერვატული ალიანსის“ მეცნიერ-მუშაკი, 2012 წელს ჟურნალ „ფორბსში“ გამოქვეყნებულ წერილში – „ელექტორული შოკი საქართველოში: დროა, თბილისმა თავიდან ამოიგდოს ნატოსკენ მისწრაფება“, წერდა:

„სააკაშვილის საგარეო პოლიტიკის ყველაზე დიდი ჩავარდნა რუსეთთან 2008 წლის ომის დაწყება იყო, რომელშიც დამარცხდა. ზუსტად ისე, როცა საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოვიდა, საქართველოს სახელმწიფოს გამოეყნენ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი; რასაკვირველია, ეს მოსკოვის ჩაურევლად ვერ მოხდებოდა. ამ რესპუბლიკებს დამოუკიდებლობის ისეთივე უფლება გააჩნდათ, როგორიც საქართველოს, როცა ის სსრკ-ს გამოეყო. სამწუხაროდ, სააკაშვილს მიაჩნდა, რომ თვითგამორკვევის უფლება მხოლოდ ქართველ ხალხს ჰქონდა; მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, სამხრეთ ოსეთში რუსეთის ჯარი (სამშვიდობო კონტინგენტი) იდგა, მაინც შეიჭრა“.

შესაძლოა, ალიანსი ახლაც მოლოდინის რეჟიმშია, როდის მიხვდება საქართველოს ხელისუფლება, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებს არ სურთ საქართველოს შემადგენლობაში ცხოვრება და ამას ნატოც კი ვერ აიძულებს მათ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადრე თუ გვიან ამ რესპუბლიკების აღიარების დრო დადგება; ანუ ალიანსი მოქმედებს პრინციპით „თავითონ გაიწოვება“ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტენ ბლოკში საქართველოს მიერთებას. მით უმეტეს, რომ არსებობს კოსოვოს აშკარა მაგალითი – სერბეთისგან დამოუკიდებლობა ხომ ნატოს წყალობით მიიღეს. ნატოს მაღალი რანგის მოხელეები ამ პროცესს აჭიანურებენ და საქართველოს ისეთ მოთხოვნებს უყენებენ, რომელთა შესრულებასაც წლები სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მოხდეს ის, რის შესახებაც წერდა დუგ ბანდოუ თავის წერილში „საქართველოს სახიფათო დრეიფი ნატოსკენ“:

„ნატომ ამერიკის შეერთებული შტატები უფრო მეტად დაცული უნდა გახადოს. თუმცა საქართველოს საზღვრებამდე ნატოს გაფართოება გააძლიერებს ომის წარმოშობის ალბათობას. თუ თბილისი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებს წამოიწყებს, მასში მოსკოვიც ჩაერთვება. ეს კი რუსეთსა და ნატოს შორის კონფრონტაციას წარმოშობს. შედეგად, შესაძლოა, დაიწყოს ომი, რომელსაც დასავლეთმა მოახერხა და „ცივი ომის“ პერიოდში თავი აარიდა. რასაკვირველია, ძირითადად იბრძოლებენ ამერიკელები – არსებობს სახიფათო ალბათობა, რომ ეს კონფლიქტი ბირთვულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთს სუსტი არაბირთვული ძალები გააჩნია“.

საერთაშორისო ურთიერთობის გამობრძმედილი სპეციალისტის სცენარი ფანტასტიკას არ ჰგავს. აი, რას წერს ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ გამართული ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის შესახებ თავის წიგნში – „არ არსებობს უფრო დიდი პატივი“:

„სხდომა მღელვარედ წარიმართა, რუსეთის შესახებ ცხელ გულზე ნათქვამი განცხადებები ისმოდა. გარკვეულ ეტაპზე ჩაერთო სტივ ჰედლი, თეთრი სახლის მრჩეველი უშიშროების საკითხებში, რომელიც იშვიათად იქცევა ასე. ეს მაშინ მოხდა, როცა ცხარე ლაპარაკი მიმდინარეობდა იმის შესახებ, რითი დაემუქრებოდნენ ამერიკას. „შეკითხვის დასმა მინდა, – თქვა მან მისთვის ჩვეული მანერით, – საქართველოს გამო რუსეთთან ომში უნდა ჩავებათ?“ ოთახში სიჩუმემ დაისადგურა, ჩვენც დავმშვიდდით და მსჯელობა დავიწყეთ პროდუქტიულ ღონისძიებებზე, რომელთა გამოყენებაც შეიძლებოდა“.

იმედი ვიქონიოთ, რომ აღწერილი ვითარების გათვალისწინებით, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დროიდან, ალიანსთან საქართველოს მიერთების მთავარი იდეოლოგი – ამერიკის შეერთებული შტატები სათანადო დასკვნებს გამოიტანს. მას შემდეგ ფაქტობრივად ბევრი არაფერი შეცვლილა. ამის დასტურად გამოდგება ნატოს მორიგი კანფეტი საქართველოსთვის – დაპირება, რომ 2015 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ჩაერთვებიან.

**მოამზადა გ. ჭაჭაჭაძემ.**

# ვაჟა ბერიძე: პრემიერთან საუბრები ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ისეთი ფორმატი, რაც ექსპერტებთან შეხვედრისას იყო, შედეგის მომტანი არაა

*გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი ვაჟა ბერიძე:*

**— ბატონო ვაჟა, წინა კვირას ექსპერტებთან გამართულ შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა „დაგტუქსათ“. თქვენ პრემიერის პოლიტიკიდან წასვლას არ ემხრობით. რა პრობლემას ხედავთ მისი წასვლით, რა საფრთხეები იკვეთება?**

— ასეთი რადიკალური და ეფექტური ნაბიჯები, არ მაგონდება, სხვა რომელიმე მთავრობას გადაედგას და ხალხზე ეზრუნოს. იმ პირობებში, როცა ორხელისუფლებიანობაა, მიმდინარეობს კოაბიტაციის რთული პროცესი, ამ სიკეთეების ხალხამდე მიტანაში, ბუნებრივია, გარკვეული ხარვეზებია — შეუთანხმებლობაა ხელისუფლებათა შტოებს შორის, ადგილობრივი თვითმმართველობების დიდ ნაწილს ისევ „ნაცმოძრაობა“ აკონტროლებს, ამავე დროს, სახელისუფლებო ვერტიკალი, რომელიც კოალიციის პირობებში ყალიბდება, ხშირად ეფექტური არაა. ეს ბუნებრივია, ახალი მთავრობის მუშაობის პროცესში ხარვეზებს აჩენს. პოზიტივი ბევრია, მაგრამ არის მთელი რიგი საკითხები, რაც გლობალურ პრიზმაში უნდა გადაიჭრას. ამ მიმართულებით გასაკეთებელი ბევრი დარჩა. ამ დროს კი პრემიერის პოლიტიკიდან წასვლა, სერიოზული პრობლემაა ქვეყნისთვის. შესაძლოა ამან მთელი რიგი თანამდევი პროცესები გააჩინოს, მაგალითად, ინვესტორების ჭოჭმანი, პარლამენტის ლეგიტიმაციის საკითხი და ა.შ. სწორედ ამის თაობაზე მქონდა პრემიერთან დისკუსია, თუმცა არცთუ სახარბიელო ფორმატით. სხვა შემთხვევაში, პრემიერთან შეხვედრა დიდი პატივია.

ვფიქრობ, ასეთი ფორმატი შედეგის მომტანი არ არის.

**— სოსო ცინცაძემ აღნიშნა, ერთადერთი ექსპერტი იქ ივანიშვილი იყო, დანარჩენები კი დილეტანტი ენციკლოპედისტებიო. „მასტერ-კლასით“ კმაყოფილი ხართ?**

— სოსო ცინცაძეს სრული უფლება აქვს ასე ფიქრობდეს. მას სრული უფლება აქვს მიიჩნიოს, რომ დარბაზში ექსპერტები არ ისხდნენ. ექსპერტების მიმართ პრეტენზია, რომ მათი ცალკეული შეხედულებები დასაბუთებული არ არის. მეორე მხრივ, როგორც შეხვედრის ერთ-ერთ წარმომადგენელს, შემიძლია შემდეგი ვთქვა — ვფიქრობ, პირიქით, პრემიერის პრეტენზიები ექსპერტების მიმართ დასაბუთებული არ იყო.

**— წელან ახსენეთ, გასაკეთებელი ბევრიაო. მაგალითად, კახი კახიშვილმა სამართლიანობის აღდგენის პროცესთან გამოთქვა დასაბუთებული პრეტენზიები. თქვენს სფეროში რა მიგაჩნიათ ყველაზე დიდ შეცდომად და იქნებ გვითხრათ, რას გულისხმობთ ბევრ გასაკეთებელში?**



— ბუნებრივია, სამართლიანობის აღდგენის კუთხით, უფრო ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო. მთავრობამ ვერ მიაგნო ამ საკითხის გადაწყვეტის გზას. არადა, ივანიშვილსაც კარგად ესმის, რომ ამ საკითხის იგნორირება, არ შეიძლება. რაც შეეხება სხვა საკითხებს, აუცილებელი და დასაჩქარებელია ინვესტიციების შემოდინების პროცესი. მართალია, ამ კუთხით, სტატისტიკური მონაცემებით, კლება ჯერჯერობით არ შეინიშნება, მაგრამ აუცილებელია ინვესტიციების მოცულობა გაიზარდოს, რათა მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდოს და ქვეყნის ეკონომიკა სტაგნაციის მდგომარეობიდან გამოვიდეს.

ამიტომ ვთქვი, რომ ხალხის მიერ ერთხმად არჩეული პრემიერის წასვლა პროცესს ლოგიკურ დასასრულამდე არ მიიყვანს. რაც არ უნდა კარგი ადამიანები მოვიდნენ ხელისუფლებაში, ივანიშვილის ფაქტორს კომპენსირებას ვერ გაუკეთებენ. ივანიშვილი ბევრი ღირსებით მოვიდა ხელისუფლებაში და არენიდან მისი წასვლა ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს. თუმცა აცხადებს, თუ საჭირო გახდა, უკან დავბრუნდებიო.

**— ეს რამდენად მართებული განცხადებაა — ხან მოდის, ხან მიდის, ეს პროცესი როგორ აისახება ქვეყანაზე?**

— არ ვიცი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ბატონი ბიძინა ქვეყნის ბედზე ფიქრობს, მაგრამ საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ყველაფერი ხალხის გადასაწყვეტია. ხალხი მიესალმა მის მოსვლას ხელისუფლებაში და სწორედ იგია გულდაწყვეტილი, იმედგაცრუებული ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის გამო. ხალხს იმედი ჰქონდა, რომ ივანიშვილი, როგორც დასაწყისში ამბობდა 2-3- წელს გაატარებდა ხელისუფლებაში და ეს ნაყოფიერი იქნებოდა. მინდა იმ გარემოში ვიცხოვრო, სადაც ადამიანები მშვიდად იქნებიან. პრემიერისგან ჩემი დამუნათების ტონი, პრაქტიკა მიუღებლი იყო და დემოკრატიული მმართველობის ქვეყნებში მისაღები არაა.

**— რაც შეეხება ბიზნესის ხელშეწყობას, რამდენად რეალურია ეს. ცოტა ხნის წინ ბიზნესმენმა თამაზ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ახალი ხელისუფლება მას ავიწროებს და ივანიშვილთან შეხვედრა ითხოვა, თუმცა უშედეგოდ. ცეზარ ჩოჩელს 5 მსხვილი ქარხანა დაუყადაღეს. რა ხდება, ბიზნესი ისევ მარწუხებშია, კვლავ ვიწროვდება?**

— ჩოჩელის დევნა, თავისთავად, პრეცედენტია, რასაც ახალმა მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს, რათა არ აღმოჩნდეს, რომ მისი სამართლებრივი დევნა ბიზნესმენის შევიწროებაა. თუ ასე მოხდა, იმავე წრეზე დავბრუნდებით, რაც ძველი ხელისუფლების დროს იყო — ბიზნესმენთა ერთ ნაწილს ავიწროებდნენ, მეორეს — მფარველობდნენ და კონკურენტული გარემო ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ არსებობდა.

**— თუმცა, დღეს საზოგადოებაში ბევრი პასუხგაუცემელი კითხვებია. გარდა იმისა, რომ ჩოჩელი და ელიზბარაშვილი ღიად საუბრობენ თავიანთი ბიზნესის შევიწროებაზე, სხვა პრობლემებიც ბევრია.**

— ვფიქრობ, ივანიშვილი მართალია, როცა ბრძანებს, ხელისუფლება ბიზნესს უნდა გაემიჯნოსო და — პირიქით. ერთ-ერთ შეხვედრაზე მან თქვა: ხელისუფლება მოვიდა თქვენთან? ატეხეთ წივილ-კივილიო. აბსოლუტურად სწორია.



**— კი ატეხა ელიზბარაშვილმა წივილ-კივილი, მაგრამ ვინ უსმენს.**

— ჩვენ ხომ არ ვიცით, ივანიშვილმა იქნებ მოუსმინა. გაითვალისწინეთ, რა მდგომარეობაშია ჩვენი სამართალდამცავი სისტემა, არა მარტო ელიზბარაშვილი, არამედ 20 ათასი ადამიანი ელის სამართლიანობის აღდგენას. ივანიშვილი აღიარებს, რომ არ არსებობს საშუალება ერთდროულად ამდენი ადამიანის საქმის მოკვლევის. სააკაშვილის დროს ასეთი ფაქტები უამრავი იყო, ახლა ვეძებთ ფაქტებს, რაც კარგია, თუ ასეთ ფაქტებს კვლავ აღმოვაჩენთ, ვაჟას პრინციპით, რაც უნდა ჭირი მოგვკერძონ, ამის შესახებ მაინც დავწერთ, ვიტყვით და ა.შ.

**— რაც შეეხება მიწების უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვას. ივანიშვილმა განაცხადა, ეს შეცდომა იყოო. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ?**

— როგორც ამ საქმეში ჩახედული ადამიანი და ღია ეკონომიკის მომხრე, უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიყიდვას მხარს ვუჭერ, მაგრამ როგორც საქართველოს მოქალაქე და ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესების მქონე ადამიანი, ამ ეტაპზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უცხოელებზე პირდაპირ მიყიდვის წინააღმდეგი ვარ. ამაში ქართველები ორიგინალურნი ნამდვილად არ ვართ. ასე უყურებენ ამ საკითხს ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ამერიკელები და ა.შ. მაგალითად, ახალ ზელანდიაში ორ ჰექტარზე მეტი მიწა რომ იყიდოთ, მიწის ტრიბუნალის წინაშე უნდა წარსდგეთ, რომელიც აანალიზებს, შეიძლება თუ არა თქვენთვის მიწის მოყიდვა, იკვლევენ, რას გააკეთებთ, რა ტიპის მეურნეობა გექნებათ, ვის დაასაქმებთ და ა.შ. ყველა ქვეყანაში სხვადასხვა რეგულაცია და აკრძალვაა. მიწა არამარტო ჩვენი იდენტობის არსებითი მომენტია, არამედ ჩვენი საგანძურია. ამიტომ ივანიშვილს მხარს ვუჭერ — 2015 წლის იანვრამდე უნდა დაჩქარდეს იჯარით მიწების გაცემის პროცესი, ამასობაში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასაც შეიძლება მოვაწეროთ ხელი. უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება ევროკავშირის წევრები გავხდეთ, მაშინ ყველაფერი თავისთავად დალაგდება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ვფიქრობ, მეორე ტური გარდაუვალია



## უუფლებო საქართველოს პრეზიდენტობისთვის 23 კანდიდატი იბრძოლებს

***საზოგადოებისთვის პრეზიდენტობის დაახლოებით 10 კანდიდატია ცნობილი, დანარჩენებმა თავადაც მშვენივრად იციან, რომ არჩევნებში მათი გამარჯვების შანსი უტოლდება ნულს, — ამბობს ჩვენი სტუმარი, პოლიტიკური პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღიძე.***

— მმართველ კოალიციას აქვს პრეტენზია, რომ არჩევნებს მოიგებს და მათი კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გახდება საქართველოს პრეზიდენტი. თუმცა მე ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები გამაჩნია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან სერიოზულად გაუცრუა იმედები საქართველოს მოსახლეობას, თუ გავითვალისწინებთ პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, რაც სერიოზულ დარტყმას აყენებს მარგველაშვილის კანდიდატურას, რომლის რეიტინგი პირდაპირ არის მიბმული კოალიციის რეიტინგზე, ვინაიდან მარგველაშვილს ცალკე აღებული რეიტინგი და ღვაწლი საქართველოს მოსახლეობის მიმართ არ გააჩნია, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, აუცილებლად დაინიშნება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კოალიციის და ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატები.

ნაცმოძრაობა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და აცხადებს, რომ განიცდიან ზეწოლას, არ არიან თანაბარ პირობებში ჩაყენებული მმართველ კოალიციასთან.

**— ფიქრობთ, შეიძლება გააპროტესტონ არჩევნების შედეგები?**

— რა თქმა უნდა, გააპროტესტებენ. თუმცა, რაც შეეხება პროტესტს, მინდა გითხრათ, რომ ქალბატონი ნინო ბურჯანაძის განცხადებებში უკვე შეინიშნება, ის აცხადებს, რომ თუ ის არ გახდება საქართველოს პრეზიდენტი, ხალხს ქუჩაში გამოიყვანს. ასე რომ, ვინც არ უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, მიმაჩნია, რომ ქუჩის აქციები მაინც დაიწყება. ამას ყველა შემთხვევაში გააკეთებს ნინო ბურჯანაძე. ქუჩის აქციებს არც ნაციონალები გამორიცხავენ. პოლიტიკური ძალები წინასაარჩევნოდ ქმნიან ფონს, რომ საპროტესტო ტალღა უნდა დაიწყოს. ეს რთული არ იქნება, საზოგადოებაში სერიოზული იმედგაცრუებაა, ძალიან მძიმე ქვეყანაში სოციალარი ფონი. ვფიქრობ, მეორე ტური იქნება გარდაუვალი და მეორე ტურის დროსაც ჩვენს ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები განვითარდება.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში დამკვიდრდა ეს მავნე ტრადიცია, როდესაც პოლიტიკოსები ატყუებენ საკუთარ ამომრჩეველს. ეს გააკეთა ''ქართულმა ოცნებამ'', როდესაც საკმაოდ ბევრი დაპირებით მოვიდა ხელისუფლებაში და რეალურად არაფერი გაუკეთებია. რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატებს, გაპრეზიდენტების შემთხვევაშიც კი ქალბატონ ბურჯანაძეს არ გააჩნია არანაირი ბერკეტები, თუნდაც აღადგინოს სამართლიანობა.

**— არც სხვას?**

— რა თქმა უნდა, არც სხვა კანდიდატს არანაირი ბერკეტები არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, აპელირება იმაზე, რომ ისინი საქართველოში აღადგენენ სამართლიანობას, არის თავშივე ჩადებული სიცრუე. ეს არის ტყუილი, ვინაიდან პრეზიდენტს ამის უფლებამოსილება არ ექნება და ისინი ამას ვერ გააკეთებენ. მე არ მინდა საპრეზიდენტო არჩევნების როლის დაკნინება, მაგრამ ცალსახაა, რომ პრეზიდენტს დღეს არ აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი.

**— დღეს ყურადღება მახვილდება მხოლოდ მომავალ პრეზიდენტზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით იქნება უუფლებო. მაგრამ საქართველოში ვაკანტური რჩება პრემიერის პოსტი. ვინ შეცვლის პრემიერს?**

— ვფიქრობ, ეს საკმაოდ ძნელად პროგნოზირებადია. თუ გავითვალისწინებთ, რომ პრემიერ-მინისტრმა საკმაოდ უაპელაციოდ წარმოადგინა პრეზიდენტობის კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი, ფიგურა, რომელიც განსაკუთრებული რეიტინგით არ სარგებლობდა არც კოალიციაში, არც საზოგადოებაში, ძნელად მისახვედრია, თუ ვის დაასახელებს თავის შემცვლელად პრემიერი ივანიშვილი. არის სხვადასხვა კანდიდატურებზე საუბარი, მაგრამ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც პრემიერ-მინისტრის არაორდინალურ გადაწყვეტილებას უნდა ველოდოთ. თუმცა ცალსახაა, კოალიცია „ქართული ოცნება“ დღითიდღე კარგავს მხარდამჭერებს, ეს გამოწვეულია იმით, რომ ის ახორციელებს არათანმიმდევრულ პოლიტიკას ქართულ სახელმწიფოში. საქართველოს საგარეო კურსი გაურკვეველია, მას შემდეგ რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში ორმაგი სტანდარტებით მიდის მოქმედება, ეს ჩვენს ქვეყანას ზიანს აყენებს.

მინდა ვთქვა, რომ წინასაარჩევნო გარემო ჩვენს ქვეყანაში გაუმჯობესებული არ არის, რასაც „ქართული ოცნება“ აპროტესტებდა სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ამ მავნე ტრადიციებს საკმაოდ წარმატებულად იყენებს და აგრძელებს. როგორც ჩანს, ისინი დღეს ხელისუფლებაში ყოფნით ტკბებიან და საზოგადოების ბედი ნაკლებად აწუხებთ. ნაკლებად აწუხებთ, რომ ასეულობით ადამიანია ჩვენს ქვეყანაში სოციალურად დაუცველი, ხელისუფლება პრაქტიკულად, არაფერს აკეთებს, რომ მოსახლეობას ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს ის ყოფა, რა ყოფაშიც იმყოფება მოსახლეობა. ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის კუთხით არაფერი კეთდება..

**— დვანთან 28 სექტემბერს ჟურნალისტებმა საპროტესტო აქცია გამართეს „არა ოკუპაციას“.**

— ჟურნალისტებს მივესალმები, სოლიდარული ვარ, მაგრამ ვსაუბრობ კუნთმაგარ ბიჭებზე, ვინც უნდა იცავდეს რეალურად ჩვენს ქვეყანას. 17 მაისს რუსთაველის გამზირზე პროტესტით სასულიერო პირებიც გამოვიდნენ. მაგრამ ვერ ვხედავ მცოცავ ოკუპაციასთან დაკავშირებით მათ აქტიურობას, მათ კურთხევას თუნდაც სამოქალაქო აქტიურობის კუთხით. ზუსტად ამ საკითხთან დაკავშირებით არის საჭირო ჩვენი მოსახლეობის აქტიურობა. ძალიან კარგია ის, რასაც ჟურნალისტები აკეთებენ, კარგი იქნება გააქტიურდეს არასამთავრობო სექტორიც. პასუხიმგებლობას არც პოლიტიკური პარტიები უნდა გავექცეთ, ერთად უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყანა. ჩვენ პოლიტიკურ პარტიას გარკვეული სამუშაოები უკვე დაწყებული აქვს, ჩვენ მხარდამჭერებთან ერთად აუცილებლად ვგეგმავთ ოკუპაციის ზოლთან ჩასვლას, ჩვენ ამას გავაპროტესტებთ ძალიან აქტიურად. მინდა მოვუწოდო სხვებსაც გააკეთონ იგივე. მე არ ვამბობ, ვინმემ აიღოს ხელში იარაღი..

არსებობს სხვა საშუალებები, რომელთა მეშვეობით შეგვიძლია ამ პროცესს შევუქმნათ სერიოზული დისკომფორტი. საქართველოს საზღვრები არის სუვერენული. საქართველოს საზღვრებს ცნობს საერთაშორისო საზოგადოება.

**— თქვენ ეკონომიკურ კრიზისზე, სოციალურ სიდუხჭირეზე საუბრობდით... თუ გრძელვადიანი არა მაგრამ მოკლევადიანი ეკონომიკური პროგრამა თუ არსებობს საქართველოში?**

— სიმართლე გითხრათ, ოცნების „ცარიელი განცხადებების“ გარდა პრაქტიკულად არანაირი პროგრამა არ მინახავს. მისაუბრია კოალიცია „ქართული ოცნების“ ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებთან. ერთია მათ მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები და მეორე, თუ რა ხდება რეალურად ჩვენს ქვეყანაში. მიმაჩნია, რომ „ქართულ ოცნებას“ არანაირი გაწერილი გეგმა, მათ შორის ეკონომიკური არ გააჩნიათ, ისინი მიჰყვებიან უბრალოდ დინებას, ცდილობენ ადმინისტრაციული ბერკეტების გამოყენებით შეავსონ ბიუჯეტია.




**— ოცნებამ კოჰაბიტაციის გზა აირჩია.**

— ე.წ. კოჰაბიტაცია არის დემოკრატიული სამყაროს მიერ თავსმოხვეული. ივანიშვილის ხელისუფლება იძულებული გახდა ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაციაში შესულიყო, მათ სხვა გზა უბრალოდ არ დაუტოვეს. კოჰაბიტაცია ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ რთული გადასატანი აღმოჩნდა.

**— თქვენ, და არა მხოლოდ თქვენ ამბობთ, რომ კოჰაბიტაცია ივანიშვილს დემოკრატიულმა ქვეყნებმა მოახვიეს, მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებში დანაშაულს პატიობენ?**

— რა თქმა უნდა, დანაშაული არავის უნდა ეპატიოს. მე ვამბობ, რომ ივანიშვილის ხელისუფლება არის ძალიან სუსტი, მათ ვერ მოახერხეს ''ნაციონალური მოძრაობის'' წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაული მიეწოდებინათ ისე, რომ არავის ეს არ აღექვა, როგორც პოლიტიკური დევნა. ძალიან სუსტი იყო ხელისუფლების არგუმენტაცია, რომ ეს იყო არა პოლიტიკური ანგარიშსწორება, არამედ არის კრიმინალი, ჩინოვნიკის მიერ ჩადენილი.

**ელენე ბარათაშვილი**
555 57 49 35

**იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში**
**www.saertogazeti.ge**
**შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე**
**საერთო გაზეთი**

## საზოგადოებრივი ტელევიზია გუშინ და დღეს

**ვახტანგ ხარჩილავა, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი:** მადლობას მოგახსენებთ, ბატონებო, მობრძანებისთვის.

დღეს ჩვენ სახელმწიფოებრივად ძალიან მნიშვნელოვან თემაზე უნდა ვისაუბროთ. ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებლის პრობლემები. ეს თემა თითქმის 20 წელიწადია არ მოხსნილა დღის წესრიგიდან და დიდი დისკუსიისა და სჯა-ბაასის საკითხია. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დღეს საქართველოში არავინ იცის, როგორ უნდა გაკეთდეს ჭეშმარიტად მაღალი დონის ტელელვიზია. ეს, ალბათ, იმიტომ



ხდება, რომ ამ საკითხებზე, ხშირ შემთხვევაში, არაკვალიფიციური ადამიანები საუბრობენ. თქვენ წლები გაქვთ გატარებული ტელევიზიაში, იმ დროის ტელევიზიაში, რომელიც, ჩემი აზრით, სანიმუშო იყო ეროვნული, სახელმწიფოებრივი პოზიციით და მაღალი პროფესიული დონით.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე რომ ვსაუბრობ, მახსენდება საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი. მახსოვს ბატონი ნუგზარ ფოფხაძის დროინდელი ტელევიზიის არაჩვეულებრივი გადაცემები. იმ ტელევიზიაში ჩანდა სახელმწიფოებრივი პოზიცია.

საზოგადოებრივ მაუწყებელში გაჩენილი პრობლემები კარგა ხანია ქართველი საზოგადოების მსჯელობის საგანია.

სამწუხაროდ, საზმაუ, როგორც ახლა შეარქვეს, ხელისუფლების ცვალებადობასთან ერთად იცვლებოდა და ხდებოდა არა ხალხის, ქვეყნის ტკივილისა და მისწრაფებების გამომხატველი, არამედ ხელისუფლების მითითებების შემსრულებელი და მძლავრი სახელისუფლებო რუპორი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა 9 წლის განმავლობაში ნაციონალების ხელდასხმით ირჩეოდა. ქართველი ხალხის საფუძვლიანი ეჭვით, საზმაუს ბორდი კვლავაც გააგრძელებს ნაცმოძრაობის, ძველი მამა-მარჩენალის მსახურებას, რაც ხალხის დეზინფორმაციასა და მოღალატურ მიკერძოებელობა-ცალმხრივობაში, ანუ სრულ ტენდენციურობაში გამოიხატება.

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში არაერთხელ გაგვიკრიტიკებია საზოგადოებრივი მაუწყებლის ადრინდელი ხელმძღვანელობა იმაში, რომ მათ ტელევიზიას ძირითადი ფუნქცია დაუკარგეს და საზოგადო მოღვაწეობის მაგივრად, ფულის მშოვნელ უბრალო „ცეხავიკებად“ იქცნენ.

ცხადია, საზმაუს პრობლემების მოგვარებას „ფუნის გორების“ დახვავება შენობის წინ ვერ უშველის.

გამოსავლის გზების ძიებისთვის, იმაზე სასაუბროდ, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოვიწვიეთ ტელევიზიის ძველი, გამოცდილი სპეციალისტები.

იმ მიზეზით, რომ, ჩვენი აზრით, შექმნილი პრობლემის გადაწყვეტაში მათ კომპეტენტურ აზრს და გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

გვესაუბრებიან საქართველოს ყოფილი ტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს რადიოს ყოფილი გენერალური დირექტორი **ვახტანგ ნანიტაშვილი**, იგი 1969 წლიდან 2004 წლამდე მოღვაწეობდა საქართველოს ტელევიზიაში;

**ოთარ შაორშაძე** – პროგრამა „ალიონის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი (1979-2004წ.წ.);

**პაატა პაპაზრიშვილი** – საქტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარის მოადგილე, რეჟისორი, 1970-2004 წ.წ.);

**ლევან ლვინჯილია** – ფილოლოგი, 1979 წლიდან 1990 წლამდე მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში – გადაცემის ავტორი და წამყვანი „ენა დედაა ერისა“.

**მერაბ ხაჩიძე** – სხვადასხვა დროს საქართველოს ტელევიზიაში მუშაობდა რეჟისორის თანაშემწედ, უმცროს რედაქტორად, იყო რედაქტორი, კორესპონდენტი, ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე;

**გელა ქოქიაშვილი** – ტელე-რადიოდოკუმენტალისტი, თაყაიშვილის პრემიის ლაურეატი, ტელევიზიაში მოღვაწეობდა 1985-2004 წ.წ.;

**ვახტანგ კობაიძე** – რედაქტორი, კომენტატორი, სპეციალური კორესპონდენტი.

# საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელად ილია ჭავჭავაძე უნდა დანიშნო, მაგრამ, როცა ილია არ გყავს, ათი ისეთი კაცი უნდა მიიყვანო იქ, ჯამში ილიას რომ უდრიდეს

## „საქართველოში ტელევიზია არ არსებობს, აქ არის ეკრანიანი რადიო და დღეს ჩვენ იმაზე უნდა ვიმსჯელოთ, როგორ ვაქციოთ ეს ეკრანიანი რადიო ტელევიზიად?“

**ლევან ლვინჯილია**: მაშინდელ ქართულ ტელევიზიას არც ერთი ეროვნული მოვლენა არ დარჩენია ყურადღების მიღმა.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მაშინ გაიხსნა ტელევიზიაში ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია, რომელიც ეროვნული სულის აღორძინებისთვის იბრძოდა. ამ ტელევიზიას გადაღებული აქვს საუკეთესო სატელევიზიო ფილმები. საუკეთესო ქართველი მსახიობები მონაწილეობდნენ ამ ფილმებში. ყველა სატელევიზიო სპექტაკლი იყო გადაღებული. სხვათა შორის, შევარდნაძის პერიოდში აღორძინდა რუსთაველის თეატრი, მსოფლიოს მოედო ქართული თეატრის ამბავი, იგი ქართულ ფილმთან ერთად ფენომენად იქცა. „მონანიება“ გადაიღეს შევარდნაძის პერიოდში, „დათა თუთაშხია“ მაშინ დაიწერა. ახლა გამოდიან და იმ პერიოდს ნეგატიურად აფასებენ. ჩემი ბრალი არ არის, რომ მე 1950 წელს დავიბადე. მთავარი ის კი არ არის, ჩემი არსებობის დროს ვინ იყო ქვეყნის მეთაური, არამედ მნიშვნელოვანია, რას ვაკეთებდით იმ პერიოდში.

**გელა ქოქიაშვილი**: მაშინ ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში, შეიძლება ასე ითქვას, საქართველოს ტელევიზია ჯობდა საკავშირო ტელევიზიას. საკავშირო ტელევიზიიდან მოდიოდნენ და ჩვენგან სწავლობდნენ ბევრ რამეს.

განყოფილებებად იყოფოდა ტელევიზიის სტრუქტურა. ერთი განყოფილება სოფლის მეურნეობას კურირებდა, მეორე – მრეწველობას, სხვა – ეკონომიკას, კულტურას და მეცნიერებას. რაც ხდებოდა, ხელმძღვანელობა ყველაფრის



საქმის კურსში იყო, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო კომუნიკაციები ასეთი მობილური.

**ვიღაცის გაკეთებული გადაცემის გადმოტანა კი არ არის საქმე, თვითონ უნდა მოძებნო თემა, თვითონ უნდა იცოდე, რა სჭირდება ქვეყანას, სახელმწიფოს. სატელევიზიო პოლიტიკა უნდა არსებობდეს, მერე უნდა შეიქმნას სამაუწყებლო „ბადე“. კონცეფციის გარეშე ტელევიზია ვერ იარსებებს და ამ კონცეფციის შემუშავებაში საზოგადოება, ხალხი უნდა მონაწილეობდეს.**



დღეს ვის ეკითხებიან აზრს? – „თავისუფლების ინსტიტუტს“, ან იმას, ვისაც ტელევიზიაზე საერთოდ წარმოდგენა არ აქვს. იქ დღეს რეჟისორი აღარ არსებობს.

ტელევიზია მაშინ იყო სახელმწიფო სახელმწიფოში და ტელევიზიის მმართველს თავისუფლად შეეძლო სახელმწიფოს მართვა. მან იცოდა, ფეიქარს რა უჭირდა, მუშას, გლეხს, პროფესორს და ა.შ.

ერთი კარგი გოგონა მიიყვანეს საინფორმაციოს მთავარ რედაქტორად – სოფო მოსიძე, მაგრამ ის მარტო ვერაფერს ვერ გააკეთებს, ტელევიზიის ხელმძღვანელობამ თუ რაღაც კონცეფცია არ შეიმუშავა.

**ოთარ შაორშაძე**: რა გვესმის დღეს ტელევიზიებიდან? – კუტურიე, პედიკური, მოდელი და ა.შ. მეცნიერი, პროფესორი, მწერალი დავიწყებულია.

ეს არის მიზანმიმართული ქმედება.

საინფორმაციო გადაცემებს გადახედეთ. რაზე ლაპარაკობენ ერთი საათის განმავლობაში – იმან რა თქვა, ამან რა უპასუხა და მორჩა. ეს არის სალეჭი რეზინი ყურებისთვის. ამ თემებით ფარავენ იმ პრობლემებს, რაც ჩვენს ირგვლივ არის დღეს და რაც აწუხებს საზოგადოებას.

საქართველოს ტელევიზია ეროვნული იყო, ამის თქმა თამამად შემიძლია.

სიუჟეტები უკომენტაროდ (**No Coment**) 1985 წელს გავაკეთეთ. კადრებით აზროვნება ჩვენ შემოვიღეთ.

**ნებისმიერ კრიტიკულ სიუჟეტს მოჰყვებოდა შედეგი. ბატონი ნუგზარ ფოფხაძის „კაკაბეთის ზარები“ იმდენად რეზონანსული იყო, რომ ბავშვი ამის მერე არავის გაუტაცია კარგა ხანს საქართველოში.**

**ფოფხაძის ტელევიზიამ მართლა გარღვევა მოახდინა თავისუფლებისკენ.**

„პიკის საათი“ მისი მმართველობის პერიოდში დაიბადა. გნებავთ, „ილუზიონი“, ჟურნალისტური გამოძიებები, გურამ ჟვანია და სანდრო მამასახლისი შესანიშნავად უძღვებოდნენ ამ საქმეს, თუნდაც ფოლკლორული საღამოები გავიხსენოთ.

ფოფხაძეს ბრალად დებდნენ, საეკლესიო დღესასწაულების დროს, ლიტანიობა რომ იყო, „ილუზიონს“ უშვებდაო. მორწმუნე თუ იყავი, „ილუზიონს“ რატომ უყურებდი იმ საღამოს. წასულიყავი ეკლესიაში და გელოცა.

**ვახტანგ ნანიტაშვილი**: რაც არ უნდა ვთქვათ, ნუგზარ ფოფხაძე არის კარგი მენეჯერი. მან იცის, ვინ რა უნდა გააკეთოს და ვინ რას გააკეთებს უკეთესად.

**ოთარ შაორშაძე**: ჩვეულებრივი, უბრალო კორესპონდენტი ვიყავი, ერთხელაც ბატონ ნუგზარს შევუტანე ჩემი პროექტები. ახლა ყველაფერს ნუგზარზე ვყვებით და



ბარემ ამასაც ვიტყვი: მიხვდა მაშინ ის კაცი, ამას რაღაცის გაკეთება უნდა, რაღაც შეუძლიაო, რადიოში ვიყავი, მერე ტელევიზიაში გადამიყვანა და ასე.

კაცობით და ადამიანობით ვცხოვრობდით მაშინ. რაც ახლა ხდება, ყველაფერი თავს მოგვახვიეს, სპეციალურად გამოგვიშვეს ჩვენ და მიიყვანეს იქ არაპროფესიონალები. შემოიყვანეს ტელევიზიებში ახალ-

10 gv.

# საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელად ილია ჭავჭავაძე უნდა დანიშნო, მაგრამ, როცა ილია არ გყავს, ათი ისეთი კაცი უნდა მიიყვანო იქ, ჯამში ილიას რომ უდრიდეს

9 gv.

გაზრდები, არაპროფესიონალები, მათი მართვა ადვილია. მათთვის იოლია ამბის მიტანა. ისინი ანალიზს არ აკეთებენ. საქართველოში უარი თქვეს პროფესიულ ჟურნალისტიკაზე.

გენერალი რომ გაზარდო, 19 წელი სჭირდება, ჟურნალისტი რომ კარგი ჟურნალისტი იყოს, 25 წელიწადი უნდა იზარდოს, რადგან ის არის საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი.

**ვახტანგ ხარჩილავა**: ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება, ახალი ტიპის ქართველის შექმნა მოიწადინეს, მაგრამ გავიხსენოთ, რას ემსახურებოდა წინათ ტელევიზია: ის ემსახურებოდა მოქალაქის, ქართველი ადამიანის აღზრდას, ეროვნულ საქმეს. რასაც ჩვენი კლასიკოსები აკეთებდნენ, იმ საქმეს ემსახურებოდა ჩვენი ტელევიზიაც.

სიტყვასიტყვით მახსოვს, მაგალითად, გოგი ხარაბაძის გადაცემები: ხან აკაკი წერეთელს ჰგავდა, ხან — ვაჟა-ფშაველას. ლიტერატურული პროგრამები, საუბრები მეცნიერებთან. მითხარით, ერთი, რამდენი ხანია ტელეეკრანზე მწერალი არ გინახავთ?

ეროვნული სული გააქრეს ტელევიზიიდან. მოიყვანეს პატარა გოგო-ბიჭები, რომლებსაც ადვილად აკეთებინებენ, რაც უნდათ.

ვინ ჩაანაცვლა მწერალი, ხელოვანი, საზოგადო მოღვაწე? — პოლიტიკოსმა. მან განდევნა საზოგადო მოღვაწეები მედია-სივრციდან სრულად. იქ „ბიჭოლა" ჩანს, როგორც ხელოვანი.

კიდევ ერთი დეტალი. საზოგადოებრივი მაუწყებლიდან უკანასკნელი სიტყვებით გინება მიდის. უცენზურო სიტყვები ჩვეულებრივი ლექსიკა გახდა. ეს შემთხვევითი ამბავი არაა... ქართველი კაცის იმ ღირებულებების გათახსირება დაიწყეს, რითაც ის ქართველობდა, ვაჟკაცობდა, თავს იწონებდა. ფესვების ამოთხრა დაიწყეს, იმ ფესვების, რომელიც, სხვათა შორის, საქართველოს ტელევიზიაშიც იყო.

რასაც ჩვენ ახლა აქ ვლაპარაკობთ, ეს შესანიშნავად იცის ყველამ, მაგრამ ტელეეკრანებზე სასაუბროდ არავინ მიგვიწვევს, ვინ მსჯელობდა „რუსთავი-2"-ზე, დაინახეთ? ისინი, ვინც ქმნიდა ამ ფსევდოღირებულებებს.

ხოფერიას რომ დავინახავ ტელეეკრანზე, სულ მახსენდება, კინაღამ სახელმწიფო გადატრიალება რომ მოახდინა.

ყველაფერი ეს სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა იქნას აყვანილი.

გლობალური პრობლემები დგას ტელევიზიაში.

**ვახტანგ ნანიტაშვილი:** ჟურნალისტის გაზრდას სჭირდება წლები და თან საკუთარი მაგალითი.

**ძველ დროს კი არ მივტირით, მაგრამ რაც კარგი იყო, იმას ვამბობთ.**



**ქართული კულტურის რენესანსი იყო მაშინ. ყვაოდა თეატრი, კინო. სახელმწიფოს აინტერესებდა ეს, აინტერესებდა ეროვნული ტელევიზიის საქმიანობა.**

რუსულ ტელევიზიებს ვუყურებ ხოლმე. გაოცებული ვარ პირდაპირ. ზნეობრივი გადაცემები აქვთ, ადამიანური გადაცემები.



არ ვიცი, აკვირდებით თუ არა, მაგრამ კვესიტაძის გადაცემაში საოცარი რამ ხდებოდა. ახლა ამბობს: ოპოზიციასაც ვიწვევდი და პოზიციასაც და შემედაოს ვინც უნდა, იმანო. ოპოზიციაცაა და ოპოზიციაც, მაგრამ მაინც, თუ ოპოზიციონერი ჰყავდა სტუდიაში, ყოველ ორ წინადადებას აწყვეტინებდა, რომ გაფანტოდა აზროვნება და ვერ დაესრულებინა სათქმელი. მოიყვანდა მერე ბენდუქიძეს. ალაპარაკებდა და უსმენდა. ესენი ჟურნალისტები კი არა, პროპაგანდისტები არიან, ადრე კოლმეურნეობებში რომ დადიოდნენ იდეოლოგიის საქადაგებლად, ისეთები.

პაიჭაძეს, მთლად ქართულ იდეას რომ ემსახურებოდეს, ტელეეკრანთან არ დავსვამ, რადგან მისგან არავითარი ენერგია, როგორც იტყვიან, „დრაივი" არ მოდის.

**გელა ქოქიაშვილი**: დღეს არავის არაფერი არ აინტერესებს.

ის კი არა, მერაბ ბერძენიშვილი მკვდარია თუ ცოცხალი, არავინ იცის. უფრო მეტიც, ექვთიმე თაყაიშვილი 150 წლის გახდა და ამას ყურადღება ტელევიზიამ არ მიაქცია. მე ახლა ისტორიულ ძეგლებს ვიღებ, ისტორიას ვიკვლევ, მაგრამ ვის აინტერესებს ეს? ეს აინტერესებს უბრალო კაცს, იმას, ვისაც ჯიბეში ერთი თეთრი არ უდევს, ვინც გადაგვარებულია უკვე, მას არ აინტერესებს ქართული ისტორიული ძეგლები, საქართველოს წარსული და მომავალი, არადა, ფული მას უდევს ჯიბეში.

**ოთარ შაორშაძე**: ამ ე.წ. ჟურნალისტებმა შეძლეს ის, რომ ადამიანი, როგორც ღირებულება გაქრა ტელეეკრანებიდან და ეს გაკეთდა მიზანმიმართულად. ამ ახალგაზრდებმა 37 წელი ამ 9 წელიწადში მოიტანეს საქართველოში. კარებზე არ აკაკუნებდნენ შუაღამისას და არ გაჰყავდათ დასახვრეტად, მაგრამ იდეოლოგია შექმნეს ისეთი, რომ ადამიანი ზის სახლში და იკლავს თავს.

არავინ არ საუბრობს იმაზე, რატომაა ამდენი ქალი წასული საზღვარგარეთ სამუშაოდ და რატომაა ოჯახები მიტოვებული.

**რატომ არაა საზოგადოებრივ მაუწყებელზე საზოგადოებრივი პრობლემების განსჯა და განხილვა? არავის არ აინტერესებს ადამიანის სულიერი მდგომარეობა. მიატოვეს ადამიანი და საუბარია პედიკურზე, ვიზაჟზე, მასაჟზე და ა.შ. ამ არეალში იჩაგრება და ითრგუნება ადამიანი, უკანა პლანზე გადადის, თითქოს ის მეორეხარისხოვანია.**

დიდი ესპანელი მოაზროვნე მიგელ დე უნამუნო გასული საუკუნის დასაწყისში ამბობდა: კანონმორჩილ და გადასახადების გადამხდელ ადამიანებს ვზრდით, მაგრამ ისინი აღარ არიან ესპანელებიო.

ჩვენც ვზრდით თითქოს დღეს საზოგადოებას, მაგრამ ესენი ქართველები აღარ არიან.

**ვახტანგ ხარჩილავა**: მეჩვენება, რომ საქართველო სსრკ-ს დროს უფრო დამოუკიდებელი იყო, ვიდრე დღეს ვართ. ეს არის, მგონი, მთავარი მიზეზი, რის გამოც ვსაუბრობთ ახლა.

საზმაუც იმ უჩინარს ემსახურება ვიღაცას, ვისაც იდეოლოგიურად აქვს საქართველო დაპყრობილი.

გადაცემები ტარდება იმ მიზნით, რომ გაიხლიჩოს საზოგადოება.

**რაც ხდება, ეს არის მიზანმიმართული ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ და ქართველებს ამას საკუთარი ხელით აკეთებინებენ.**

**ვახტანგ ნანიტაშვილი**: ტელევიზია მაშინ თავისი შინაარსით საზოგადოებრივი იყო. ახლა მას მიმართულება არ აქვს. რაც საზოგადოებაა, ის არის ტელევიზია. ჩვენ, ძველები, თითქოს სანაგვეზე გადასაყრელი ვყოფილვართ, მოვიდნენ ახლები და ამბობენ, რომ ყველაფერი იციან.

**არ დამავიწყდება, ჩემს ოთახში ვიჯექი, შემოვარდა კოტე კუბლაშვილი, მაშინაც ავადმყოფური იერი ჰქონდა, არასამთავრობოს წევრი იყო, არ მახსენდება, რომელის. შემოაღო კარი: კორუმპირებულებოო, დაიყვირა და გაიქცა. მერე რაც დაატრიალეს, არ გამკვირვებია, ისედაც ნათელი იყო ყველაფერი.**

**ოთარ შაორშაძე**: საქართველოს ტელევიზიას რეფორმა სჭირდებოდა. ეს ცალსახაა. მაგრამ რეფორმა უნდა ჩაატარონ ადამიანებმა, რომლებმაც იციან დარგის ავანჩავანი. უნდა დავმსხდარიყავით და მოგველაპარაკა, როგორ და რანაირად უნდა შეცვლილიყო მუშაობის სტილი და მიმართულებები, მაგრამ ჩვენ გამოგვყარეს. მიუღებელი იყო ჩვენი შეხედულებები მათთვის.

ჩვენი შეხედულება იყო ეროვნული. ტრადიციების პატივისმცემელი ვიყავით, ქართული იდენტობა გვქონდა და გვაქვს. ამიტომ გადაწყვიტეს — მოვაშოროთ ესენი ტელეიზიიდანო.

მე არ დავავალებდი ჟურნალისტს წასულიყო და კითხვა დაესვა, მაგალითად, თეა თუთბერიძისთვის. რა უნდა ვკითხო მას და რატომ? კითხვები უნდა დავუსვათ ღვაწლმოსილ ადამიანს, ჭკუასაკითხავ ხალხს.

## ბორდი ჩვენი მღელვარებისა — როგორ ტელევიზიას ვაშენებთ დღეს?

**ვახტანგ ნანიტაშვილი**: უფუნქციოა ეს ბორდი და სულ ვალები უგროვდება. რას აკეთებენ, თვითონ არ იციან.

**ოთარ შაორშაძე**: საზოგადოებრივ ტელევიზიაში რა როგორ უნდა იყოს, კანონმდებლობაში მშვენივრად არის გაწერილი, მაგრამ იქ ამ კანონს არავინ არ ასრულებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობაში საზოგადო მოღვაწეები უნდა იყვნენ. ახლა ისე დააბეჩავეს საზმაუში ხელმძღვანელობა, არავითარი კაცური, პროფესიონალური, ადამიანური იქ არ დარჩა.

**ვახტანგ ნანიტაშვილი**: ბორდი, ალბათ, შეიცვლება, მაგრამ, რად გინდა, იქ მიიყვანენ ყველას, ჟურნალისტების გარდა.

**გელა ქოქიაშვილი**: რა არის დღეს ბორდი? ეს არის მეტაფორულად რომ გითხრათ: მამალი ფუტკრების ჯგუფი. სხედან, საქმე არ იციან და უამრავი თანხა იხარჯება ამაზე. მაგრამ ბორდი კი არ არის, ბოლოს და ბოლოს, მთავარი, სამხატვრო საბჭო შექმნან. იქ უნდა შედიოდეს ენის სპეციალისტები და სხვა ტიპის პროფესიონალები.

**ოთარ შაორშაძე**: საზოგადოებას უნდა ემსახურებოდეს ტელევიზია. ასე წერია კანონში, მაგრამ ეს არ სრულდება და მხოლოდ და მხოლოდ პარტიულ ინტერესებს ემსახურებიან. ადამიანებიც ისეთები მიიყვანეს, რომელთაც არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ. ისინი არ არიან პროფესიონალები და, ბუნებრივია, არ აქვთ პრეტენზია.

**ბორდშიც და ტელევიზიის ხელმძღვანელობაშიც მიიყვანეს ხალხი, რომელთაც არანაირი ჟურნალისტური წარსული არ ჰქონდათ, არ გაუვლიათ ჟურნალისტური სკოლა, არ ჰქონიათ გამოცდილება. ესენი არიან მედროვე ადამიანები, ამ საქმით ისინი დიდძალ ფულს შოულობდნენ და ბიზნესს აკეთებდნენ.**

წარმოიდგინეთ, ჩვენ, ტელევიზიის თანამშრომლებს, აზრად მოგვივიდოდა ტელევიზიის გვერდით პოლიციის შენობა აგვეშენებინა, ანდა ტელევიზიის ეზოში კორპუსი ჩაგვედგა?

იქ დღეს მუშაობენ ადამიანები, რომელთათვისაც სულ ერთია, ტელევიზია მესამე მასივში იქნება თუ მუხიანში. ზიან კაბინეტებში და საქმის გაკეთების ნაცვლად ფულს აკეთებენ, ბიზნესი ჰყავის ტელევიზიაში.

ჩვენ იქაურობას ვიცავდით. 90-იან წლებში ავტომატებით შემორბოდნენ, ყუმბარებს ატრიალებდნენ და ჩვენ ტელევიზიის ოქროს ფონდს საკუთარი სიცოცხლის ფასად ვიცავდით.

დღეს საზოგადოებრივი ტელევიზია აღარ არის ის საგანძური, რაც ადრე იყო.

**მერაბ ხაჩიძე**: ბორდი არის სოციალური მოვლენა, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს პოლიტიკასთან, არც საზოგადოებასთან, არც ტელევიიზიასთან, არც სახელმწიფოებრიობასთან. ეს არის ჯგუფი, რომელსაც ძალიან დიდი პრეტენზია აქვს რატომღაც, რომ მართოს, მაგრამ შეუძლია თუ არა მართვა, ამაზე არც კი ფიქრობს.

თამაზ ტყემალაძე პატრიოტი კაცია და სატელევიზიო საქმის კარგი მცოდნე, მაგრამ მოერევა თუ არა ერთად დაგროვილ ამდენ პრობლემას და ამდენ ბორდელს, ეს სხვა ამბავია.

**ვახტანგ ხარჩილავა**: სხვათა შორის, თამაზ ტყემალაძე შესანიშნავი ლიტერატორია. კარგად მახსოვს, მისი ლიტერატურული გადაცემები. ტყემალაძე ნამდვილად არ არის ზურიაშვილების სალაპარაკო. მას სერიოზული წვლილი აქვს შეტანილი ტელევიზიის განვითარებაში.

**მერაბ ხაჩიძე**: სწორი შენიშვნაა, მაგრმ ისევ ბორდზე რომ გავაგრძელო, ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ:



საპარლამენტო არჩევნების წინ თეა სიჭინავასთან მომიწია გადაცემაში მისვლა. ტელევიზიაზე იყო საუბარი.

ვიკითხე: ბორდი გყავთ თუ არა-მეთქი. ვიცოდი, რომ არ ჰყავდათ, მაგრამ მაინც ვიკითხე. მიპასუხა, რომ არ ჰყავდათ. საქმე იმაშია, რომ ბორდი არ ჰყავდა „მაესტროს", მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმ ტელევიზიისთვის წინასაარჩევნოდ სახელმწიფოებრივი პოზიცია ჰქონოდა.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ბორდი სახელმწიფოებრივ პოზიციას არ განაპირობებს. ასეთ პოზიციას განაპირობებს თავისუფალი მედია.

სახელმწიფო ტელევიზიას

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

სჭირდება სამი დირექტორი: ერთი, რომელიც იქნება მენეჯერი, მეორე ფინანსური დირექტორი და საკუთრივ ტელევიზიის მცოდნე.

## ნოსტალგია — სასარგებლო გაკვეთილები, ანუ ვინ უნდა მართავდეს ტელევიზიას?

**ლევან ღვინჯილია**: ახლა მე ბოლომდე გავშიფრავ, როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს ისეთი, ვითარებისა და დროის შესაბამისად, როგორიც იყო კომუნისტური საქართველოს ტელევიზია ნუგზარ ფოფხაძის დროს. იმ პერიოდში



მიმდინარეობდა ყოველდღიური ზრუნვა სახელმწიფო ენაზე და არა მხოლოდ გადაცემების საშუალებით, არამედ ტელევიზიაში ისხდნენ ისეთი დონის სტილისტები, არნოლდ ჩიქობავა და აკაკი შანიძე რომ თვალებსაც დაუკოცნიდათ. ვერავინ გაბედავდა ეთერში რაიმე გადაბრუნებული სიტყვა ეთქვა და დღეს რა ხდება? აცხადებენ: გადაცემის სპონსორია ჰიგიენური საფენი ესა და ეს. ააფრიალებენ კაბას და გვაჩვენებენ, „სპონსორს", რომელიც ამ კაბის ქვეშ არის მოთავსებული. არ შეიძლება ჰიგიენური საფენი, რაც გინდა კარგი ქალისა იყოს, სპონსორად გამოდგეს. მეტსაც გეტყვით, ჭყონიას დაუწყია ლუდის გამოშვება „ნამდვილი არგონავტებისთვის", მაგრამ არავინ იცის, ეს არგონავტები რომ დამპყრობლები იყვნენ.

რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტებმა ააფეთქეს ჩემი ტელეფონი — რატომ თქვა პრემიერმა სიტყვა „მიჯირყვნა"-ო. როგორ უნდა აუხსნა ადამიანს ის, რომ ბატონმა ბიძინამ იხმარა სრულიად კანონიერი დიალექტური ფორმა, რასაც აქვს თავისი მნიშვნელობა.

ამ დღეებში ჩვენ ყველამ ვნახეთ პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ექსპერტებთან. მე გახლავართ საქართველოში ერთ-ერთი აღიარებული სასამართლო ექსპერტი ლინგვისტი და რამდენიმე სასამართლო პროცესში მაქვს მონაწილეობა მიღებული, როგორც ექსპერტ-ლინგვისტს. თანაც ეს წოდება თვითნებურად კი არ დავირქვი, არამედ საქალაქო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა აღიარეს, როცა ისრაელელი ბიზნესმენების პროცესში ვმონაწილეობდი, როგორც სასამართლო ექსპერტი-ლინგვისტი. პრემიერთან ექსპერტების შეხვედრაზე მე არ მივუწვევივარ. რაზეც მიდმივად ვლაპარაკობ, თურმე ეს საკითხი არაა მნიშვნელოვანი და მნიშვნელოვანია საქართველოს გამოყვანა ეკონომიკური კოლაფსიდან. მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, ყველაფერი საქართველოში ინფრასტრუქტურიდან დაწყებული, ყურძნის მოსავლის დაბინავებით, სიმინდის, კარტოფილის მოყვანით და ა.შ. დამთავრებული, უხეშად რომ ვთქვა, არის საჭმელი და კეთილდღეობა, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს ერის მიზანი.

1979 წელს მიმიყვანა ბატონმა ნუგზარმა ტელევიზიაში და 90-იან წლებამდე მიმყავდა გადაცემა „ენა დედაა ერისა". გადაცემის ტექსტი პაატა ნაცვლიშვილის რედაქტორობით „ახალგაზრდა კომუნისტში" იბეჭდებოდა იმათთვის, ვინც წინა ღამით ვერ ნახა ეს გადაცემა.

**ვახტანგ ხარჩილავა**: საზოგადოებრივი მაუწყებელი იქცა სწორედ იმ იარაღად, რომ საკუთარი, მშობლიური ენა დაგვავიწყონ, დაამახინჯონ ენა და შეგვაჩვიონ ბილწსიტყვაობას.

**ლევან ღვინჯილია**: ახლა მოდაშია სალანძღავად კომუნისტებისდროინდელი, „შევარდნაძისდროინდელი", „ფოფხაძისდროინდელი", იმ ხალხს მე მინდა შევახსენო, რომ ილია ჭავჭავაძე არის ნიკოლოზის დროინდელი და არათუ დროინდელია, არამედ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი იყო. უკაცრავად, მაგრამ, ემზარ გოგუაძე ვისი დროინდელია? როდის „გააკეთეს"? — შევარდნაძის დროს.

ტელევიზია დღეს ყველაზე მძლავრი იარაღია მის ხელში, ვინც მართავს მას. მაგრამ ვინ უნდა მართავდეს დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელს? — ილია ჭავჭავაძე. ის რომ ცოცხალი იყოს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელად ის უნდა დანიშნო. თუ არა გყავს ილია ჭავჭავაძის მსგავსი, მაშინ ჯამში რომ ერთი ილია გამოგივიდეს, ისეთი ათი მოაზროვნე უნდა შეკრიბო და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაუყენო ხელმძღვანელად.

ახლახან ერთ ტელევიზიაში დამახვედრეს ჩემთვის უცნობი ადამიანი. როცა ვიკითხე, ვინ არისმეთქი, მითხრეს: ეს, ძალიან ახალგაზრდა რომ იყო, ზვიად გამსახურდიას პარლამენტის წევრი ბრძანდებოდაო. ეს იყო ემზარ გოგუაძე. ვწუხვარ, მაგრამ ემზარ გოგუაძეს არ ვიცნობდი. არ ვიცნობდი, როგორც მოაზროვნეს, ინტელექტუალს, როგორც საჯარო პირს.

და დღეს, შეიძლება, ვინმემ მითხრას ასეთი რამ: რატომ არ ვიბრძვი? არც ერთი შანსი არასდროს ხელიდან არ გამიშვია, ენის დაცვისთვის თუნდაც მცირე ნაბიჯის გადადგმა რომ არ მეცადოს.




ახლა საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველ ორგანოს ბორდს ეძახიან და მეც ასე ვიტყვი: რაკი მავანი ბორდელია, რა გააკეთა, რა წვლილი შეიტანა საზოგადოების გაუკეთესების საქმეში?

კვლავ კითხვას დავსვამ: საბჭოთა საქართველოში რომ იყო დაფასებული ეროვნული ღირებულებები, დღეს რატომ გაგვიხდა სანატრელი?

ორჯერ ვმონაწილეობდი კონკურსში საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის დაკომპლექტების პერიოდში და კურიოზულ შემთხვევას მოგიყვებით ამასთან დაკავშირებით.

ეს ამბავი ხდება მაშინ, როცა ბორდელებს სათავეში უდგათ კიდევ ერთი ბორდელი, გვარად თარხნიშვილი. მაშინ გასაუბრებებზეც კი ვერ მოვხვდი ექვსეულში, სადაც გავიდა ხალხი, რომელთაც, მერე აღმოჩნდა, რომ შესაბამისი სტაჟი არ ჰქონია, თუ რაღაც კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილეს.

იმ ექვსეულში რომ ვერ მოვხვდი, მოვითხოვე: მაჩვენეთ საოქმო ჩანაწერები. მაინტერესებს, რა ჩაწერეთ მიზეზად. პასუხად მითხრეს, რომ მე ვერ ვაკმაყოფილებდი საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-16 მუხლს.

მე-16 მუხლი კი აღმოჩნდა ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობა.

მაგრამ ჩემს მიერ წარდგენილ საბუთებში წერია, რომ ჰააგის ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი, რომელიც ყველაზე უმაღლესი ინსტანციაა, რეკომენდაციას მაძლევს: ეს კაცი არის ჩვენი ექსპერტი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში და მხარს ვუჭერთ, დაიკავოს ეს პოსტიო.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 27 დიასპორა მიჭერს მხარს და ამბობს: ღვინჯილია არის ერთადერთი ადამიანი საქართველოში, რომელმაც უწყის ჩვენი გასაჭირი და თანაგვიგრძნობს ჩვენ.

ვაჩვენე ეს თარხნიშვილს და ვკითხე: წაიკითხეთ-მეთქი?

წავიკითხეთ, მაგრამ მაინც ჩვენს აზრზე დავრჩითო, — მიპასუხა თარხნიშვილმა.

ეს ნიშნავს, ნარკოლოგიის ცენტრიდან ცნობა მომატანინო, რომ ნარკომანი არ ვყოფილვარ, მაგრამ მაინც თავდაპირველ აზრზე რომ დარჩე და 10 წლით ციხეში გამომკეტო.

ახლა ანგარიშსწორებას არ ვაპირებ თარხნიშვილთან. კაცმა რომ თქვას, რაღა დროსია, მაგრამ იმას ვამბობ, რომ ასე ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი მაუწყებელი. იქ საქმე გააფუჭა ხელისუფლებამ და ყოველთვის, როცა სახელმწიფოში რაიმე ფუჭდება, ამაში პასუხისმგებელია ხელისუფლება.

**ვახტანგ ნანიტაშვილი**: საზოგადოებრივ მაუწყებელში იყო სამხატვრო საბჭო, სადაც შედიოდნენ: ოთარ თაქთაქიშვილი, ბიძინა კვერნაძე, შალვა მშველიძე, გუგული თორაძე. იქ ირჩეოდა ღირებული და ნაკლებად ღირებული. ეს ერთი და აუცილებელი, მაგრამ მეორე, ნება, სურვილი უნდა გქონდეს, შენს ერს ემსახურო. ისეთი კაცი როგორ შეიძლება ხელმძღვანელად, რომელიც არც წყალია, არც ღვინო, არც ძმარი და არც მთხლე? ხელმძღვანელი პროფესიონალი უნდა იყოს, ამის გარეშე ვერაფერი ვერ გაკეთდება.

დიდი სურვილი მაქვს, შეცდომები არ დაუშვას იმან, ვინც აწი მივა ტელევიზიაში. ჩვენ გამოგვყარეს და შეურაცხგვყვეს, მაგრამ სანამ იმ თანამდებობრივ სკამამდე მივიდოდით, ყველა გზა გავიარეთ რიგითი კორესპონდენტიდან დაწყებული.

გახსოვთ, ნატო ონიანი? უნიჭიერესი ქალბატონი. მასაც საკმაო დრო დასჭირდა, რომ პროფესიონალად ჩამოყალიბებულიყო.

35 წელიწადი ტელევიზიაში ვიყავი, კიდევ შემეძლო ბევრი რამის გაკეთება, ადგნენ და ერთი ხელმოწერით გამომაგდეს. ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს და შემიძლია გავუზიარო ახალგაზრდა კოლეგებს.

**ოთარ შაორშაძე**: ხელმძღვანელობის დამსახურება იყო ის, რომ ტელევიზიაში მძლავრი და ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი რამ იქმნებოდა. ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ ის იცოდა, ორკესტრში მესამე ვალტორნზე ვინ უკრავდა. თავზე ევლებოდა ყველაფერს.

დიდი საქმე გააკეთა არჩილ გოგელიამაც.

ავტომატებით დაგვადგებოდნენ თავზე „მხედრიონელები" და იარაღის მუქარის ქვეშ გვეკითხებოდნენ: აბა, გვითხარით, რა გადაეცით ჩვენზე?!

**დღეს კი მეუბნებიან, არ ვარგიხარ, რადგან იმდროინდელი ხარ. იმდროინდელი კი არა, ქართველი ვარ, სულით, ხორცით ქართველი და იმ ასაკში ვარ, ზუსტად ახლა უნდა ვიყო ტელევიზიაში, რადგან ახლა ვჭირდები იქაურობას. მე ახლა მაქვს გამოცდილება და ვაფასებ საკუთრივ ადამიანს. დღეს, როცა ახალგაზრდულმა წლებმა გაიარა, გამოცდილება და ცოდნა წინა პლანზე გადავიდა, ამ დროს ჩამომაშორეს ჩემს პროფესიას. როდესაც მიხვდით და ვთქვით, რომ რაღაც არასასურველს გვახვევდნენ თავს, მაშინვე მოგვიცილეს.**




**ავთო ჯორბენაძემ თქვა:** „ალიონი" ანტისახელმწიფოებრივი გადაცემააო, ნაცებმა — ძლიერ თამამიო და დაშალეს „ალიონი". მერე ჩემს თვალწინ ინაწილებდნენ ჩემს გაზრდილ ჟურნალისტებს ჟვანია, სააკაშვილი და პატარკაციშვილი...

ჩვენ გვტკივა საქართველოს ბედი, ჩვენ გვაწუხებს ის, რაც ხდება საზოგადოებრივ მაუწყებელში, ამიტომ პირადად მე გადაწყვეტილი მაქვს, საბუთები მივიტანო კონკურსისთვის, თუმცა დიდი იმედი არ მაქვს, რომ ვინმე ყურადღებას მიაქცევს ამ საბუთებს და ჩემს სახელსა და გვარს.

გავარჩიოთ ყველა გადაცემა, ახლანდელიც და ძველიც. გავაკეთოთ ანალიზი. შევაფასოთ, რა კეთდებოდა ფოფხაძის ტელევიზიის დროს და რა კეთდება ახლა.

**კახა კახაბრიშვილი**: ტელეკომპანია „დოიჩე ველეს" ამოცანაა, გერმანელმა ანტარქტიდაზეც რომ იყოს, თავის მშობლიურ ენაზე მოისმინოს ინფორმაცია. ამ ტელევიზიას სახელმწიფო აფინანსებს, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროს გავლით კი არა, არამედ შიდა ბიუჯეტით.

**საქართველოში ტელევიზია არ არსებობს, აქ არის ეკრანიანი რადიო. დღეს ჩვენ იმაზე უნდა ვიმსჯელოთ, როგორ ვაქციოთ ეს ეკრანიანი რადიო ტელევიზიად.**

ქართველი ხალხი ამ შემთხვევაშიც მოატყუეს რეფორმატორებმა, როცა თქვეს, ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებელიო. სინამდვილეში ცენტრალური ტელევიზია კვლავ დარჩა სახელმწიფო ტელევიზიად.

ბორდს ამტკიცებს პარლამენტი და პარლამენტი ხელისუფლება არ არის?

რა განსხვავებაა მინისტრთა საბჭოსა და პარლამენტს შორის?

არჩილ გოგელიას დავალებით, თავის დროზე მე შევისწავლე გერმანიის კიდევ ერთი ტელევიზია (TV - CDF), იქ საზოგადოებრივი საბჭოს 77 წევრია. არც ერთ მათგანს ხელფასი არ აქვს თავმჯდომარის და მისი მოადგილის გარდა. 77-ვე არის საზოგადოების წარმომადგენელი: კათოლიკური ეკლესიის, ლუთერანულის, ებრაულ ეკლესიათა კავშირის, ჰანზის გერმანული ქალაქების, სტალინური ეპოქის მსხვერპლთა საზოგადოების წარმომადგენელიც არის ამ საბჭოში, ამ საზოგადოებაში 25% აუცილებლად ქალი უნდა იყოს. ესენი ირჩევენ ბორდს. ბორდი ირჩევს თავმჯდომარეს და ამტკიცებს დიდი საბჭო.

ესაა საზოგადოებრივი მოწყობა და ამაში ბუნდესტაგი არ ერევა.

**ვახტანგ ხარჩილავა**: აქ ითქვა, რომ ბორდი არის სოციალური მოვლენა. არავითარი სოციალური მოვლენა ბორდი არ არის. ესენი არიან სააკაშვილის მიერ დასმული ადამიანები. ბორდი არის პოლიტიკური ინსტრუმენტი პოლიტიკოსებისთვის, საკუთარი პოლიტიკური ინტერესები რომ განახორციელოს.

ტელევიზია უნდა დაუბრუნდეს ხალხს, საზოგადოებას.

**კახა კახაბრიშვილი**: საქართველოს ტელევიზიას ჰყავდა სიმფონიური ორკესტრი, საესტრადო-სიმფონიური ორკესტრი, ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ბავშვთა გუნდი, სიმებიანი კვარტეტი, ოქტეტი, ჯანსულ კახიძე თავის ორკესტრთან ერთად ტელევიზიაში ატარებდა კლასიკური მუსიკის შემსწავლელ გაკვეთილებს. თემურ ქევხიშვილი ხალხური მუსიკის გაკვეთილებს, ანზორ ერქომაიშვილი მთელ საქართველოში დადიოდა საქართველოს ტელევიზიის ეგიდით და აგროვებდა ხალხური სიმღერების მარგალიტებს, ვახუშტი კოტეტიშვილი — ხალხური ფოლკლორის საგანძურს, იყო ტელეფილმების სტუდია, გვქონდა ტელეთეატრი. იუნესკოს მოთხოვნა, რომ ტელევიზია უნდა ყოფილიყო კულტურის კერა, ზედმიწევნით სრულდებოდა — ყოველივე ეს გარდაფხაძემ დაიწყო, განავითარა ენუქიძემ და გვირგვინი დაადგა ნუგზარ ფოფხაძემ.

**ვახტანგ კობაიძე**: რადგან ბატონ ნუგზარზე ჩამოვარდა საუბარი, უნდა ვთქვა, როცა ის მოვიდა, პირველი, რაც გააკეთა, 1918-20 წლებში დაწერილი ფოცხვერაშვილის ჰიმნით „დიდება" იწყებდა ტელევიზია მუშაობას.

რაც ბატონმა კახამ ჩამოთვალა, ამდენი შემოქმედებითი ჯგუფის

12 gv.

11 gv.

# საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელად ილია ჭავჭავაძე უნდა დანიშნო, მაგრამ, როცა ილია არ გყავს, ათი ისეთი კაცი უნდა მიიყვანო იქ, ჯამში ილიას რომ უდრიდეს

ფუნქციონირებას სერიოზული შრომა სჭირდებოდა.

ქართული თეატრის განვითარება-პოპულარიზაციის საქმეშიც ქართულ ტელევიზიას დიდი როლი ჰქონდა, მე დავყვებოდი გასტროლებზე ყველგან და გადაღებული ფირები ტელევიზიის ოქროს ფონდისთვის ჩამომქონდა. როცა მე არ ვიყავი, ლომერ ახვლედიანი იღებდა და ის აკეთებდა ამ საქმეს.

უდიდესი სირთულეების გადალახვა გვიწევდა, პირდაპირი ტრანსლაცია რომ მოგვეხდინა ფეხბურთის ჩემპიონატის, სადაც „დინამო" თამაშობდა, მაგალითად, ინგლისიდან, ჰოლანდიიდან. ეს იმ ხანებში ურთულესი საქმე იყო და ამას ვახერხებდით ჩვენ.

**კაxა კახაბრიშვილი**: ჟურნალისტურ გამოძიებებს ვაკეთებდით. მაგალითად, რა ღირს დაკრძალვა.



ვახტანგ კობაიძემ შეიტანა განცხადება, რომ გარდაიცვალა. მმაჩის ბიურომ მისცა ცნობა, რომ ის მართლაც გარდაცვლილია. სასახლეც შეიძინა, სუდარაც, თავის სახლში პანაშვიდი მოაწყო, გავუკეთეთ გრიმი, გავამზადეთ, ვითომ უპატრონო ჟურნალისტი გარდაიცვალა. მოაწყდა ხალხი, ჟურნალისტებმა თავი ვალდებულად ჩათვალეს, კოლეგის დაკრძალვას დასწრებოდნენ. ანგარიშები, ხარჯები, ყველაფერი აღვნუსხეთ და მერე, ჩემთან წავედით სახლში „ქელეხი" გადავიხადეთ. ასე გავარკვიეთ, რა ჯდებოდა სინამდვილეში დაკრძალვა...

ასევე, მინდია თავაძემ შეიტანა განცხადება მილიციაში, მანქანა მომპარესო, იმ მანქანით, რომელიც ძებნაში უნდა ყოფილიყო, დადიოდა ქალაქში, არღვევდა წესრიგს, ჩაუხტებოდა ავტოინსპექტორებს, გადიოდა ქალაქგარეთ, ჩერდებოდა ტეკებთან, ამას იღებდა ოპერატორი, რომ მერე ეთქვა ტელევიზიას, როგორ იცავდა მილიცია მოქალაქის ინტერესებს, რომელსაც მანქანა მოპარეს.

ყველაფერი ეს ტელევიზიის ხელმძღვანელობის, კერძოდ, ნუგზარ ფოფხაძის იდეა იყო.

**მერაბ ხაჩიძე**: ტელევიზიაში ტელევიზიასთან ერთად დიდი გზა გავიარეთ. უდაბლესი საფეხურიდან დავიწყე და ნელ-ნელა მივაღწიე რეჟისორობას, კორესპონდენტობას. რადიოში გავიზარდე, მარცხნივ ქეთო ლანდია მეჯდა, მარჯვნივ — დავით ძიგუა, დავით სოკოლოვი და მერაბ თაბუკაშვილი მასწავლიდა მეტყველებას. ალექსანდრე ომიაძე, სერგო ზაქარიაძე იყვნენ ჩემი პედაგოგები, მიუხედავად ამისა, დიქტორების კონკურსი რომ ჩატარდა, მითხრეს: ჯერ ადრეაო და დიქტორადაც არ მიმიღეს. მერე გავიდა დრო, უნივერსიტეტი დავამთავრე და იმ პერიოდის საკმაოდ პოპულარული ჟურნალისტი გავხდი, ოღონდ რამდენიმეწლიანი შრომის შემდეგ.

1979 წლიდან ტელევიზიაში რადიკალური შემობრუნება მოხდა. დითირამბების გალობა არ მინდა, მაგრამ როცა საქმე კეთდება და ამ საქმეს პროფესიონალი აკეთებს, შედეგი ნათელი ხდება.

ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ მოსვლისთანავე დაიწყო სოციალურ შეკვეთებზე მუშაობა. ეს არ იყო პარტიულ-ნომენკლატურული შეკვეთები, რადგან, რასაც შემდეგ ვაკეთებდით, სრულად ეწინააღმდეგებოდა იმ იდეოლოგიას, რომელსაც გვთავაზობდა ხელისუფლება. იმ ხანებში დაიწყო საზოგადოებრივი შეკვეთების შესრულება. გაკეთდა ნუსხა, რაზე უნდა ემუშავა ტელევიზიას და დაიწყო ტელევიზიამ ამის კეთება. ტელევიზია გახდა იმდენად პოპულარული ხალხში, რომ ხელისუფლება ვეღარ უბედავდა შენიშვნას. ტელევიზიაზე შეტევა ხალხზე შეტევას ნიშნავდა.

მე ვაკეთებდი გადაცემას რუბრიკით „ბიუროკრატთა გალერეა". აქ კეთდებოდა ექსპერიმენტი, როგორ ხვდებოდნენ თანამდებობის პირები მოქალაქეებს, როგორ სცემდნენ პასუხს, რა ხდებოდა. რაიკომის მდივნების დონეზე კეთდებოდა ეს. გადაცემა რუსულადაც გადიოდა და პირდაპირ ეთერში გადაეცემოდა მოსკოვს და ამას უყურებდა მთელი საბჭოთა კავშირი.

**რას ნიშნავდა სოციალური შეკვეთები? ეს იყო მაფიაზე შეტევა. სასაფლაოების მაფიის გაშიფვრის გამო მოვაწყვეთ, წელან რომ მოგიყევით, ვახტანგ კობაიძის „დაკრძალვა". რომ გაგვეგო, რა ღირს დასაფლავება, რა ღირს 1 ლ ბენზინი. წარმოიდგინეთ, აწ გარდაცვლილი ჩვენი კოლეგის გურამ ჟვანიას მანქანას ესროლეს, მე მანქანაზე გადამიჭრეს საშუხრუჭე მილი. ეს ჩვეულებრივი ომი იყო ჟურნალისტებსა და მაფიას შორის.**

მაშინ გაკეთდა გადაცემა „თბილისი, ჩემი სიყვარული". მთელი კვირა, ყოველ დღე გურამ ჟვანია მგზავრობდა ტაქსით და აგროვებდა ქალაქის ამბებს, ინფორმაციებს, კვირის ბოლოს კი ჯდებოდა ეთერში და ერთი კვირის პრობლემებს, ისტორიებს ჰყვებოდა. ეს იყო აბსოლუტური ნოვაცია არა მხოლოდ ქართულ, არამედ საბჭოთა ტელესივრცეში.

გავაკეთეთ გადაცემა წამლების მაფიაზე. ვამხილეთ წამლების სპეკულაცია — გავარკვიეთ, რას გაყიდდა მაგალითად, „ჩაშკა", თუ აფთიაქში ყველა წამალი თავისი ფასით გაიყიდებოდა?!

მაშინ ვამხილეთ ბაზრის მაფიაც. ვახო კობაიძემ გაყიდა პომიდორი და ცხადი გახდა, სინამდვილეში, რა ღირდა 1 კგ პომიდორი.

ასე ვმუშაობდით. ჩვენი იმედი ჰქონდა მოსახლეობას. მოგვდიოდა უამრავი წერილი, რადგან საზოგადოებას ერთადერთ პატრონად და ქომაგად ტელევიზია მიაჩნდა და ასეც იყო.

**1979 წლის 31 დეკემბერს მე წავიყვანე საქართველოში პირველი „მოამბე". მე და ქეთი დევდარიანი ვუძღვებოდით საახალწლო „მოამბეს". ჩვენ მაშინ სტუდენტები ვიყავით და ამით იმის თქმა მინდა, რომ იყო თამამი ნოვაციები საზოგადოების სასარგებლოდ და ეს არის ნუგზარ ფოფხაძის დამსახურება.**

არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიას პარტიული ნომენკლატურა — ცეკა აფინანსებდა, საქართველოს ტელევიზია იყო აბსოლუტურად დემოკრატიული და ხალხის ტელევიზია. პარტიული იდეოლოგია, იმ პერიოდში, შეიცვალა სახელმწიფო იდეოლოგიით. არ იყო მაშინ არც ბორდი, არც ბორდელები, მაგრამ ტელევიზია იყო წარმატებული.

დღეს რა არის საჭირო?

დღეს უნდა გათავისუფლდეს ბორდი. ჩამოსცილდეს მთლიანად ტელევიზიას. ვიმუშაოთ ახალ კანონზე და ის ტელევიზია, რომელსაც დავტოვებთ ხელისუფლების, საზოგადოების კონტროლის გარეშე, იძულებული იქნება მიებას საზოგადოებას.

არ უნდა ამას მიტინგები.

დირექტორმა და მისმა მოადგილეებმა აგონ პასუხი ხალხის წინაშე და არა ხელისუფლების ან რომელიმე პარტიის წინაშე.

ენის სიწმინდის დაცვაზე იყო აქ საუბარი და ერთი რამ მახსენდება: მოგეხსენებათ, კომპიუტერით არ იწერებოდა ადრე ტიტრები, ხელით მუშაობდა მხატვარი და მოხდა ასეთი რამ — ეთერში გავიდა სათაური — „მწერალთა კომფერენციის შესახვედრად". ნუგზარ ფოფხაძემ ამის გამო დასაჯა ლიტერატურული რედაქციის მთავარი რედაქტორი, მოადგილეები, თანაშემწეები, მთელი რედაქცია, ის, რაც ეპატიება სხვა რედაქციას, არ ეპატიება ლიტერატურულ რედაქციას, თუნდაც შემთხვევითო. პრეტენზია რომ გამოთქვეს, ბატონმა ნუგზარმა უთხრა: წერა-კითხვა ხომ იცით, უმაღლესი განათლება ხომ გაქვთ. კონფერენციაა თუ კომფერენცია, ეს თუ არ იცით, ტელევიზიაში რაღა გინდათო?!

ამ დონეზე იყო ენის დაცვის საკითხი.

**როგორ ვექცეოდით სამშობლოს, მშობლიურ ენას, სინდის-ნამუსს, ამაზე უნდა იყოს საუბარი. ჩვენმა შვილებმა თუ ეს არ გაიგეს, მართლა „ჩარეცხილები" ვეგონებით.**

მე, 24 წლის ბიჭს, სიმართლეს რომ ვემსახურებოდი, მანქანის მუხრუჭის მილი გადამიჭრეს, ავარიაში რომ აღმოვჩენილიყავი. ჩემს თავს არ ვამბობ, სხვასაც ვუქმნიდი საფრთხეს და მე ვემსახურებოდი კომუნისტებს? თუ გურამ ჟვანია ემსახურებოდა, პირდაპირ რომ ესროლეს სტეჩკინი? ან ნუგზარ ფოფხაძე, რომელსაც შს მინისტრის ბრძანებით სიგნალიზაცია გაუთიშეს და ისე გააძარცვინეს სახლი ქურდებს? ეს დადასტურებული ფაქტებია.

**კახა კახაბრიშვილი**: ცენტრალურ ტელევიზიაშიც არ იყო მაშინ, როცა ჩვენთან გაიხსნა პირველი სატელევიზიო თეატრი. თემურ ჩხეიძემ ჩვენთან დადგა სპექტაკლი „ჯაყოს ხიზნები" და სწორედ ამ სპექტაკლის გამო გაიმართა პირველი თოქ-შოუ ქართულ ტელევიზიაში, რომელიც კაკო ბაქრაძეს მიჰყავდა.

**ვახტანგ კობაიძე**: ტელევიზიის თანამშრომლები, 3000 კაცი, ერთ ოჯახად ვცხოვრობდით. დამლაგებლიდან დაწყებული მთავარი რეჟისორით დამთავრებული ერთმანეთის გვერდით ვიდექით და ნუგზარ ფოფხაძეს დამლაგებლიდან უმაღლეს თანამდებობის პირამდე არასდროს არ დავიწყებია არავის დაბადების დღე.



1985 წელს ანსამბლი „ჟურნალისტი", რომელიც შემდეგ „ქართულ ხმებად" გადაკეთდა, ფინეთში იყო გასტროლებზე. მე, როგორც კორესპონდენტი, ცხადია, მათთან ერთად ვიყავი, გასტროლები თებერვლის თვეს დაემთხვა. ჩემი დაბადების დღე კი 15 თებერვალი იყო. 14 თებერვალს გადავლახეთ საზღვარი და 15-ში უკვე ფინეთში სასტუმროში მივედით. სასტუმროს ადმინისტრატორმა რომ გაიგო, საქართველოდან ვიყავით, იკითხა: ვინ არის ვახტანგ კობაიძე. მე ვარ-მეთქი, გაკვირვებულმა ვუთხარი, ადმინისტრატორმა გადმომცა დაბადების დღის მისალოცი ბარათი და ფული ნუგზარ ფოფხაძისგან, როგორც ხელმძღვანელისგან. ეს იყო ყურადღება თანამშრომლის მიმართ.

**მერაბ ხაჩიძე**: ანტონ კელენჯერიძე მინდა გავიხსენო, ის გახლდათ საქტელერადიოს პირველი დირექტორი. არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც „ჩარეცხილი" კი არ უწოდეს, პენსიაზე გასვლის შემდეგ ტელევიზიაში გაუხსნეს სპეციალური გადაცემა „მატიანე", თუ არ ვცდები, და აი, მაშინ გაკეთდა ის უნიკალური ტელეარქივი. ახლა თუ რამეს დღეს ვხედავთ ძველს, იმ დროს არის გაკეთებული. 70 წელს გადაცილებული იყო მაშინ ბატონი ანტონი.

## როგორ დაანგრიეს ყველაფერი?

**კახა კახაბრიშვილი:** 80-იან წლებში ევროსაბჭომ საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა, საქტელერადიოკომიტეტი საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაქცეულიყო.

დაიწყო სხვადასხვა ხარჯების დაწესება. შემოტანილი აპარატურის აქციები და ა.შ. ხალხში გაჩნდა პროტესტი. საზოგადოებრივ მაუწყებელს ბევრი ხარჯი აქვს, აი, „რუსთავი-2" უფასოა და ა.შ. საზოგადოება კრიტიკულად განაწყვეს ამ ტელევიზიის მიმართ. ისევ სახელმწიფოს დაეკისრა ხარჯები. მაგრამ მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა. მათ ხელფასების შეზღუდვა დაიწყეს, მერე თქვეს, ვინც გათავისუფლებაზე განცხადებას დაწერს, 5-6 თვის ხელფასს ერთად მივცემთო, ამ პერიოდში ზაზა შენგელია და კახა ბექაური იყვნენ ტელევიზიის ხელმძღვანელები, ესენი არ არიან შემოქმედი ხალხი, ისინი ტელევიზიაში ფულის საკეთებლად მოვიდნენ. სადაც უნდათ, იქ ვიტყვი ამას და დავამტკიცებ კიდევაც. სახურავიდან წვიმის წყალი რომ ჩამოვიდა, რემონტის მაგივრად სტუდია საერთოდ დახურეს.

**ტელევიზიის მეორე კორპუსი, რომელიც ქართული უმშვენიერესი ტელეფილმებისთვის აშენდა, დღეს ეკუთვნის ზაზა შენგელიას „ბრავო რეკორდსს".**

**მერაბ ხაჩიძე**: საქართველოს ტელევიზია, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელი, არსებობდა ორჯერ 1978-85 წლებში, როცა ტელევიზიაში დავალების მისაცემად ვერ რეკავდა ვერც ერთი პირველი რანგის ჩინოვნიკი.

მე მახსოვს, როგორ უკიდებდა ტელევიზიის პირველი პირი ტელეფონის ყურმილს ცეკას წევრებს: დავალებას არ მივიღებ, ტელევიზია ხალხისააო.

საქართველოს ტელევიზია იყო თავისუფალი, იყო ქართველი ხალხის ტელევიზია და იყო ქართული, ეროვნული მაუწყებლობა და კიდევ ერთი, ფეხებით რომ დამკიდონ, ამას მაინც ვიტყვი, რადგან სიმართლეს ვამბობ: ქართული ტელევიზია ყველაზე თავისუფალი იყო სამხედრო საბჭოს პერიოდში. არ იყო არც ბორდი, არც მიმთითებელი, მბრძანებელი. მაშინ მოვალეობას ასრულებდა ვახტანგ ხუნდაძე და მერე არჩილ გოგელია. მე არ მახსენდება ტელევიზიაში პრეტენზიით მოსულიყო „მხედრიონი", ჯაბა იოსელიანი, ან ნებისმიერი ვინმე. ტელევიზია ხალხის სამაუწყებლო ორგანოდ ჰქონდათ აღქმული, ასე მიაჩნდათ და ასე იყო და ვერ ბედავდნენ ვერაფერს.

**ჩვენ კონსულტანტებად უნდა მიგვიწვიონ, არა მხოლოდ ჩვენ, საერთოდ, პროფესიონალები უნდა მიიწვიონ ყველა დარგში, თორემ ის ანგელოზებივით გოგო-ბიჭები, ჩვენი დამმარხავები და საფლავზე ქვის დამდებნი, უცოდინარნი რჩებიან. საფლავზე რომ შეცდომით არაფერი დააწერონ, უნდა ვასწავლოთ და ვუთხრათ, რა ხდებოდა, რა უნდა მოხდეს და რა გაგვიკეთებია, საერთოდ, ქვეყნისთვის.**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

საზოგადოებრივი მაუწყებელი
GEORGIAN PUBLIC BROADCASTER
GPB.GE

# „წადით, თქვენი ყველასი... მემარჯვენეებო, მემარცხენეებო, ცენტრისტებო, კორუფციული ელიტის ფეხსაცმლის ლანჩის მლოკავებო, წადით, თქვენი...“

## ბელგიის პარლამენტის წევრის ლორან ლუის სკანდალური გამოსვლა ბრიუსელში

***საქართველო აპირებს მონაწილეობა მიიღოს მალიში საფრანგეთის სამხედრო ძალების მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ წამოწყებულ ოპერაციებში, თუმცა სანამ მალიში წახვალთ, იქნებ ეს წერილი წაიკითხოთ, ქართველო მშვიდობისმყოფელებო.***

ბელგიის პარლამენტის წევრის ლორან ლუის სკანდალური გამოსვლა ბრიუსელში რამდენიმე ათეულ კოპიოდაა ატვირთული „იუთუბიზე“ ევროპის ძირითად ენებზე და თითოეულ მათგანი ასი ათასობით ადამიანს აქვს ნანახი.

რა თქვა ლორან ლუიმ პარლამენტში გამოსვლისას ბრიუსელში: — „...შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მე აქ ვხუმრობ, მაგრამ სინამდვილეში, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, სრულებით არ მეჩვენება სასაცილოდ, რადგან სიტუაცია ეჭვშეუვალად ისეთია, რომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობები თავიანთ საკუთარ მოსახლეობას იდიოტებად თვლიან. მოსახლეობის გამოთაყვანება ხდება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დახმარებით, რომლებიც არანაკლებ საშიშია მმართველ ელიტაზე.

**ვხედავთ, რომ მთელ მსოფლიოში იმატა ქვეყნებში საომარმა შეჭრამ და ხელისუფლებების ჩამოგდებებმა — დღეს პრევენციული ომები გახდა წესი. დემოკრატიისა და ტერორიზმთან ბრძოლის სახელით ზოგიერთი სახელმწიფო თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას რომ დაარღვიოს სხვა ქვეყნის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, დაამხოს ლეგიტიმურად არჩეული მთავრობა. აშშ-ის ტყუილმა მიიყვანა ერაყი და ავღანეთი ომამდე, შემდეგ მათ მიემატა ტუნისი, ლიბია, ეგვიპტე.**

შედეგი? — ზომიერი ხელისუფლებები იცვლებოდნენ ყოველთვის „ისლამისტურით“, რომლებიც, მოსულები როგორც „დემოკრატები“, რატომღაც მაშინვე ამყარებდნენ შარიათის კანონებს — თქვენ ეს არ გაოცებთ? სწორედ ეს ხდება ახლა სირიაში, სადაც ბელგია ეხმარება შეიარაღებაში ისლამისტ ტერორისტებს, რომლებიც იღწვიან იმისთვის, რომ ჩამოაგდონ ბაშარ ასადი — და ეს ხდება შუა ეკონომიკური კრიზისის დროს, როცა უფრო და უფრო მეტი ბელგიელი ხდება გადახდის უუნარო, ისეთი, საკუთარი საცხოვრებლის ქირის გადახდა, თავის გამოკვება და გათბობა რომ არ შეუძლია.

კი, კი, მე მესმის, როგორი აუტანელი პოპულისტი და ა.შ ვარ, მაგრამ თქვენ იცით, რომ ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა 9 მლნ ევრო აჩუქა სირიელ ტერორისტებს?! უნდათ, რომ ჩვენ დაგვარწმუნონ, თითქოს ეს ფული აჯანყებულების ჰუმანიტარული საჭიროებისთვისაა, მაგრამ ეს კიდევ ერთი მორიგი სიცრუეა. უკვე თვეებია ვხედავთ, როგორ ეხმარება ბელგია ისლამური რეჟიმის დამყარებას სამხრეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. ეხლა დეკლარირებენ, რომ იწყებენ ომს მალიში რათა თითქოს ამოძირკვონ ტერორიზმი — ეს უბრალოდ, ტყუილების ჩმახვაა. ჩვენ შევიჭერით მალიში საპატიო საბაბით — დავიცვათ იქ ჩვენი ფინანსური ინტერესები, მაგრამ იდეოლოგიურად ამას ვაკეთებთ ნეოკოლონისტების პოზიციიდან. ის, რომ ვეხმარებით საფრანგეთს მალიში ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლაში, სრული ბოდვაა, რადგან ამავდროულად ვეხმარებით ტერორისტებს, ოღონდ, სირიაში ისლამისტ ექსტრემისტებს.

დროა დამთავრდეს ტყუილები და ჩვენი მოქალაქეების მოტყუება. დადგა დრო, რომ ითქვას სიმართლე — ჩვენ ვაიარაღებთ ისლამისტებს, როგორც ადრე დასავლეთი აკეთებდა, როგორც ეს იყო, მაგალითად, ბინ ლადენის შემთხვევაში, რომელიც ამერიკელებზე მუშაობდა. დასავლეთის ქვეყნები ყველა საშუალებას მიმართავენ რათა თავიანთი სამხედრო ბაზებით დაფარონ ახალი დაპყრობილი ქვეყნები; ამასთანავე, დაპყრობილი ქვეყნების ყველა ეკონომიკური შეკვეთა გადაეცემა დასავლეთის კომპანიებს — ყველაფერი სტრატეგიულადაა მოფიქრებულ-ჩაფიქრებული. ერაყში ჩვენმა ამერიკელმა მოკავშირეებმა ხელში ჩაიგდეს ნავთობი; ავღანეთში საუბარია ნარკოტიკებსა და ოპიუმზე — ყოველთვის კარგია, თუ გინდა სწრაფად გააკეთო ბევრი ფული...

ტუნისი, ლიბია, ეგვიპტე, მალე კი სირიაა დასავლეთის სამიზნე რათა ჩამოაგდოს ზომიერი ხელისუფლება და შეცვალოს ისლამისტებით. შემდეგ, ეს ისლამისტური რეჟიმები სწრაფად გახდებიან ყველასთვის პრობლემა და „საპატიო საბაბით“ სახელად „ტერორიზმთან ბრძოლა“ და „ისრაელის დაცვა“ დავესხმით მათ თავს.

დასავლეთის შემდეგი მიზნები როგორც ხელისგულზე, ისე დევს. მე დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგი კანდიდატები იქნებიან ალჟირი და ირანი.

აწარმოო ომი, რათა დაიცვა თავი აგრესორი თავდამსხმელისგან, ყოველთვის საპატიო საქმეა, მაგრამ აწარმოო ომი რათა დაიცვა აშშ-ის, ან **AREVA**-ს მსგავსი გლობალური კონცერნების ინტერესები, ან რათა მიისაკუთრო „ოქროს წყაროები“, ამაში არაფერია საპატიო, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ქვეყნები აგრესორები და სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან — არავინ არ აპირებს ამის შესახებ ღიად ისაუბროს, მაგრამ მე ამას ასე არ დავტოვებ!

თუ ვინმეს ჩემი გამოსვლა მოეჩვენება როგორც სისტემის წინააღმდეგ გამოხდომა, რომელსაც „ადამიანის უფლებების დაცვის“ ნიღბისქვეშ სდევს ფინანსური, გეოსტრატეგიული და ნეოკოლონიალური მიზნები და ეს ასეა, დიახ, მე გამოვდივარ სისტემის წინააღმდეგ! — ეს ჩემი ვალია როგორც პატიოსანი ადამიანისა და მე ამაყი ვარ, რომ ამას ვაკეთებ. ბოლომდე პატიოსანი რომ ვიყო, **ბოდიშს ვითხოვ უხამსი გამოხატვისთვის, მაგრამ წადით თქვენი, ყველასი... მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული, ე.წ კეთილისმსურველი პარტიებისა, კორუფციული ელიტის ფეხსაცმლის ლანჩის მლოკავებისა, რომლებიც სიამოვნებით დამცინიან; წადით თქვენი, ყველასი... ვინც თამაშობს ბომბებით; წადით თქვენი... ვინც „დემოკრატად“ ასაღებთ თავს და სინამდვილეში სისხლის სამართლის საზიზღარი დამნაშავეები ხართ!**

მე ჩემს თავს ვხედავ სიმართლის გვერდით, სამართლიანობის გვერდით, ნებისმიერი საშუალებით გაძარცვული უდანაშულო მსხვერპლების გვერდით. სწორედ ამიტომ, წინააღმდეგ გამოვდივარ იმ რეზოლუციისა, რომლის მიხედვით ბელგია ვალდებულებას იღებს დაეხმაროს საფრანგეთს ნეოკოლონიალისტურ ოპერაციას მალიში.

საფრანგეთის გამიზნული საომარი ოპერაციის ფუნდამენტი სიცრუეა. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ თითქოს ეს მხოლოდ გამოძახილია იმ დახმარების თხოვნაზე რომელიც მალის პრეზიდენტის მხრიდან მოდის. ჩვენ გვავიწყდება, რომ მალის ეს „პრეზიდენტი“ არალეგიტიმურია, რომ ის იქ დააყენეს 2012 წლის მარტში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. ვინ უჭერდა მხარს ამ გადატრიალებას, ვინ დგას ამის უკან, ვისზე მუშაობს მალის ეს „პრეზიდენტი“? — ესეც თქვენი პირველი ტყუილი. საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი ყველას არწმუნებს, რომ ის აპირებს ტერორისტების ალაგმვას მალიში, რომლებიც თითქოს (თქვენთვის წარმოიდგინეთ!) ემუქრებიან საფრანგეთისა და ევროპის ტერიტორიებს. ამ ტყუილის, მალიში ომის ოფიციალური მიზეზის გამოყენებით ხდება ლიდერების მიერ საკუთარი მოსახლეობის ტერორიზმით დაშინებაც. როგორ ბედავენ თავიანთი მოქმედების გამართლებას ისლამისტური საფრთხის წინააღმდეგ, როცა თვით საფრანგეთმა და ბელგიამ შეაიარაღეს ისინი და ეხმარებოდნენ ლიბიაში, ან რას აკეთებენ ახლა სირიის მიმართ — ისინი მხოლოდ მიზეზად იყენებენ ამას თავიანთი სტატეგიული და ეკონომიკური ინტერესებისთვის ამ ქვეყნებში. ხვალ ჩვენ ვერ ვნახავთ მალელი ექსტრემისტების მიერ მოწყობილ ტერაქტებს ევროპაში, არა, ეს არ იქნება, თუ რა თქმა უნდა, ჩვენ თვითონვე არ მოვუწყობთ საკუთარ თავს ასეთ პროვოკაციებს, რათა მიზეზი გვქონდეს სამხედრო შეჭრისა სადმე.

ნუთუ ჩვენ ჩავიდინეთ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი იმისათვის, რომ გაგვემართლებინა ჩვენი საომარი შეჭრები, უკანონო წამებები, დაპატიმრებები და უდანაშაულო მოსახლეობის მასობრივი მკვლელობები? — მაშინ, ამ ფონზე საფრთხობელად „მალის ტერორიზმის“ შექმნა ჩვენთვის საბავშვო ბაღია, ეს ჩვენი სისხლსმოწყურებული ლიდერებისთვის არც ისე ძნელია.

სხვა მიზეზი, რომელსაც ჩვენი სამხედრო ოპერაციების გასამართლებლად იყენებენ, ესაა ადამიანის უფლებათა დაცვა. ეს მიზეზიც გამოდგება მალიში ომის ლეგიტიმაციისთვის. ჩვენ გვეუბნებიან, რომ სასწრაფოდ უნდა მივიღოთ ზომები და ვიმოქმედოთ, თორემ „ბოროტი ისლამისტები“ შარიათის კანონებს დაუქვემდებარებენ მალის, ქალებს ქვებით ჩაქოლავენ, ქურდებს ხელებს მოაჭრიან — ოჰ, მოკლედ, ჩვენი მიზნები იქ თითქოს აბსოლუტურად დამაჯერებელია. მაშინ, მითხარით, რატომ ვეხმარებოდით ისლამისტებს რომ მოსულიყვნენ ხელისუფლებაში ტუნისსა და ლიბიაში და შარიათის კანონებით ემართათ ეს ქვეყნები?

მალიში ომის მიზანი ნათელია. ყველა ფარისევლობს და არავინ ამბობს, მაგრამ მე ვიტყვი — მალიში ომის მიზანია ის, რომ აფრიკიდან გამოაძევონ ჩინეთი, რათა ჩვენს მოკავშირეებს, ამერიკელებს გაუმყარდეთ პოზიციები აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში — ასეთი მოტივები აქვს ამ ნეოკოლონიალისტურ ოპერაციას. ჩვენ შემდეგ ვნახავთ, რომ საფრანგეთი იქ დატოვებს თავის სამხედრო ბაზებს, რომლებიც ახლა შეიარაღებულები არიან და დაეხმარებიან ამერიკელებს რათა ერთად, როგორც ხდება ჩვეულებრივ, მიიღონ საუკეთესო შემოსავლიანი წყაროები მალიდან. ამგვარად, სხვისი სიმდიდრე და რესურსები კვლავ (ნეო)კოლონიალისტების მიერ იქნება გაძარცვული, კვლავ!

**მოდით, ფაქტებს სახეში შევხედოთ — მალიში სამხედრო ოპერაციის ჩატარებით უპირველესი დაინტერესებული სახე ფრანგული ენერგოგიგანტი AVERA-ა. ის უკვე მრავალი წელია ცდილობს ურანის წყაროს დაუფლებას პატარა ქალაქ ფალეაში, რომელიც 17 000 მოსახლეს ითვლის და მხოლოდ 350 კმ აშორებს მალის დედაქალაქ ბამაკადან. იცით, მე ასეთი შეგრძნება მაქვს, რომ შორს არაა ის დრო, როცა ეს ურანის წყაროები ფრანგულ ენერგოგიგანტს ჩაუვარდება ხელში. ვისაც ეჭვი ეპარება ჩემს ამ არგუმენტებში, ვთავაზობ, ახლოს გაეცნოს მალის ბუნებრივი რესურსების რუკას. მალი ოქროს მსხვილი მწარმოებელია, ცოტა ხნის წინ კი აღმოჩნდა, რომ მალიში ურანის მოპოვებას უაღრესად ხელსაყრელი უპირატესობა აქვს და იაფია... და აი, ჩვენ უკვე ერთი ნაბიჯით ახლოს ვართ ირანთან წამოსაწყებ ომთან.“**

**ნოდარ ლომჯარია**





# პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელი:

## „ჩვენი ქვეყანა შეუსწავლელი მუზეუმია... საქართველოა თვითონ კულტურა... ახლა ისეთ რამეს გეტყვით, რაც ჯერ არავის უთქვამს...“

# წმინდა ნინოც და წმინდა გიორგიც ქართველები იყვნენ

**ვაგრძელებთ საუბარს „საერთო გაზეთის“ №24-ში გამოქვეყნებული მასალის „იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა“ შესახებ. ჩვენი სტუმარია მწერალი პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელი**

### ვინ „მისცა“ ვაზის ჯვარი წმინდა ნინოს?

წინათ ისტორიას სასულიერო პირნი წერდნენ, მაგრამ მათ მკვლევარობას ან მეცნიერობას, როგორებიც ჯანაშია, ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი იყვნენ, ვერ მოვთხოვთ. წმინდა ნინოს შესახებ მინდა გითხრათ: თუ ძველ რუკას გადავხედავთ, კაბადოკია საქართველოს კუთხეა. გადმოცემით ვიცით: უფალმა ნინოს გონება გაუნათა და ქართულად ლაპარაკი დაიწყოო.



სინამდვილეში ასე არაა, მკვლევარი ამას არაფრით იტყოდა იმიტომ, რომ მან იცის, სადაა კაბადოკია, ვინ ცხოვრობდა იქ და უფლის შეწუხებაც აღარ დასჭირდებოდათ. სასულიერო პირებს უნდოდათ უფლის ძლიერება ეჩვენებინათ. უფლის შეწუხება არაა საჭირო იმიტომ, რომ კაბადოკიაში მაცხოვრებლები და თავად ნინოც ქართველები იყვნენ და იგი ლოგიკურად ქართულად ლაპარაკობდა. ნინო ქართველია და მაშინ მისი ნათესავი გიორგი ვინ გამოდის? მეტსაც გეტყვით, კერძოდ, VI საუკუნეში – ასურელი მამების შემოსვლაზე კორნელი კეკელიძეს უდიდესი კვლევა აქვს ჩატარებული. იგი ყოველგვარი გადამეტების გარეშე ამბობს, რომ ასურელი მამები, ყველანი ქართველები იყვნენ. ხვდებით, რას ვაწყდებით? თუკი ამ მკვლევარებს დავუჯერებთ და უნდა დავუჯეროთ კიდეც – მაშინ წმინდა ნინოს არ სჭირდება გონების განათება, ისედაც განათებული აქვს და ქართულად საუბრობს და ქართველია. ბევრისთვის, ალბათ ცნობილი არაა, რომ როდესაც ნინოს ღვთისმშობელი გამოეცხადა და საქართველოში წასვლისა და ქადაგების შესახებ უთხრა, იგი ზმანებიდან რომ გამოვიდა, ხელთ ვაზის ჯვარი ეპყრა, ანუ ეს ჯვარი მარიამ ღვთისმშობელმა მისცა. ისევ ვაზთან გვაქვს საქმე, რაც ქართველების სიმბოლოა.

### რა საერთო აქვთ კოლხებსა და ეგვიპტელებს?

კოლხეთის შესახებ მოსე ჯანაშვილს შემდეგი კვლევა აქვს ჩატარებული, იგი ამბობს: კოლხეთი ძვ. წ. I ათასწლეული უწინარეს ჟამებშივე ხალდეველთა მოდგმას სჭერია მთელი შუამდინარე და მცირე აზია ეგვიპტის საზღვრებამდე, კუნძულები კვიპროსი (ამას მათებურად ერქვა აგრეთვე იავნანა) და კრეტა. შარდან კოლხელი თავის რაზმით ჰშველოდა რამზეს II-ს 1270 წ. ქრ. წ. კოლხელებივე ენადებოდნენ ლიბიელებს (აფრიკაში), სადაც ცხოვრობდა თეთრკანიანი ხალხი თხუხი, კახაკინილოსის დელტის სამხრით ქალაქი ტანისი (ავარისი) იყო უმთავრესი სამყოო კოლხელებისა. ჰიქსოსების ხანაში მთელი ეგვიპტე, სირია ლასისამდე და შუამდინარე წარმოადგენდა ერთ სახელმწიფოს ჰეგემონიის ქვეშე ხეთა-ქალდის მოდგმისა. შემდეგში 1270 წელს ხეთას მეფე ხიტისარმა (სქოლიოში აღნიშნულია: ხიტი იგივე ქიტი, ხატი, ხეტაა ხიტიის ანუ ხიტის მეფე (სარ-ცარ, მცარი, ცავი), რომ სამეგობრო ხელშეკრულება დასდო რამზეს II-სთან. ამ ხელშეკრულობის სიმტკიცეს თავდებად დაუდგა ათასი ღმერთი ხეთას ქვეყნისა და ათასი ღმერთი ეგვიპტისა, და იგივე ხელშეკრულობა თავის ბეჭდით და ხელმოწერით



დაამტკიცა ხეთას დედოფალმა გილუხიპამ (სქოლიოში ნათქვამია:ასეთივე სახელიანი სეფე ქალები ქალდისა ცოლად ჰყვანდათ ფარაონებს), ასულმა კიჯადადანის ქვეყნისა. საგულისხმოა, რომ ჰეროდოტე, რომელმაც მოიარა ეგვიპტე და კოლხეთი, ეგვიპტელებსა და კოლხებს შორის ერთის მხრივ და მათ ჩვეულებასა და ენას შორის მეორეს მხრივ დიდ ერთობას აღნიშნავს. ბერძენთ მწერლებივე აცხადებენ კოლხების ერთგვარ დენას დასავლეთისკენ. სტრაბონი იუწყება, კოლხების კვალი შეინიშნებაო კუნძულ კრეტაზე, იტალიას, ადრიატიკის ზღვამდე. აქ პლინიუსი უჩვენებს ქალაქს კოლხინიუმ კოლხთა აგებულს. ამათ წინანდელი მწერლები, კალლიმახი (260-230 წ. ქრ. წ.) და სხვა, კოლხთა ქალაქებს უჩვენებენ ეპირში, ისტრიას (სქოლიოში აღნიშნულია:კოლხებმა დააარსესო ქალაქი, რომელსაც დაარქვესო თავიანთებურად პოლა. გვგონია ნაკვეთად სიტყვისა სოფელი ზმნიდან ფუუა, ფლვა, ფლობა). თვით იუპოტერის აღმზრდელებადაც იგივე ბერძნის მწერლები აცხადებენ კოლხებს, ათინის კულტიც კოლხეთიდან გადაინერგესო. შემოვკრიბეთ ჩვენ გეოგრაფიული სახელებიც ხეთა-ქალდიისა, და მათ შორის არა ერთი აღმოჩნდა სეხნია აწინდელ საქართველოს გეოგრაფიულ სახელისა, იგეთიც-კი, არმაზი, ოპიზი, ძამა, გურია, ეფრატი. მაგრამ ამ სახელებში უმთავრესი ჩვენი ყურადღება მიიპყრო შუამდინარის წოდებამ შუმერე, ე.ი. შუამერე ტიგროსსა და ევფრატს შუა მდებარე მერე=სარწყავი მიწა. ამ შუმერის ენა აქაურობისთვის ისეთივე საღმრთო ენა იყო, როგორიც ევროპისთვის ლათინური, მაგრამ ამ ლათინურზე ორჯერ მეტ ხანს (ისტორია კაცობრიობისა, ჰელმჰოლცის რედაქცია 1904 წ. ტ. 3, გვ. 6.) ასე შემოიკრიბა დიდძალი მასალა და ისეთის ხასიათისა, რომ აშუქებს ქართველი ერის წარსულს. და ამიტომ ამ მასალის შემცველ ჩვენს ახალ შრომას სახელად დავანათლეთ „ქართველები და ქართული ენა“.

**უფალს ეროვნება არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: როდესაც უფალი ჯვარს გააკრეს, მან ბოლო სიტყვით მამას მიმართა: — ელი, ელი, ლამა საბექთანი.**

**№24 (258), 18-24.IX, 2013 წ.**



### ერი, რომელიც ქართულ ენაზე ლაპარაკობდა მსოფლიოს ბატონ-პატრონი იყო

მოსე ჯანაშვილი წერს: ქალდთა ძეგლ-წერანი ისეთი ხასიათისანი არიან, რომ იგინი დიდი მეცნიერების სიტყვით არ ჩამოუვარდებიან ეგვიპტის ცნობილ ძეგლებს. ოღონდ უნდათ მათ გულდასმით და ბეჯითად შესწავლა, ტექსტების მოგროვება, გადმოთარგმნა, გამოქვეყნება და გავრცელება. ყველა ეს უნდა ითავოს ჩვენმა ნორჩმა უნივერსიტეტმა, საცა მოღვაწეობენ ისეთი ძალები, ვით ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, გ.ახვლედიანი, გ.წერეთელი და სხ. ჩვენი ძეგლწერები არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობისაა, არამედ საზოგადოც, საკაცობრიო. ჯერ ისევ ამ ძეგლწერათა წაკითხვამდე ინგლისის მეცნიერი კლარკი წერდა: „ქართველი მოდგმა უწინ ფართედ იყო განთესილი. არსებობდა ძველი ქართული ენა, რომელიც შემდეგში გაშტოვდა ენებად არიისა, სემისა, ტიბეტისა და სხ. მოდგმათა. ერი, რომელიც ამ ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, ბატონობდა მთელს მაშინდელ ცნობილ მსოფლიოში, უმთავრესი სამყოფო კი ამ ერისა იყო იბერია – მოსეს ედემი. ბაბილონს და ასურეთს აღმოცენდა მისი სკოლები სამეცნიერო, სამწერლო და სახელოვნო შესაგნებად უძველეს ძეგლ-წერათა ფორმებისა და აკადის ძეგლწერების წასაკითხავად უნდა მივმართოთ ძველ ქართულ წყაროებს. სომხები და სპარსელები არიან ნაშთნი ძველ ქართველებისა, ასურთა მიერ დამარცხებულებისა და დევნილებისა მათ სამხრეთ სამფლობელოდან“. ჰ. ჩლარკ. ონ ტჰე პრეჰისტორიე ანდ პროტოჰისტორიე რელატიონრ, ოფ ასია (Journal of the of the Antropokog. ligt; tute, 1871 წ. გვ. 52-59. კ.პატკანოვი. „ვანის ძეგლწერანი და მნიშვნელობა წინა-აზიის ისტორიისათვი“, 1881, გვ. 15). როგორც ჰხედავთ, ყოველ მხრივ საყურადღებოა კლარკის აზრი და შეხედულობა. ძეგლწერათა ენა უკვე ამოცნობილად უნდა ჩაითვალოს. ქართველი ერი მოვალეა დიდის გულისხმიერობით მოეჭიდოს იმ საუნჯეს, რომელიც ბიაბან ადგილებში დაუტოვებიათ წინაპრებს. დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ერთი ძეგლწერა თავდება ლექსად, რომლის დაბოლოება ასეთია: ნუ ლალიე ნუ ლაალი ნულულიე სელუინიე ასეთები იყვნენ „გულმყარნი და კისბასნი, ვეფხვზე მალი ცხენებით“ (ამბაკომე) „ქალდინინი ბუშინი“.

### რატომ „დააბრუნა“ ანგელოზმა ყრმა იესო ეგვიპტეში?

როდესაც იესო გაჩნდა, ქალდეველი მოგვები მივიდნენ და პატივი სცეს. ისინი აღმოსავლეთის ვარსკვლავს გამოჰყვნენ და იმ ადგილს მიაგნეს, სადაც იესო დაიბადა. ასეთი ამბავი მოხდა – უფლის ანგელოზი გამოცხადდა და იოსები და მარიამი გააფრთხილა, ეგვიპტეში გადამალეთ ბავშვიო. საიდანაც გამოიქცნენ, ანგელოზი ისევ უკან აბრუნებს. რა ხდება? – ჩემი აზრით, შესაძლოა ქალდეველ მოგვებსაც ეთქვათ ეგვიპტეში დაბრუნებაზე. საინტერესო მომენტია – ეგვიპტიდან გამოიქცნენ და ისევ ეგვიპტეში აბრუნებენ? ჩვენ ამ დროს ისტორიაში იესოს მოღვაწეობის პერიოდი გვეკარგება. რადგან ეგვიპტეში დაბრუნდნენ, სავსებით შესაძლებელია, ბევრი რამ ქალდეველებისგან ესწავლა. ისტორიაში იესოს მოღვაწეობის ეს პერიოდი

**დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისაში“ მარიამ ღვთისმშობელს ქართველად მოიხსენიებს.**

**ზუსტად ეს მინიშნება აქვს დავით აღმაშენებელს, როცა მარიამ ღვთისმშობელს ეუბნება — შენ სიკეთეო ეგვიპტისაო. პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ მისი წარმომავლობა პროტო-(წინარე) ქართულია. უფალმა ელოი, ელოი მის ენაზე, დედაენაზე თქვა.**

**№24 (258), 18-24.IX, 2013 წ.**

უცნობია. ვფიქრობ, რადგან მან უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ დედა ენაზე წარმოსთქვა, ეგვიპტეში დაბრუნებისას სწორედ ქალდეველებთან იყო და ბუნებრივია, ბევრ რამეს ისწავლიდა — ქალდეველების საოცარი განათლებულობა იესომდეა ცნობილი.

### მეორე იერუსალიმი — მეორედ მოსვლაა?!

აქვე, ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილი არაა. 1795 წელია და თბილისში აღა-მაჰმად-ხანი შემოდის. მან ავლაბრის ხიდთან თბილისის მთელი მოსახლეობა შეკრიბა. ანჩისხატის მონასტრიდან ღვთისმშობლის ხატი გამოიტანეს და ქართველ ხალხს გამოუცხადეს — ხატს შეაფურთხეთ და რჯული იცვალეთო. მოსახლეობა გაიტრუნა. უცებ ერთმა კაცმა — კაკაბაძემ ხელი ასწია, ხატთან მიმიშვითო. ყველას ეგონა, რომ ხატისთვის შეფურთხებას აპირებდა. მას ერთადერთი 16 წლის ბიჭი ჰყავდა, ორივენი ხატთან მივიდნენ, მუხლი მოიყარეს, ემთხვიენ და აღა-მაჰმად-ხანის ხალხს შეაფურთხეს. ორივეს თავი მოკვეთეს. მათ ხალხმა მიბაძა. ანუ, სხვა რჯულზე არ გადავიდა ქართველი კაცი და სატანიზმზე გადავა?!

ახლა კი ეუბნებიან, სატანის მხარეს გადადი, რჯული იცვალეო და ეშმაკის მსახური გახდიო. ამას გაუნათლებლობის, ევროპისთვის კუდის ქიცინის გამო გვეუბნებიან და არ იციან, რაზე აწერენ ხელს. პარლამენტარი იქნება თუ მინისტრი, ვერ მოესწრება ქართველი ხალხის სატანის გზაზე წაყვანას. დავით აღმაშენებელი იყო პირველი, ვინც ბერძნებს განუცხადა — თქვენ ვერ გაგიგიათ, ელინელებო, სწავლება უფლისაო. იოანე პეტრიწმა მართლმადიდებლური ფილოსოფია შექმნა. ამის გაგრძელებაა შოთა რუსთაველი, რომელსაც აღაპშიც არ იხსენიებენ. **„ლომს რომ ჭანგები დააძრო, გულით ის მაინც ლომია“. ესაა ქართველი ხალხი — ჭანგები დაგვაძვრეს, მაგრამ ქართულ ჯიშს ვერაფერს დააკლებენ. რას იზამენ — ისტორიიდან საშლელით ამოშლიან ჩვენს წარსულს? თუ ბავშვს დაუმალავ თავის ისტორიას, ისე გაზრდი, რომ ეტყვი, ეროვნება, ჯიში არ გაქვსო, უკვე ვლებულობთ ლგბტ-ს. გესმით, რა ხდება — უცებ გადავდივართ ეშმაკის მხარეს.** დავუბრუნდები დავით აღმაშენებლის სიტყვებს ბერძნებისადმი. ამით ის ამბობს — ახალი ათინა უნდა აშენდესო და ააშენა კიდეც — ესაა გელათის აკადემია, რასაც სათავეში იოანე პეტრიწი ჩაუყენა. მან ასევე მეორე იერუსალიმი ახსენა, რას ნიშნავს ეს? — **ახლა ისეთ რამეს გეტყვით, რაც ჯერ არავის უთქვამს — მეორე იერუსალიმი მეორედ მოსვლაა და ეს მოხდება იქ, რასაც საქართველო ჰქვია, — მეორედ მოსვლა, მოსვლა ძე ღვთისა ქართული ენით**. როგორ ფიქრობთ, ჩუკოტკაზე ან კალიფორნიაში იქნება ქართული ენით ლაპარაკი? ხმამაღლა ვაცხადებ — ახალი აღთქმა არავის ისე არ მიესადაგება, როგორც ქართულ ხასიათს, ჯიშს. ამბობს კიდეც უფალი — ღვინო სისხლია ჩემიო.



**იაჰვე ეუბნება ებრაელებს, ქალდევურად ილოცეთო. ეს უპირატესობაა, რომელიც ქალდეველებსა და ქალდეურ ენას ენიჭება. თალმუდში ბოროტის შექმნა და გაყოფა სულად, ფორმად და სხეულად თავიდან ბოლომდე ძველ ქალდეველებისგანაა ნასესხები. რა ვქნათ, არ ვთქვათ ეს?**

**№24 (258), 18-24.IX, 2013 წ.**

### რა მისწერა ეგვიპტის სულთანმა გიორგი ბრწყინვალეს?

საქართველოს ისტორიაში არის ასეთი გენიალური მაგალითი — კერძოდ, გიორგი ბრწყინვალეს პერიოდზე მინდა გიამბოთ. ამ დროს საქართველოს გაგლეჯა ხდება ცალკე სპარსეთის, ცალკე მონღოლების მხრიდან, გიორგი ბრწყინვალემ კი მაინც შეძლო და ქვეყანა დაალაგა, გააერთიანა. არაბი ისტორიკოსების ცნობით, ეგვიპტის სულთანი გიორგი ბრწყინვალეს სწერს — „დღეგრძელჰყოს ალაჰმა ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, ხელმწიფისა სახელოვანისა, სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომლად მებრძოლისა, ლომისა, ტახტის გვირგვინის მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მფარველისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, მართლმადიდებელ მეფეთა შორის საუკეთესოსი, ქართველთა სულთანისა, ზღვათა და სრუტეების განძისა, რაინდთა მცველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-სკიპტრის დამკვიდრებისა, რომ ბიზანტიის მეფეთა და ირანის ქვეყნების მემკვიდრისა, ასურეთის მეფეთა მფარველისა, გვირგვინოსანთა შორის ურჩეულესი ქრისტიანობის განმადიდებლისა, იესოს სარწმუნოების საყრდნობისა, წმინდა ადგილთა განმადიდებლისა“... ეს ის სულთანია, რომელიც იერუსალიმში ამ თქვენგან ქებულ ევროპელებს — ინგლისელებს, ფრანგებს, გერმანელებს და მთელს ევროპას იერუსალიმის კარი მიუკეტა და ქრისტეს საფლავთან. ფულის გადახდის გარეშე არავის არ უშვებს. მაგრამ ქართველებთან, ხედავთ, როგორ იქცევა?! ერთადერთ ხალხს, ვისაც უფლება მისცა ცხენით ამხედრებული, დროშააწეული, იარაღასხმული შესულიყო, ეს ქართველი იყო. ამ დროს გერმანელს, ინგლისელს, ზოგადად ევროპელს ეუბნება, თუ ცხენზე შეჯდომა გინდათ, ქალივით, ანდა უკუღმა დაჯექითო. ეგვიპტის სულთანმა გიორგი ბრწყინვალეს გაუგონარი შეღავათები მიანიჭა — უკან დაუბრუნა ძველი ქართული მონასტერი პალესტინაში — ჯვარის მონასტერი.

### რატომ ვერ უბრუნდება აკრძალული საქართველოს ისტორია ქართულ სკოლებს?

მე და ზურაბ რატიანი ერთ-ერთ პარლამენტართან შეხვედრას ვაპირებდით, მაგრამ მან — ხალხის მიღების დრო არ მაქვსო — შემოგვითვალა. თემა, რაზეც საუბარი გვინდოდა — აკრძალული, მოპარული საქართველოს ისტორიის სკოლებში დაბრუნების მოთხოვნა იყო, მაგრამ არც თემის მნიშვნელობამ უშველა საქმეს. დავით აღმაშენებლის პერიოდში ბევრად უფრო მეტი მაცხოვრებელი იყო, ვიდრე ახლაა საქართველოში. მაშინ 10 მილიონზე მეტი მოსახლე იყო. გულნატკენი ადამიანებისთვის, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით გულნატკენნი იყვნენ და მეფესთან შეხვედრა სურდათ, აღმაშენებელმა ხალხი გამოჰყო, რომლებსაც ასეთი ადამიანები მეფესთან მიჰყავდათ. **„უსამართლო საქმისა და გლახაკთა მდუღარე ცეცხლის გეშინოდეს, რასაც ქვრივის და ობლის წყევლა გაჰკვეთს, ათასი მოლესილი ხმალი და ხანჯალი ვერ გაჰკვეთს,** — ამბობდა აღმაშენებელი. წარმოგიდგენიათ, იგი იღებდა ხალხს და ესენი ვინ არიან, რომ დრო არ აქვთ.





### რა მოხდა „გილგამეშიანიდან“ ძველ აღთქმაში 1500 წლის მერე?

მიხაკო წერეთელი უდიდესი მეცნიერი იყო, რომელმაც გილგამეშიანი თარგმნა. დაუკვირდით ერთ რამეს — გილგამეშიანი 1500 წლით ადრეა დაწერილი, ვიდრე ძველი აღთქმა. იქ ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ისაა, რომ წარღვნა თავიდან ბოლომდე ძველ აღთქმაში გილგამეშიანიდანაა გადაწერილი. ძალიან საინტერესო კითხვები ჩნდება, არა?! ეს ოთხ ენაზე — ხეთურ, აქადურ, შუმერულ და ხურიტულზე დაიწერა, ანუ წინარექართულზე. აქ არის უბრწყინვალესი კვლევა მეცნიერ დენიზა სუმბაძის, ეს უცილობლივ ყველამ უნდა წაიკითხოს იმიტომ, რომ ქალბატონ დენიზას ისეთი რამეები აქვს აღმოჩენილი, რაც ერმა არ იცის.




### ინგლისმა ლორდთა და თემთა პალატა ქართველებს 60 წლის მერე „მოპარა“?

რაც შეეხება ევროპასთან კუდის ქიცინს. დასავლეთი თვითმმართველობას გვასწავლის? მე-11 საუკუნეა და თბილისში არაბი მმართველი ზის, მაგრამ თბილისს თორმეტი თბილელი ბერი მართავს. მათი გადასაწყვეტია პენსია, საჭმელი, გათბობა, წყალი, კანონები და ა.შ. ესაა თვითმმართველობა მე-11 საუკუნეში, ევროპაში მაშინ ასეთი ცნებების ბუნდლა არ არსებობდა. თამარ მეფის პერიოდში, მე-13 საუკუნეში ფინანსთა მინისტრმა გადაწყვიტა, რომ არ შეიძლება მეფემ თქვას, დარბაზმა კვერი დაუკრას და თავიანთ ჭკუაზე ჭრან და კერონ. რაღაც ახალი ორგანო უნდა შექმნილიყო, რომელსაც პირობითად კარავი დაარქვა. დიდ წინააღმდეგობებს შეხვდა, მაგრამ ბოლოს საღმა აზრმა გაიმარჯვა. გადის 50-60 წელი და დიდი ბრიტანეთი — ინგლისი თამარ დედოფლისგან გადაიღებს ამ წყობას და შექმნის ლორდთა და თემთა პალატას. ჩვენ კიდევ მივდივართ და სხვას ვეკითხებით სახელმწიფო როგორ ვმართოთო? რატომ ვეკითხებით, იცით, სხვას? — ჩვენი არ ვიცით, მით უმეტეს, რომ ისტორია აკრძალეს, მოგვპარეს და როგორღა გვეცოდინება?“ იმას ეკითხები, სახელმწიფო როგორ ვმართოო, რომელმაც ჩვენგან ისწავლა ქვეყნის მართვა. პირველი ფული, კოლხებმა ქრისტეს მოსვლამდე 500 წლით ადრე მოჭრეს. რა იყო, იცით, ამ ფულზე გამოსახული? — ერთ მხარეს ხარი და მეორე მხარეს — ღვთისმშობელი — ნე-ნანა.

### შეუსწავლელი მუზეუმი

**საქართველოა თვითონ კულტურა. იმ მაგიდასთან, რასაც პოლიტიკური მაგიდა ჰქვია, მსოფლიო მმართველები, სადაც სხედან, ჩვენ არ შეგვიშვებენ არც ტერიტორიების, არც ფინანსების, არც ბუნებრივი რესურსების გამო. მაგრამ ჩვენ უფრო დიდი მაგიდა გვაქვს, სადაც თავური კაცნი ჩვენ ვართ და თავად შეგვიძლია გადავწყვიტოთ, იქ სხვა დავსვათ თუ არა. ამიტომ რაც გვაქვს, ის უნდა შევთავაზოთ მსოფლიოს. ჩვენი ქვეყანა შეუსწავლელი მუზეუმია, თავად ჩვენ არ ვინდომებთ, რომ შევისწავლოთ. კულტურის გატანა ვერ მოვახერხეთ, ამის ანალოგი არ გააჩნია მსოფლიო კაცობრიობას.**

გიორგი ბრწყინვალეს მაგალითი წელან ტყუილად როდი მოვიყვანე — მან ჭკუა იხმარა. ჩვენ უნიჭიერესი ერი ვართ, მაგრამ არ გვაქვს ჭკუა იმისა, თუ როგორ გამოვიყენოთ ეს ნიჭი. გარდა ამისა, ჩვენ ერთ მარტივ ჭეშმარიტებას ვერ ვხვდებით: **„ერი შეიძლება ფიზიკურად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა, შეიძლება ეკონომიურად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა, შეიძლება პოლიტიკურად იყოს ძლიერი, მაგრამ არც ეს არაა ძლიერება ერისა, ჭეშმარიტი ძლიერება ერისა მის სულიერ ძლიერებაშია“, — ილია II.**

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

**P.S.** კიდევ ერთხელ მივმართავთ კულტურის სამინისტროს 1953 წელს აკრძალული ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“ 60 წლის შემდეგ მაინც დაუბრუნოს ქართველ ხალხს, ქართულ სკოლებს, რათა ბავშვებმა საკუთარი წარმომავლობის შესახებ რეალური ინფორმაცია მიიღონ.

**თ.შ.**

*გვესაუბრება პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" მთავარი საბჭოს წევრი* ***ბესიკ ტაბატაძე.***

**— ბატონო ბესიკ, როგორ შეაფასებთ ზოგადად ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას?**

— პირდაპირ, გულახდილად გეტყვით, რომ ქვეყანა უმძიმეს პოლიტიკურ კრიზისშია, რადგან ეგრეთწოდებული „კოაბიტაცია", იმ ფაზაში შევიდა, რომ არანაირ სამართლიანობაზე და ქვეყნის ევროპულ განვითარებაზე, არანაირ პერსპექტივაზე, ამ შემთხვევაში, საუბარი არ არის. ქვეყანას სასწრაფოდ სჭირდება ძლიერი მმართველი, პირდაპირ ვთქვათ ძლიერი სახელისუფლებო გუნდი, რომელშიც მოვიაზრებ ქვეყნის მმართველ პირველ პირებს, მაგრამ გადამლიანად არის გადანაწილებული. ყველამ კარგად ვიცით, რომ ის ადგილები, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობას" უკავია პარლამენტში, მათ ნამდვილად არ დაუმსახურებიათ. აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის სასიცოცხლო კანონები თუ არ იბლოკება, ხშირად გარიგების საგანი ხდება. რაც ნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" არსად წასულა, ისევ მონაწილეობს ქვეყნის მართვაში და გადამწყვეტ სიტყვასაც ამბობს. უარესიც, მათი შეკვეთით მოქმედებს უმრავლესობა! გვყავს ყოვლად უუნარო პრეზიდენტი, რომელიც სამარცხვინო განცხადებებს აკეთებს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ჩემი აზრით, იგი საშიშია ქვეყნისთვის, რადგან უფრო ბევრი სისულელის ჩადენა შეუძლია, მისი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. კრიზისი აშკარაა.

აქედან გამომდინარე, ჩვენი პარტია არ ეთანხმება პრემიერის ვადამდელ წასვლას თანამდებობიდან, რადგან ის გუნდი, რომელიც შარშანდელი არჩევნების შემდეგ მოვიდა ქვეყნის სათავეში და მიეცა ნდობის მანდატი, არ გულისხმობდა იმ მდგომარეობას, რომელშიც დღეს ვართ. თავად პრემიერსაც გაცილებით მეტი მოვალეობა აქვს აღებული ხალხის წინაშე. მან სათავეში მოსვლის შემდეგაც ბევრი დაპირება მისცა ხალხს. ასეთ პირობებში მისი ასე მალე წასვლა პოლიტიკიდან გაუმართლებელია.



# ბესიკ ტაბატაძე:
# ამ არჩევნებით საფრთხე ექმნება ხელისუფლებასაც და „ნაცმოძრაობასაც"

წყვეტი სიტყვა იქნება პრემიერ-მინისტრზე, როგორც მთავრობის ხელმძღვანელზე. ძლიერი პარლამენტი, ძლიერი მთავრობა და ძლიერი პრეზიდენტი ქვეყნის კეთილდღეობის საწინდარია. დღეს სახეზეა ძლიერი პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, მაგრამ ის პროცესები, რაც პარლამენტში მიმდინარეობს, ნამდვილად არავის გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვითარება საქართველოში სასიკეთოდ შეიცვლება, თუნდაც კანონშემოქმედებაში და სამართლიანობის აღდგენის მხრივ. მართალია, შეიქმნა რამდენიმე საპარლამენტო კომისია, მაგრამ პესიმიზმის საფუძველს გვაძლევს კომუნიკაციების ყოფილი ხელმძღვანელის დიმიტრი ქიტოშვილის გასაუბრება ამ კომისიასთან. მას ეყო თავხედობა და კომისიის წევრებს განუცხადა, რომ ჩვენებას მხოლოდ პროკურატურას მისცემდა. მას დაავიწყდა, რომ მთავარი პარლამენტია. ამის შესახებ არც თავად პარლამენტარებს უსაუბრიათ. მათ, შეიძლება, ვაჟკაცობაც არ ეყოთ იმის შესახსენებლად, რომ მთავარი პარლამენტის კომისიაა. ამიტომ ვამბობთ, რომ აუცილებელია ქვეყანას ჰყავდეს ძლიერი პარლამენტი და მთავრობა.

**— რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ბიძინა ივანიშვილის განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ?**

— მოდით, კვლავ დავუბრუნდები თქვენს პირველ შეკითხვას. დღეს სახეზეა კრიზისი. დეპუტატების სავარძლები არასამართდღეს მართვადი ქაოსია, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი უმკლავდება, მაგრამ მისი წასვლით პოლიტიკიდან დაიწყება უმართავი ქაოსი. ამიტომ არ ვამართლებთ ვადამდე მის წასვლას. ყველა დაპირება მან უნდა შეასრულოს. ქვეყანა განვითარების გზაზე უნდა დააყენოს.

**— ბატონო ბესიკ, როგორ ფიქრობთ, თუ არის მოსალოდნელი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, საჭიროა კი?**

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება აუცილებელია. რაც დაგვანახა განვითარებულმა პროცესებმა. ახლანდელ არჩევნებზე ბევრი რამ გადაწყდება. რეგიონებიდან ვიღებთ ცნობებს, რომ „ნაციონალები" და დღევანდელი მმართველი გუნდი ერთობლივად ცდილობენ ნინო ბურჯანაძემ არათუ გაიმარჯვოს, მეორე ადგილზეც ვერ გავიდეს. ის ბალანსი, რომელიც არის ახლა პარლამენტში, არარეალურია. ამიტომ საფრთხე ემუქრება მათ კეთილდღეობას. თუ არჩევნები ობიექტურად ჩატარდა და არ გაყალბდა, რისი საშუალებაც აქვთ ხელისუფლების და „ნაცმოძრაობის" წარმომადგენლებს, რადგან კომისიები მათი წევრებით არის დაკომპლექტებული, წარმატების იმედი გვაქვს. თუმცა, ჩვენ მზად ვართ, დავიცვათ თითოეული ხმა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი — ლეგიტიმური ხელისუფლების — უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის მიმართვა ქართველი ერისადმი

ვინაიდან დღეს საქართველოში უმძიმესი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურულ-სულიერი კატასტროფული მდგომარეობა სუფევს, თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, შეგვექმნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერ — ლეგიტიმური ხელისუფლების — უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი, ქართული სახელმწიფოს სამართლებრივ ჩარჩოში მოსაქცევად და ქვეყანაში არსებული ოცდაორწლიანი ვითარება, სამართლებრივ ასპარეზზე, დასრულებულ იქნას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენითა და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრით.

ეროვნულმა კომიტეტმა ეს ვალდებულება აიღო გამომდინარე იმ ვითარებიდან, რომელიც, ბოლო პერიოდში შეიქმნა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. თავის მხრივ, კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნა ჩვენი შინაური და გარეული მტრის ხელით შეგნებულად და საგანგებოდ იჩქმალება.

ეს ყველამ უნდა იცოდეს, რომ ქართველი ერის მეხსიერებაში ვერასოდეს წაიშლება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ-ზნეობრივი ანდერძი კანონიერი ხელისუფლების აღდგენის აუცილებლობის შესახებ (იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წ. 13 მარტის დადგენილება, პუნქტი 3, ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის, მიმართვა ევროპის თანამეგობრობის სასბჭოსადმი — „საქართველოს პარლამენტი მიმართავს ევროპის თანამეგობრობის საბჭოს, არ ცნოს უკანონო ხელისუფლება და თავი შეიკავოს იმ ხუნტასთან ნებისმიერი კონტაქტისგან, რომელსაც სათავეში უდგას შევარდნაძე. საქართველოს რესპუბლიკა არ კისრულობს პასუხისმგებლობას უკანონო ხელისუფლებასთან დადებულ არც ერთ შეთანხმებაზე. ქ. გროზნო, 1992 წ. 13 მარტი).

ნებისმიერი სახის ურთიერთობის დამყარება ძალმომრეობით — პუტჩის შედეგად ე.წ. ხელისუფლებაში მოსული ბნელ ძალებთან, დაწყებული ე. შევარდნაძით დამთავრებული მ. სააკაშვილისა და ბ. ივანიშვილის ე.წ. კოჰაბიტირებული რეჟიმებით, არის ქვეყნის ღალატისა და სამართლებრივი ნორმების დარღვევის აშკარა გამოხატულება. არადა, სამწუხაროდ, ფაქტები სახეზეა და ქვეყანა სამართლებრივადაც და ფიზიკურადაც უფსკრულშია გადაჩეხილი.

ეროვნული კომიტეტი ამხელს ყველა იმ ადამიანს თუ პოლიტიკურ მოღვაწეს, მოძრაობებს, ვინც ზურგი აქცია კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნას და ვინც გაურიგდა ფინანსურად და სხვა ინტერესების საფუძველზე არალეგიტიმურ, ქვეყნის დამღუპველ რეჟიმებს.

ეროვნული კომიტეტის ერთადერთი მოთხოვნაა საქართველოში კონსტიტუციური ლეგიტიმური ხელისუფლების დაუყოვნებლივ აღდგენა, რაც გარანტია იქნება ქვეყანაში ყოველგვარი უკანონო ანტიქართული, ანტიადამიანური, ანტიქრისტიანული ქმედებების აღკვეთისა და რადგანაც საქართველო 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე დამოუკიდებელი ქვეყანაა, იგი იქნება ერთიანი, თავისუფალი სახელმწიფო.

ქართულ საზოგადოებას შევახსენებთ, რომ არსებობს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელსაც ზემოთჩამოთვლილ რეჟიმებთან პოლიტიკურად ან ფინანსურად არანაირი კაპიტულანტური და ქვეყნისთვის საზიანო ნაბიჯი არ გაადაუდგამს. პირველ რიგში, მონაწილეობა არ მიუღია ხუნტის მიერ დანიშნულ უკანონო არჩევნებში; პირიქით, 22 წლის განმავლობაში მტკიცედ იცავდა ქვეყნის დამოუკიდებლობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას და მისი ხალხის ინტერესებს.

ქვეყანაში პუტჩის შედეგად მოვლენილმა ბოროტმა ძალებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ საქართველო, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო არ შემდგარიყო და ტერორისა და გენოციდის დამკვიდრებით, ხალხის მეხსიერებაში გამქრალიყო ლეგიტიმური, კონსტიტუციური ხელისუფლების არსი, რაც თავისთავად საფუძველთა საფუძველია ქვეყნის არსებობისა.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური საერთაშორისო დემოკრატიული პროცესები საშუალებას იძლევა, რომ ლეგიტიმური ხელისუფლება უზენაესი საბჭოს სახით წარსდგეს ერისა და ქვეყნის წინაშე და დაიწყოს მშვიდობიანი ქმედება ქვეყანაში წერიგის კანონიერად დამყარებისა.

აქვე უნდა კატეგორიულად აღინიშნოს, რომ ის პოლიტიკური პარტიები და სუბიექტები, სამოქალაქო სოციალური ჯგუფები, თუნდაც საეკლესიო პირები, რომლებიც, გაემიჯნებიან ამ ეროვნულ-სამართლებრივ პოზიციას, ნებსით თუ უნებლიეთ ჩაითვლებიან ღვთისა და ერის მტრად.

ეროვნული კომიტეტი მოუწოდებს ქართველ ერს, საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც ეს ქვეყანა სამშობლოდ მიაჩნია, დაიწყოს სამართლებრივი მოძრაობა საქართველოში კანო-



ნიერი, ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის აუცილებლობის მოთხოვნით, რითაც ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ დაესმება წერტილი უკანონობის, ძალმომრეობისა და სიბნელის აპოთეოზს და გზა მიეცემა საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივ არსებობას.

ღმერთი იყოს ქართველი ერის მფარველი ამ მეტად საპასუხისმგებლო ეროვნულ საქმეში!

**ეროვნული კომიტეტის სახელით**
**გიორგი კერვალიშვილი — სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;**
**ბესარიონ მიქავა — იბერიულ-კავკასიური მოძრაობის დროებითი თავმჯდომარე;**
**დავით ბერძენიშვილი — იურისტი, ადვოკატი;**
**ნანა კახიანი — ფილოლოგი, ინგლისური ენის სპეციალისტი;**
**ზურაბ ქობალია — ჟურნალისტი;**
**გიორგი ბოგვერაძე — ადამიანის უფლებათა დამცველი;**
**გიორგი თევზაძე — პატიმართა უფლებების დამცველი.**

21 სექტემბერი,
შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა
ჩვენისა ღვთისმშობლისა
2013 წ., თბილისი

# თვითმხილველი გვიამბობს

## რა მოხდა 29 სექტემბერს თბილისში ლევან გაჩეჩილაძის სახლთან და ვინ იყო ის შეიარაღებული მამაკაცი, ვინც „გრეჩიხას“ სახლთან დააკავეს?

ჩემს უცხოელ მეგობარს ორი წლის წინ კერძო საბავშვო ბაღში დაჰყავდა თავისი ბავშვი, ვაკეში, ქობულეთის ქუჩაზე. ახლა, როდესაც სხვა მეგობარს დასჭირდა კერძო საბავშვო ბაღში ბავშვის მიბარება, მეგზურობა ვითავე და წავყევი. როგორც კი ქობულეთის ქუჩაზე გადავუხვიეთ,



იქვე, ნაძვებთან გაჩერებულ პოლიციის მანქანას მივადექით. შეიძლება, სხვა დროს არც მიმექცია ყურადღება, მაგრამ რადგან ვიცოდი, რომ იმ სახლში სააკაშვილის ხელისუფლების პირველი მსხვერპლის, ბუტა რობაქიძის მამა ცხოვრობს, გულში გამიელვა, მასთან ხომ არ არიანმეთქი და ამიტომ ჩამრჩა მეხსიერებაში, მარჯვნივ მჯდომი პოლიციელის სახეც კი დამამახსოვრდა. პსაბავშვო ბაღთან დაკავშირებული პრობლემების გამო ცოტაოდენმა შეყოვნებამ მოგვიწია და უეცრად საეჭვო ყვირილი ატყდა შორიახლო.

ჩვენ ჩვენი საქმე უკვე მოთავებული გვქონდა და დავეშვით კიდეც დაღმართზე, მაგრამ ხალხისა და მანქანების სიმრავლისგან გადაკეტილი შესახვევიდან ველარ გამოვედით. ბუნებრივია, დავინტერესდით რა ხდებოდა და გადმოვედით ავტომანქანიდან.

სადაც, ასე ვთქვათ, მოქმედების ეპიცენტრი იყო აღნაგობიდან გამომდინარე კარგად ჩანდა ლევან გაჩეჩილაძე („გრეჩიხა“), რომელიც პოლიციელებით იყო გარშემორტყმული, მაგრამ რის შესახებ საუბრობდნენ, ხალხის კომენტარებისა და პროტესტის გამო არ ისმოდა. გაჩეჩილაძის ნათქვამი ერთი ფრაზა გავიგე მხოლოდ, ისიც იმიტომ, რომ ემოციურად თქვა: „სახლი ჩემია, თქვენ რა გინდათ!“ ჩემს გვერდზე ერთი ყმაწვილი მეორე ყმაწვილს უზიარებდა აზრს: „ბიჭო, შეყენებული იარაღით სად შედიხარ, რომ შედიხარ! იქ ქალები არიან, ბავშვები... აზრზე ხარ?!“ იქით ვიღაცას აინტერესებდა, პოლიცია ვინ გამოიძახა, თუ იარაღის პატრონი „გრეჩიხას“ შვილის მეგობარი იყო; აქეთ იმას არკვევდნენ, თუ მეგობარი იყო, საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი იარაღით რატომ შევიდა; ვიღაც ამბობდა, ჩხრეკის ორდერს რატომ არ თხოვს „ძაღლებს“ ლევანაო“; ვიღაც — „ბორკილები შეხსენით, ხომ ხედავთ, არ გარბისო“ — მიმართავდა პოლიციელებს...

მოკლედ რომ ვთქვა, ვისაც კი მოვუსმინე ან რამე ვკითხე, ურთიერთგამომრიცხავი პასუხები მოვისმინე. შეჯგუფული პოლიციელები ერთგვარად გაიშალნენ და მათ შუაგულშიუ ახლა გოგა ხაინდრავა დავინახე, მარჯვნივ პოლიციელებს ურკვევდა რაღაცას, მარცხნივ სამოქალაქო სამოსში გამოწყობილ პირებს — ძნელი იყო იმის გარკვევა, ოპერატიული მუშაკები იყვნენ თუ უბრალოდ ცნობისმოყვარე მოქალაქეები. ცოტა ხანში სიტუაცია განელდა და ყველანი მანქანებში ჩასხდნენ, მათ შორის გოგა ხაინდრავაც, ის მარტო ჩაჯდა ჯიპის მარკის ავტომანქანაში და წავიდა, პოლიციელები — თავიანთ მანქანებში; ბორკილდადებულიც წაიყვანეს და უცბად გაიხსნა გზა — ველარ შევავლე თვალი „გრეჩიხამ“ რა მოიმოქმედა.



იქვე საშინაო ხალათში გამოსული ქალბატონი იდგა, რომელსაც ავტომობილმა მიუჩერა, „უკაცრავად, ჟურნალისტები ვართ, აიყვანეს ვინმეო?“ და ქალმა ავტომობილში მსხდომებს ორი სიტყვით უთხრა: „არ ვიცი, იყაყანეს, იაყაყანეს და დაიშალნენ“, რომ მოტრიალდა თავისთვის, მაგრამ აგრესიულად ხმამაღლა ჩაილაპარაკა, „ამა სვავებს ვიღამ დაურეკა ასე სასწრაფოდო“, მაგრამ მე აღმოვჩნდი მის წინ და ფაქტობრივად, მე მითხრა. ახლა მე გამოვხატე ინტერესი, მაგრამ მე არ გამიბრაზდა „რა ვიცი, როგორც გავარკვიე, ვიღაც იძებნებოდა თუ უნდა აეყვანათ, პოლიცია დაედევნა, ის „გრეჩიხასთან“ მოვარდა და პოლიციაც შეჰყვა, ახლა წაიყვანეს და ჯაზ-ბანდაც გაჰყვა...“ — ეს კიდევ ახალი ვერსია (თუ სინამდვილე?! — ქალი მეზობელი იყო)

იქნებ ეს თქვენი გაზეთისთვის საინტერესო არც იყოს, მაგრამ მაინც მოგწერეთ, რადგან მთელ ამ გაუგებრობაში პირადად ჩემთვის ბევრი რამ ძალზე საეჭვოდ დამრჩა: რატომ იდგა პოლიციის მანქანა ამ ამბამდე დაახლოებით ერთი საათით (შეიძლება, ცოტა მეტიც) ადრე რაღაცის მომლოდინე „გრეჩიხას“ სახლიდან 50-მდე მეტრში? უბრალო დამთხვევაა თუ მათ იცოდნენ რომ ვიღაც უნდა მივარდნილიყო გაჩეჩილაძეებთან კონკრეტულ დროს, არიქა, მიშველეთო? თან რა დროს, რომ გოგა ხაინდრავაც იქ ყოფილიყო? ნეტავ, გაჩეჩილაძეები ენდობიან იმ ახლობელ ყმაწვილს? მართალია, ოპერატიულად ვერ იმოქმედეს, მაგრამ ჟურნალისტებს ვიღამ შეატყობინა?

უცნაურად ემთხვევა ყველაფერი ერთმანეთს და ეჭვი იბადება, ხომ არ უკავშირდება 29 სექტემბერს ქობულეთის ქუჩაზე მომხდარი ამბავი ძმები გაჩეჩილაძეების გააქტიურებას პოლიტიკურ არენაზე და ხომ არ იყო ეს ყველაფერი სადღაც დაწერილის გათამაშება გაჩეჩილაძეების სკანდალში, გნებავთ, შარში გასახვევად?

და ბოლოს, რადგან პოლიტიკა ვახსენე, რეიტინგშემოძარცვული გაჩეჩილაძეები ვიღამ გააქტიურა და რატომ, როგორც ჭორად დადის, გია კორკოტაშვილის „სოლიდარობის“ საპირწონედ?

**ლელა ჯაში**




## xa l xis az r iT

ბიძინა აზერბეიჯანში ჩავიდა, სომხეთში, ლიტვაში თუ ლატვიაში, ესტონეთში თურქეთში, პოლონეთში, კიდევ მსგავს ბულგარეთებში, მაგრამ რუსეთში და მოსკოვში ვერ ჩავიდა 1 წლის განმავლობაში.

ეტყობა, მიშისტების შეეშინდა, კრემლის აგენტი არ დამარქვანო.

20 ლარიან ვაუჩერზე გაყიდულო ამომრჩევლებო, გთავაზობთ 54-ლარიან ვაუჩერს და გამოუცხადეთ ბოიკოტი არჩევნებს!!

პუტინთან საუბარი არ არის ადვილი საქმე,სერიოზულ ტისკს გაივლის იცის და ერიდება

ალბათ, არაფერი აქვს სათქმელი. რა უნდა უთხრას? უსუფაშვილი დავნიშნე პარლამენტის თავმჯდომარედ, ფანჯიკიძე “მიდ”-ში და ალასანია თავდაცვაშიო?

ვუყურებ, გული ბოღმით მევსება და ვერაფერს ვერ ვახერხებ ...საშინელი და დამთრგუნველი გრძნობაა, როცა ჩემს მიწა–წყალს, უცხო ტომელი ასე უნამუსოდ ეპოტინება

ჩვენ მოვახერხეთ და სააკაშვილსაც კი სახე შევუნარჩუნეთოოო

სახის შენარჩუნება კი არა სახიდან ნიღბის ჩამოხსნასა და ნამდვილი სახის დანახვას ელოდებოდა ხალხი

გახსენით ციხის კარები და გამოუშვით ყველა! სააქოვ სურენაზე უარესი იქ არავინ არ ზის ბიძინა!

ცხოვრება იმით იქნება “საინტერესო”, რომ კიდევ უფრო გაამყარებენ კოცნა ბიტაციას.

მილიონები და მილიარდები წაგვართვეს და დაგვიბრუნეთ... სამართლიანობა აღადგინეთო ... შეიძლება ვიკითხო ?! ძალიან თუ არ შეწუხდებით, გვითხირათ, ან ყურში მაინც ჩამჩურჩულეთ, ეს მილიონები და მილიარდები როგორ იშოვნეთ?! არა, ძალიან და უსაზღვროდ ნიჭიერები, თავდაუზოგავად მშრომელები და მუყაითები რომ ხართ კი ვიცი, მარა, მაინც დაადასტურეთ თქვენი ქონების ლეგალურობა და გვაჩვენეთ მაგ დოვლათის წარმოშობის წყაროები.

ისე, მეც კაი ვინმე ვარ, რა ?! რა კითხვა დავსვი და სად ?! რა სისულელე ვქენი?! ჯერ ერთი, რომელი მილიონერი და მილიარდელი ზის ახლა .ფ.ბ.– ში რომ მიპასუხოს ?! ან რომელი დეტექტივი და პროკურორი გაბედავს ახლა ამ საქმეების გამოჩხიკნას ?! ყველა თავის ბოზ მამიდას უფრთხილდება...

მამიდა არ მყავს, ამიტომ პრევენციას არ მივმართავ ხოლმე. არც არალეგალურად ნაშოვნ და ბიუჯეტში ნაცებივით ხელებნაფათურებ მილიონებს უბარტყია ჩემსას.

კაააარგად გამპარსეს მაინც.

ტყავიც ზედ მიაყოლეს...

ისადა... ნაცებსაც რომ ჰკითხო იგივე, ვერა?

რატომ?

კიშკა ტონკა?

ქართ. “ნაწლავი წვრილია?”

გიგი “პი” წერეთელი = 3,14 ..მარადიული პარლამენტარი!.. მოვითხოვ გიგის მივანიჭოთ პარლამენტარობა სიცოცხლის ბოლომდე!

მოდით, რაა, ხალხო, ყოველგვარი ღლიცინის და ხუმრობის გარეშე გეუბნებით: ნუ გავიმეორებთ რა ძველ შეცდომებს ერთი წლისთვის და ხუთი წლისთვის აღნიშვნა არაა რა საჭირო.. 9 წელი აღვნიშნავდით ერთ “გამარჯვებას” და თითქმის კალენდარის ათვლაც აქედან დავიწყეთ და იმის წინ კიდევ 70 წელი უკრავდნენ ტაშს, “დიდი ოქტომბრის მონაპოვარს” ხოო და მართლა არაა საჭირო, რააა... რა ფატალურ შედეგებამდეც მივყავართ ამ სისულელეებს, კიდევ ვერ დავინახეთ? მერამდენედ უნდა დავაბიჯოთ “ფორცხზე ფეხი”?







# თავსატეხი

ჰორიზონტ: ბუშტი, გრიმი, ელიდა, თხემი, ილეთი, იუნგა, იქუჟა, კომ ტა, მალტა, ოტიტი, პიტერ, ფრუნი, ფილია, ქურქი, ჯინი, ჩაცია, ჯაგრი.

ვერტიკალურად: ამგი, ალელი, ავუნა, გვაძი, დინგო, ზუგიხი, კოგზი, ნეგერი, ოროვა, პელის, სამია, ტატლა, ტეშმი, ფარსი, ფილეტი, ჩუილი, ცოტ-ნე, ძალლი, წიფლი, ჭიყლი, ხორხე.

# სამიდან ერთი

ჰორიზონტ: 1. ბალახი, კუნელი, შალახი. 2. კელიხი, დოლარი, სვეტ-რი. 3. მამონი, ჯუდელი, ტიუელი. 4. გურბი, ჯობგა, ბელტი. 5. ლინდი, მალ-ვა, ზვარი. 6. ჯიბხი, ნესგა, კონგი. 11. ლიმბარი, ტელმანი, რეველის. 12. მაკ-ლური, ტირანელი, გოლეგია. 13. ბესობი, თეშიდა, ხაშური. 14. კელელი, ბე-ბეთი, ხუნამი. 15. ლოთური, ჯულარი, ლეჭნი. 16. კამარი, ბუშელი, ლომატი.

ვერტიკალურად: 3. სახოვაკე, მაკელობი, ფელეტონი. 7. ლებიდი, კაბა-ლა, მუსუსი. 8. კოლორატი, მეტანობი, ტალავერი. 9. ლუდობი, კაკობი, კლი-კერი. 10. ბურრუსი, კეშმინ, ნათრატი. 13. ჯალაათი, ბაბალეთ, სამანი. 17. ზამ-ბახი, სარქელი, მაკარტი. 18. საბალი, ლეჭებ, ლუტუბა. 19. კრამერი, კრამე-ლი, კოსმოსი. 20. კოლორი, ფელიხი, ნათური. 21. ბლატონიხ, ფლოვალი, სტა-ნიშა.

# შიფროვორდი

ა–5 ს–2
ბ–10 ტ–
გ– უ–4
დ– ფ–
ე–31 ქ–
ვ– ღ–
ზ– ყ–
თ– შ–
ი–8 ჩ–
კ–18 ც–
ლ– ძ–
მ– წ–
ნ– ჭ–
ო–7 ხ–
პ– ჯ–
ჟ– ჰ–
რ–28

# თუ იელოველი შემოგხვდათ, თავი შეიკავეთ, არ გაულაწუნოთ, თორემ ამისთვის პრემიას მიიღებს

ძვირფასო მკითხველო!

იელოველების თემა, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო და პრობლემური საკითხია. მას შემდეგ, რაც ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში კვლავ გააქტიურდნენ და ქუჩებში მომრავლდნენ მათი ე.წ. „მქადაგებელ-მისიონერები", გადავწყვიტე, ამ ტრაგი-კომიკური საკითხის საფუძვლიანი შესწავლა, რისთვისაც მათ კრებაზე დასწრებაც კი გახდა საჭირო.

ახსოვს ყველას, 90-იან წლებში,საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ, როგორი გაცხოველებით დაიწყეს



იელოველებმა რელიგიურად გაუნათლებელი ხალხის ჩათრევა და როგორ მოიცვეს სოფლები და ქალაქები. თავიანთი ოდიოზური მოსაზრება-ქადაგებით.

შეგახსენებთ აკაკი გელოვანის მიერ ამ სექტის განმარტებას: „იელოვისტები — უაღრესად რეაქციული რელიგიური მიმდინარეობა, სექტა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში (შტაბ-ცენტრი ბრუკლინში) 1872 წ., როცა ეს სექტა ვაჭარმა ჩარლზ რასელმა გამოყო „მეორედ მოსვლის" მქადაგებელთა ადვენტისტების სექტისგან. 1931 წ. მათ ეწოდათ „იელოვას მოწეთა" სექტა. მისი პრეზიდენტი ითვლება იელოვას მოადგილედ დედამიწაზე, აქვს განუსაზღვრელი ძალაუფლება, აქვს 95 ფილიალი, ფლობს თითქმის უფასო პრესას, რადიოს, ორგანოებს, ამყარებს მკაცრ წესრიგს. სწამთ სამების ნაცვლად მხოლოდ იელოვა, რომლის ნების აღმსრულებელი არის ქრისტე (ის არაა ღმერთი). არ სწამთ სულის უკვდავება, არც სამოთხე. 144000 იელოვისტი ნეტართა რანგში ავა, სხვას დაღუპვა ელის. სსრ კავშირში ნაწილი ფარულ მოქმედებას ეწევა სოციალიზმის წინააღმდეგ, უარყოფენ თვით მშვიდობისთვის ბრძოლას. მათი რწმენით, 1914 წელს უკვე მოევლნა ქვეყანას სატანა, მოვიდა ქრისტეც, ასე რომ მეორედ მოსვლა უკვე იყო და უნდა ველოდოთ საყოველთაო დაღუპვას, ცეცხლს, წარღვნას".

მათ „ეკლესიას", როგორც თვითონ ამ საკრებულოს უწოდებენ, თბილისის გარეუბანში კომფორტულ, მაგრამ მომცრო შენობაში ვეწვიე (ციხისძირის 22), აბრა გაუკრავთ შესასვლელში „იელოვას მოწმეების სამეფო დარბაზი".. თეოლოგიური ლექციის (ასე უწოდებენ კრებებს) დაწყებამდე ერთი შუახნის კაცს გავესაუბრე, რომელიც ბ-ნ ანზორად გამეცნო და საუბრის ჩაწერაზე უარი მითხრა. თუმცა საუბარზე სიამოვნებით დამთანხმდა და კამათშიც ჩაერთო. დარბაზში სიმშვიდე და ჩემს მიმართ კეთილგანწყობა ვიგრძენი, მიუხედავად ჩემი შუბლშეკრული და გაცხარებული კამათისა ბ-ნ ანზორთან, ყველა თბილად და კეთილგანწყობით მიყურებდა, როგორც მათ დას (ერთმანეთს ასე მიმართავენ: „დებო" და „ძმებო") წიგნიც კი მომაწოდეს, რომ თვალ-ყური მედევნებინა.

ლექცია მარტივ მელოდიაზე წამღერებული სიმღერით დაიწყო, რასაც ყველა ასრულებდა ლექციის წამყვანთან ერთად.

„იეჰოვა ნიშნავს მწყემსებს,
რომ
მის ცხვრებს დაეხმარონ.
ისინი მაგალითს გვაძლევენ,
თუ როგორ ვიაროთ.
თუ მოუსმენთ ღვთის სიტყვას,
შეასრულებთ მის ნებას,
შეძლებთ შესვლას მის დასვენებაში
და მიიღებთ კურთხევას.

ქრისტეს ძმებს, მოწოდებულებს,
სიცოცხლეს აძლევს ღმერთი.
დედამიწას სამოთხედ აქცევს,
პატარძლის კლასი, მმართველი. —

ეს მათი „საგალობლების" ტექსტებია. შემდეგ ბიბლიის თავების კითხვა გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, მათივე განმარტებებით.

ბ-ნმა ანზორმა საუბარში აღნიშნა, მათთან სრული დემოკრატიაა, არავითარი ზეწოლა, როცა გინდა, მაშინ დატოვე მათი რიგები, კონგრესს კი ამჟამად ვარკეთილის ტერიტორიაზე ატარებენ და ყველასთვის ღიაა კარი, ძირითადად, გარეუბნებს ეტანებიან, სადაც ბევრი არაქართულენოვანი მოსახლეობაა. განსაკუთრებით ვარკეთილია მათთვის მიმზიდველი, იქ უცხოელი მისიონერებიც კი შეიძლება შეგხვდნენ. მიუხედავად ამისა, ზუსტად აქვთ აღნუსხული, რომ მიმდებარე ქუჩებიდან 250 ადამიანია, სულ საქართველოში 18 ათასამდე, მსოფლიოში კი 8 მილიონამდე ადამიანია მათ რიგებში. 18 ათასი გამოშტერებული და თან დედა-ეკლესიის მტერი, დამეთანხმებით, ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ბევრია.

ამ ადამიანებთან თუ ვინმეს 90-იან წლებში უსაუბრია, იცის, რომ ისინი თავს ქრისტიანებს არ უწოდებენ, არამედ იელოვას მოწმეებს. ეტყობა, ეს ფორმულირება მომგებიანი არ აღმოჩნდა და ახლა ხმამაღლა მითხრეს, რომ ქრისტიანები არიან და ეს ოფისი მათი ეკლესიაა. დავინტერესდი უცხოურ ორგანიზაციებთან კავშირის და დაფინანსების შესახებ, რაც კატეგორიულად უარყვეს და მითხრეს, რომ შესაწირავი ყუთებით შეგროვილი თანხით აშენებენ ევრორემონტიან ოფისებს და დარბაზებს. ე.წ. „მრევლს" რომ გადავხედე, ეჭვი შემეპარა, რომ ისინი რაიმეს შემწირველები იყვნენ. თუმცა თავად გააფთრებული საუბრობენ ტაძარში შესაწირავის არსებობის და სანთელის გაყიდვის შესახებ.



როდესაც ჩემს რესპონდენტს ბ-ნ ანზორს ვუთხარი, რომ ეს სექტა ამერიკელი ვაჭრის რასელის მიერაა დაარსებული, არ ესიამოვნა, სად წაიკითხეო, მკითხა და გულმოსულმა მომიგო, ვაჭარი კი არა, პროკურორი იყოო (თითქოს პროკურორობა საგზურია სამოთხისკენ).

მოკლედ, რასელელები რას ელიან, ვერ დავადგინე, მხოლოდ ჩვენ გადავრჩებითო, როგორც ამას 90-იან წლებში ამბობდნენ, უკვე აღარ ამბობენ (იცვლება მათი შეხედულებები, დროსთან ერთად). წმინდა მამა გაბრიელი კი ასე ამბობდა: „ანტიქრისტე კარებთან დგას და კი არ აკაკუნებს, შემოგლეჯას ლამობს. თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს, იგი მთელ დედამიწაზე მოინდომებს გამეფებას, დევნა ყველგან იქნება, მაგრამ საქართველოს მარიამ ღვთისმშობელი დაიფარავს"...

ეკლესიაში მიბრუნებული ყოფილი იელოველი კი ყვება, თუ გულმოსულმა მათთან მოკამათე მართლმადიდებელმა შემოსცხო, ოფისებში გახარებულნი ბრუნდებიან, მოწაფეები ვართო, ყვირიან, რისთვისაც ფულად პრემიებსაც იღებენ (პრემიის რაოდენობა ჯერ ვერ დავადგინე).

**P.S. ასე რომ, ძვირფასო თანამემამულენო, თუ გზაში იელოველი შემოგხვდათ და მოთმინებიდან გამოგიყვანათ, თავი შეიკავეთ და არამც და არამც არ გაულაწუნოთ, თორემ ამისთვის პრემიას მიიღებენ და სხვა გზაარეული ცხვრებისთვის ახალი სტიმული გაჩნდება.**

**ნინო კობაიძე**

## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63**

## დავით სერგეენკო: სახელმწიფო დაზღვევისას მედიკამენტების დაფინანსების საკითხზეც ზრუნავს



„მედიკამენტები მკურნალობის განუყოფელი ნაწილია და, რა თქმა უნდა, ამ ნაწილზეც ვზრუნავთ. უკვე არსებობს სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მთელ რიგ ქრონიკულ დაავადებებს მედიკამენტების ჩათვლით ფარავს. რაც შეეხება გადაუდებელ და სტაციონარულ მდგომარეობებს, თავისთავად, ეს საყოველთაო ჯანდაცვისა თუ დაზღვევის პაკეტით ფინანსდება. რაც შეეხება შემდგომ გაფართოებას, ეს არის დამატებით ახალი პროექტის ამუშავება, რაც უკვე მაღალ არტერიულ წნევასთან დაკავშირებით უკვე გამოცხადებულია. მიმდინარე წელი მაღალ არტერიულ წნევასთან ბრძოლის წელიწადია და შესაბამისი მედიკამენტებით პაციენტების უზრუნველყოფაც აუცილებლად მოხდება. ეს მხოლოდ მას შემდეგ გაკეთდება, რაც მედიკამენტების ხარისხის კონტროლის სისტემა დაინერგება", — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

**შეცდომის გასწორება:** „საერთო გაზეთის" №24 (258), 18-24.IX, 2013 წ. მეშვიდე გვერდზე განთავსებულ პუბლიკაციაში „სამი მდინარის შერწყმა" პირველ აბზაცში წერია: „იაპონიის ელჩი მოსაიოში კამოხარა მიიწვიეს", უნდა იყოს: „საქართველოს ელჩი იაპონიაში რევაზ ბეშიძე მიიწვიეს".

მესამე სურათზე აწერია: „ნანი ჭანიშვილი და მეუფე შიო", უნდა იყოს: „ლუიზა მიქავა და მონასტრის მორჩილი კალინიკე".

## გოგონა შეუჩერებლად იცინის

ჩინელი ნევროლოგები აპირებენ ტვინის სკანირება გაუკეთონ გოგონას, რომელიც აგერ უკვე 12 წელიწადია, შეუჩერებლად იცინის. სიუ პინჰუეიმ სიცილი 8 თვის ასაკში დიწყო, მას შემდეგ, რაც ციება შეეყარა. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მშობლები ტყუილად ცდილობდნენ ბავშვის ალაპარაკებას — პასუხად



მხოლოდ უკონტროლო სიცილი ესმოდათ. სიუს ოჯახი მთელ თანხას გოგონას მკურნალობაში ხარჯავს, იღებენ კრედიტებს და ცდილობენ, ქალიშვილს როგორმე უშველონ, მაგრამ 12 წლის განმავლობაში ექიმებმა სიუს განსაკურნად ქმედითი მეთოდი ვერ გამონახეს. ამჟამად ჩინელი მედიკოსები იმედოვნებენ, რომ ტვინის სკანირების შემდეგ დაადგენენ, რითაა გამოწვეული ეს შეუჩერებელი სიცილი.

## სპორტული აბი ტრენაჟორების ნაცვლად

ამერიკელმა მეცნიერებმა ახალი აბების პირველი გამოცდა მოაწყვეს, რომელიც ადამიანს სასურველი ფორმის შენარჩუნებაში დაეხმარება, თანაც ისე, რომ, შეიძლება ითქვას, სავარძლიდან წამოდგომაც არ დასჭირდება. კვლევის შედეგები საკმოდ შთამბეჭდავია — სპორტული აბი „ატყუებს" კუნთებს და მათ აფიქრებინებს, რომ დიდხანს და ინტენსიურად მუშაობდნენ, ორგანიზმს კი ცხიმების აქტიური წვისთვის და კუნთების ტონუსის ასამაღლებლად განაწყობს. ვერაფერს



იტყვი, მართლაც შესანიშნავია. თუმცა სიხარულით ტკბობა ჯერ მაინც ნაადრევია. ვიდრე ჩვენი სიზარმაცის პრობლემების გადამჭრელი აბები დახლებზე გამოჩნდება, კიდევ რამდენიმე წელი გავა. ჯერჯერობით ცდები მხოლოდ ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარდა. მღრღნელები, რომელთაც ახალ პრეპარატს აძლევდნენ, უფრო მეტ ცხიმებს წვავდნენ, ვიდრე თაგვები, რომელთაც ამ აბების გარეშე ტოვებდნენ. ამასთან, პირველი ჯგუფის მღრღნელები უფრო „სპორტულ ფორმაში" იყვნენ და მათთვის მოწყობილ სპეციალურ სავარჯიშოებზეც დიდი ხნის განავლობაში შეეძლოთ დარჩენა.

ISSN 2233-3983



## ყველაზე კალორიული ინდური სამზარეულოა

მსოფლიოს ქვეყნების ტრადიციული სამზარეულოები ერთმანეთისგან მრავალფეროვნებითა და განუმეორებლობით განსხვავდებიან. თუმცა, საკითხავია, ყველა მათგანი სასარგებლოა თუ არა? ბრიტანელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს გამოეკვლიათ, რომელი ქვეყნის კერძებია ყველაზე კალორიული და შედეგად, ყველაზე საშიშიც ფიგურისთვის. კვლევებმა აჩვენა, რომ ყველაზე მეტ კალორიებს ინდური სამზარეულო შეიცავს. ყოველი აქაური კერძი იმაზე მეტად ცხიმიანია, ვიდრე ეს რეკომენდებულია. ეს არა მარტო ხორცისგან მომზადებულ კერძებს, ან პოპულარულ კარის ეხება. სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ინდური პურიც კი — ნაანი უფრო მეტად კალორიულია, ვიდრე ქათმისგან მომზადებული ინდურივე კერძები. როგორც გაირკვა, აქაური სამზარეულოს ასეთი კალორიულობის მიზეზი ის არის, რომ მათი მომზადებისას უხვად მოიხმარენ როგორც მცენარეულ ცხიმს, ასევე ერბოსაც. ასე რომ, ინდური კერძების სიყვარული ბევრს შეიძლება წონაში საკმაოდ მომატების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებისა და დიაბეტის ფასად დაუჯდეს.

## მონა ლიზა შიშველი პოზირებდა?

რას აღარ წერდნენ ლეონარდო და ვინჩის ამ უკვდავ შედევრზე: რომ ის მამაკაცია, რომ ის თავად მხატვრის ავტოპორტრეტია, რომ მას კბილები არ აქვს და სხვა. ახალი თეორიის მიხედვით კი ისიც გაირკვა, რომ დიდმა მხატვარმა შიშველი ჯოკონდაც დახატა. ასეთ დასკვნას ალესანდრო ვეზოსი — „**Museo Ideale**"-ს დირექტორი აკეთებს, რომელმაც ლეონარდოს სამშობლოში, ტოსკანას ვინჩიში ნახევრად შიშველი ქალის სურათი აღმოაჩინა. მასზე გამოსახული ქალი მონა ლიზას ასლი არ არის, მაგრამ მსგავსება მასა და ლუვრში გამოფენილ ჯოკონდას შორის საკმაოდ აშკარაა. ფრონტალური სახე, ხელების მდებარეობა, პეიზაჟის კომპოზიცია გვერდებზე სვეტებით, მონა ლიზასთან კავშირზე მეტყველებს, — მიაჩნია ვეზოსის. თავის დროზე ნახატი ნაპოლეონის ბიძას ჯოზეფ ფეშუს ეკუთვნოდა. ჩანაწერში, რომელიც 1845 წლით თარიღდება, ნათქვამია, რომ მან „მონა ლიზას — საფრანგეთის მეფე ფრანცისკ I საყვარლის პორტრეტი, რომელიც ლეონარდო და ვინჩის ფუნჯს ეკუთვნის", რომში მდიდარი არისტოკრატების — როსპილიოზებისგან იყიდა. რასაკვირველია, ეს მტკიცება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ პორტრეტი ნამდვილად დიდ შემოქმედს ეკუთვ-



ნის. მას საგულდაგულო ანალიზს ჩაუტარებენ როგორც მეცნიერები, ასევე ხელოვნებათმცოდნეები. ვეზოსის თქმით, ეს ორიგინალი, ალბათ, ვინჩის დახატულ ეროტიკულ პორტრეტებს განეკუთვნება, რომელთაც იმდროინდელი მორალური მოსაზრებების გამო არ გამოფენდნენ.

## ცაციები უფრო წარმატებულები არიან

ავსტრიელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს ტენდენცია მხოლოდ მამაკაცებში შეინიშნება. ეროვნული უნივერსიტეტის სწავლულთა მოსაზრებით, ადამიანები, რომლებიც უფრო კარგად მარცხენა ხელს ფლობენ, ვიდრე მარჯვენას, გაცილებით მეტი მოცულობის ინფორმაციას გადაამუშავებენ და თანაც უფრო სწრაფად, ვიდრე ისინი, ვინც მარჯვენა ხელს ანიჭებს უპირატესობას. მეცნიერებმა გამოკვლევა კომპიუტერული თამაშების მოყვარულებში ჩაატარეს და გაარკვიეს, რომ ცაციები უფრო კარგად თამაშობენ, უფრო სწრაფად აანალიზებენ მიმდინარე სიტუაციას და შესაბამისად რეაგირებენ. მკვლევართა მოსაზრებით, ასეთი ადამიანები კარგად წარმოაჩენენ თავს მძღოლებად, პილოტებად და სხვა მსგავსი პროფესიების წარმომადგენლების როლში.



ცაციების უპირატესობაზე მეცნიერები პირველად არ ლაპარაკობენ. ავსტრიის ეკონომიკური კვლევის ბიურომ გაარკვია, რომ უმაღლესი სასწავლებლების ის კურსდამთავრებულები, რომელთაც უფრო განვითარებული მარცხენა ხელი აქვთ, 13-21%-ით მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე „მემარჯვენეები". თუმცა, ეს ტენდენცია მხოლოდ მამაკაცებში შეინიშნება, ქალებში კი ერთნაირი შედეგები დაფიქსირდა. გარდა ამისა, ცაციები უფრო ხშირად ხდებიან მაღალი კლასის სპეციალისტები (53%-38%-ის წინააღმდეგ). ცაციებს შორის ბევრია სახელგანთქმული მუსიკოსი, მხატვარი, სპორტსმენი და სხვა. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორიც იყვნენ: ალექსანდრე მაკედონელი, მიქელანჯელო, მარკ ტვენი, ჩარლი ჩაპლინი, მერილინ მონრო, რეიგანი, ნიუტონი, აინშტეინი, ასევე, ბუში-უფროსი, ბილ კლინტონი, ფიდელ კასტრო, პოლ მაკარტნი, ბილ გეითსი და სხვები.

არსებული სტატისტიკის მიხედვით, დღეისათვის ჩვენს პლანეტაზე ცაციების რიცხვი მოსახლეობის 2-8%-ს შეადგენს, 90-91% — „მემარჯვენეები" არიან, დანარჩენი მცირედი ნაწილი კი — ამბიდექსტრები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც ერთნაირად კარგად ფლობენ როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელს.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

